საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ევროპეისტიკის დეპარტამენტი

თამარ ხიტირი

სოლარული მითები და მათი ტრანსფორმაცია ადრექრისტიანულ ეპოქაში (Sol Invictus)

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაცია

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის დოქტორი,

პროფესორი მარინე გიორგაძე

ბათუმი 2019

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

04.06.2018

თამარ ხიტირი

შესავალი: კვლევის საგანი, ნაშრომის სტუქტურა, აქტუალობა, კვლევისუ მეთოდები

1. მზის კულტი უძველეს დროში

2. ლიტერატურულ წყაროებში არსებული სოლარული მითები და მათი კროსკულტუტული და შეპირისპირებითი ანალიზი

2.1 სოლარული მითების ელემენტები ეგვიპტურ კულტურაში
2.2 მზის მითოსი ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში
2.3 იაჰვე: ყოვლადშემძლე ღმერთი თუ დესტრუქციული მზე - სემიტურ კულტურის კროსკულტურული მიმოხილვა.
2.4 მითრა: მზის შვილი დედამიწაზე.

3. სოლარული მითების ტრანსფორმაცია ქრისტიანულ კულტურაში
3.1 იესო - ძე მზისა
3.2 სოლარული მეტაფორები და ალეგორიები და მათი ასტროთეოლოგიური მნიშვნელობა
3.3 მზის კულტი საქართველოში.

დასკვნა

შესავალი

მითოლოგია ყოველთვის იყო ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. იმ დროიდან, როცა ადამიანმა აზროვნება დაიწყო და დაინტერესდა მის გარშემო განვითარებული მოვლენებით, მისი გონი ყოველთვის ეძებდა მათ ახსნას. პირველყოფილ ტომებშიც არსებობდა რელიგიური შეხედულებები და მითოლოგია. კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ადამიანების ინტერესის სფეროებიც განვითარდა და მათ ირგვლივ დედამიწაზე მიმდინარე მოვლენების გარდა, ადამიანები შორეული კოსმოსითაც დაინტერესდნენ. უძველეს ადამიანებს დედამიწაზე განვითარებულ მოვლენებთან ერთად აინტერესებდა ისიც, რაც დედამიწის ირგვლივ, კოსმოსში ხდებოდა. რამდენადაც მცდარი არ უნდა იყოს უძველესი ადამიანების წარმოდგენები კოსმოსზე და სამყაროს სტრუქტურაზე, არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ მათი კომპლექსურობა, რომელიც შემდგომ გამოვლინდა და განვითარდა უძველესი ცივილიზაციებში, კულტურაში, რელიგიებში.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში მოხდა მოვლენა, რომელმაც სამყარო სამუდამოდ შეცვალა - დედამიწაზე მხსნელი იშვა, ახალი მესია - იესო, რომლის დაბადებამ კაცობრიობის ისტორია ორად გაჰყო: ქრისტემდე და ქრისტეს შემდეგ. არავის მოუხდენია ასეთი გავლენა ცივილიზაციებზე და კულტურებზე. მისი სიკვდილის შემდეგაც უმნიშვნელოვანეს რელიგიად რჩება ქრისტიანობა, რომელმაც, ბევრის აზრით, ევროპას განვითარება და აღმავლობა მოუტანა. მაგრამ რამდენად მართებულიაა ეს შეხედულება? და რამდენად ავთენტურია ქრისტიანული მითოლოგია, სადაც მთავარ პერსონაჟად წლების მერე მითოლოგიური იესო იქცა? უკან თუ მოვიხედავთ, დავინახავთ მრავალ მნიშვნელოვან სოლარულ კულტს - მზის კულტს, რომელიც ყველა დროის უმთავრეს ღვთაებად იყო აღიარებული და ყველა ცივილიზაციასთან, ზოგჯერ ერთმანეთზე ზეგავლენის შედეგად და ზოგჯერ აბსოლუტურად დამოუკიდებლად, იმეორებს ერთსა და იმავე ფაბულას, ალეგორიას, სიმბოლიკას და არ სცდება ნარატივის მთავარ ხაზს. მაშინ რა არის ადრეული ქრისტიანობა? რელიგია, რომელიც ახალმა მესიამ მოიტანა თუ სოლარული კულტის კიდევ ერთი ინტერპრეტაცია?

კონკრეტული ნაშრომის მიზანი ზუსტად ამ საკითხის კვლევაა, პარალელების გავლება ყველა დროის უმთავრეს მზის კულტებთან და მათი კროსკულტურული ანალიზი, პირველ რიგში, უძველეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით. ამ მიზნის გათვალისწინებით წინამდებარე ნაშრომის ამოცანებია:

ა) გამოკვეთოს უძველესი ხალხისთვის ასტროთეოლოგიის მნიშვნელობა;

ბ) გამოიკვლიოს ჩვენამდე მოღწეული და ამ დროისთვის ცნობილი სოლარული კულტები და მზის ღმერთები და მოახდინოს მათი კროსკულტურული და შეპირისპირებითი ანალიზი;

გ) განიხილოს ქრისტიანობამდე არსებული მზის კულტები ადრეულ ქრისტიანობასთან და იესოს მითოლოგიურ სახესთან მიმართებაში;

დ) განიხილოს მზის კულტის მნიშვნელობა საქართველოში და მისი მიმართება ქრისტიანობასთან;

ე) გამოკვეთოს სიახლე, თუ რა მეთოდებით ხდება და რისთვის არის მნიშვნელოვანი მზის მითების და ქრისტიანული კულტურის შეპირისპირებითი ანალიზი.

შესაბამისად, ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან.

პირველი თავი - ნაშრომის პირველი თავი ეხება მზის კულტის მნიშვნელობის მიმოხილვას უძველეს დროში. აქვე განხილულია ზუსტი მეცნიერებების ჰუმანიტარულთან თანამშრომლობის აუცილებლობა სრული სურათის გამოსაკვეთად. განხილულია უძველესი ხალხისთვის ასტროთეოლოგიის მნიშვნელობა და ისეთი ახალი დისციპლინები, როგორებიცაა ასტრობიოლოგია და არქეოასტრონომია და მათი გამოყენების აუცილებლობა მსგავსი ტიპის კვლევებში.

მეორე თავი - მეორე თავში ეთმობა პირველწყაროებში და ლიტერატურულ წყაროებში არსებული სოლარული მითებს და მათ კროსკულტურულ და შეპირისპირებით ანალიზს და სამი ქვეთავისგან შედგება. პირველ თავში განხილულია ეგვიპტური სოლარული მითოლოგია, მეორე ქვეთავი ეძღვნება ბერძნულ-რომაულ სოლარულ პანთეონს, მესამე ქვეთავში - იაჰვეს სახე სემიტურ კულტურაში, მეოთხეში კი - განხილულია მზის ღვთაება მითრა.

მესამე თავი - მესამე თავი მთლიანად ეთმობა მზის მითების ტრანსფორმაციას ქრისტიანულ კულტურაში და, ასევე, დაყოფილია სამ ქვეთავად. პირველ ქვეთავში განხილულია მითოლოგიური იესოს სოლარული ბუნება და უძველესი მზის ღმერთების გამოძახილი, რომელიც ადრეულ ქრისტიანობაშიც დამკვიდრდა. მეორე ქვეთავში განხილულია ალეგორიები, რომლებიც იესოს სოლარულ ბუნებაზე მიუთითებს, მესამე ქვეთავი კი ქართულ სოლარულ კულტებს ეთმობა.

სიახლე - ნაშრომის სიახლე განპირობებულია იმით, რომ აქამდე სოლარული მითოლოგიის ქრისტიანულთან შეპირისპირებითი ანალიზი ხდებოდა ლოკალურად, არ განიხილებოდა ყველა მნიშვნელოვანი ცივილიზაციის მზის ღვთაებები, რაც არ გვაძლევდა ფართო სურათის წარმოდგენის საშუალებას; ამასთან ერთად ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს სხვა, ზუსტი მეცნიერებების მეთოდების ჩართვა კვლევაში, რაც მას უფრო საფუძვლიანს და არგუმენტირებულს ხდის.

აქტუალობა - კვლევის ახალ მიმართულებებთან ერთად აქტუალური ხდება ძველი მითოლოგიის თავიდან გააზრება და შესწავლა, რადგან ჩვენ შეგვიძლია აბსოლუტურად სხვა რაკურსით დავინახოთ თითქოსდა აქამდე ასე კარგად ცნობილი ამბები. იგივე არქეოასტონომიის შესწავლამ, მაგალითად, შესაძლებელი გახადა გამოგვეთვალა კონკრეტული ვარსკვლავების პოზიცია და გადახრის დროის კონკრეტულ მონაკვეთში დაგვენახა, თუ რომელ სამ მოგვზე და ვარსკვლავზე იყო საუბარი იესოს დაბადების დროს. ასევე, ჩვენი აზრით, ამ თემის განვითარებას და შემდგომ კვლევას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რადგან დასტურდება, რომ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა და ცხოვრობდა მაღალი განვითარების ცივილიზაცია. ამასთან ერთად, საჭირო და მნიშვნელოვანია ამ თემის ახლებური ხედვა, ამისთვის კი აუცილებელია საფუძვლების ცოდნა და იმის გააზრება, თუ საიდან დაიწყო ყველაფერი.

კვლევის მეთოდად არჩეულია შეპირისპირებითი და კროსკულტურული ანალიზი, რომელიც უმეტესაც პირველწყაროებზე და ლიტერატურულ წყაროებზეა დაყრდნობილი. ნაშრომში, ასევე, არის ინტერდისციპლინარული კვლევა, სხვადასხვა დისციპლინის (დარგის) სინთეზი და სემიოტიკური ანალიზი. ჩვენი ნაშრომისთვის ძირითად მასალას ლიტერატურული წყაროები წარმოადგენს, კერძოდ კი ბიბლიის

თარგმანი სხვადასხვა ენაზე, ეგვიპტური პირამიდების ტექსტების თარგმანი, ძველი ბერძნული და რომაული ლიტერატურა და ასე შემდეგ. ამასთან ერთად, ჩვენ გავეცანით და გამოვიყენეთ ისეთი მნიშვნელოვანი მეცნიერების კვლევები, როგორიცაა დ. ფრეზერი, დ. კემპბელი, ა. მელეტინსკი, მ. ელიადე. ნაშრომში, ასევე განხილულია ცნობილი ეგვიპტოლოგების უ. ბაჯისა და გ. ჰიგინსის ნაშრომები. ჩვენ ვცადეთ, მაქსიმალურად ღრმად გაგვეცნო თემის ირგვლივ არსებული კვლევები და კრიტიკა და გამოვიყენეთ შეპირისპირებით ანალიზში.

1. მზის კულტი უძველეს დროში

თეორია იმის შესახებ, რომ ქრისტიანობა იმ სახით, რა სახითაც ის დღეს არსებობს დაფუძნებულია წარმართულ რელიგიებზე და იესოს თაყვანისცემა არის ბევრი პრე-ქრისტიანული კულტის გაგრძელება, არ არის ახალი. თუმცა, არ მომხდარა ამ იდენტობების, რომლებიც თიქთქმის ყველა კულტურასა და რელიგიაში მოიპოვება, სისტემატიზაცია, რაც რთულს ხდის სრული სურათის აღქმას და ანალიზს. ასევე, ცოტა რამ არის ნათქვამი იმაზე, თუ რატომ შეიძინა იესომ ეს თვისებები, რაც მანამდე მზის ღმერთებს გააჩნდათ სხვადასხვა რელიგიაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და რა ედო ამას საფუძვლად. რა თქმა უნდა, ბევრი რამ განპიობებული იყო ხალხების მიგრაციით, ომებითა და დაპყრობებით, რის შედეგადაც ერთი რელიგიური კულტი მეორეს ენაცვლებოდა. თუმცა მიზეზი აქ უფრო რთულია და კომპლექსური და ამ მიზეზის შესწავლა და გააზრება შეუძლებელია რამდენიმე კონცეფციის გათვალისწინების გარეშე.

ბოლო ასწლეულების განმავლობაში, როდესაც მეცნიერებამ რელიგიურ ორგანიზაციებისგან დამოუკიდებლად არსებობის უფლება მოიპოვა, რელიგიების კროსკულტურული ანალიზი არაერთხელ გაკეთებულა. თუმცა ასეთი კვლელების უმეტესობა მიმართულია ორი კონკრეტული რელიგიის/კულტის/ღვთაების შეპირისპირებით ანალიზზე და კეთდება მხოლოდ ერთი მიმართულებით, იმ დროს, როცა ამ თემაზე საუბარი შეუძლებელია კომპლექსურად სხვადასხვა მეთოდის ერთად გამოყენების გარეშე. ასე, მაგალითად, თუ ვიმსჯელებთ რომელიმე კულტზე და არ გავითვალისწინებთ ისტორიულ საფუძველს, არქეოლოგიურ არტეფაქტებს, ეთნოგრაფიას, თეოლოგიას და ფსიქოლოგიასაც, ჩვენ სრულ სურათს ვერ მივიღებთ. საფუძვლიანი კვლევის ჩასატარებლად საჭიროა დავიწყოთ უძველესი დროიდან და გამოვიყენოთ ყველა საშუალება, რომელიც გაგვაჩნია. რა თქმა უნდა, მოცემულ კვლევაში, მთავარ ბირთვად აღებული გვაქვს ერთ-ერთი ცნობილი, თუმცა დღესდღეობით ცოტატი მივიწყებული კონცეფცია, რომლის ირგვლივ ტრიალებს ყველა სხვა მეცნიერება და რომელზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ჩვენ ხშირად მოგვიწევს ფაქტების მყარი ნიადაგის დატოვება და იმ სფეროში გადასვლა, სადაც არსებობს მხოლოდ ჰიპოტეზა და ვარაუდი, თუმცა ორივე მათგანს საფუძველი ყოველთვის აქვს.

როგორც უკვე ავღვნიშნეთ, მიზეზების გასაგებად საჭიროა დავუბრუნდეთ სათავეებს, ადამიანის აზროვნების ჩამოყალიბებას, პირვანდელ მითებს და განვიხილოთ თუ რას გულისხმობს მითოლოგიური აზროვნება და რამდენად მნიშვნელოვანია ის ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

თვითონ სიტყვა „მითი“ ძალიან რთული მოვლენაა და დღემდე არ არსებობს მისი საზოგადოდ მიღებული, ზოგადი განმარტება. მითი ზოგჯერ განიხილება ისე ფართოდ, რომ მასში შედის არა მხოლოდ კოსმოგონია და თეოგონია, არამედ ზღაპრებიც, თქმულებებიც და ა.შ. ამასთან ერთად, თავდაპირველად, მითი (mythos) არ ეწინააღმდეგებოდა ლოგოსს (logos) და ლოგოსმა მხოლოდ მოგვიანებით შეიძინა აზროვნების შინაარსი.

თანამედროვე მეცნიერებაში სიტყვა „მითოლოგიას“ აქვს მინიმუმ სამი გავრცელებული მნიშვნელობა:

- მითოლოგია, როგორც სამყაროს შესახებ ფანტასტიკური წარმოდგენების სისტემა, რომელიც შეიცავს უამრავ მითს, რომლის ტიპოლოგიზაცია არის შესაძლებელი;
- მითოლოგია, როგორც ღმერთების, მათი ქმედებების, შექმნის და ცხოვრების შესახებ ნარატივების ერთობა;
- მითოლოგია, როგორც მეცნიერება მითების, მათი ბუნების, არსის და ფუნქციის შესახებ.

ამ ნაშრომში ჩვენ უმეტესად მესამე მნიშვნელობას ვეყრდნობით და განვიხილავთ მითოლოგიას, როგორც სპეციფიურ მსოფლმხედველობას. „მითოლოგიურ აზროვნებაში“ ჩვენ, პირველ რიგში, ვგულისხმობთ ფსიქიკური მოვლენების და ცნობიერების ფენომენების მთლიან კომპლექსს. მეორეს მხრივ, მითი ვლინდება ჩვენს წინაშე, როგორც ელემენტების რიგი, რომელიც თან დაჰყვება რიტუალებს, საკრალურ

ქმედებებს და თხრობას, თუ როგორი იყო ეს ყველაფერი თავდაპირველად. ამის მეშვეობით ინდივიდი თემის ცხოვრებას უერთდება, ინახავს მითს და შემდეგ თაობას გადასცემს. მითის სამყარო - თემის სამყაროა. მითი სოციოანთროპომორფულია. ამგვარად, მითოლოგიური მსოფლმედველობა შეიცავს ორ რიგს - სიტყვიერ-თხრობითს და მოქმედ-პრაქტიკულს. ასეთი მსოფლმხედველობის სინკრეტულობა და არადეფერენციულობა, რომელიც შეიცავს აბსოლუტურად განსხვავებული ცოდნის ელემენტებს, შეუძლებელს ხდის მის ნაწილებად დაშლას. ბევრი ავტორი, მათ შორის ე. მელეტინსკი და ა. ლოსევიც, თანხმდება, რომ მითოლოგიაში არ არის სუბიექტისა და ობიექტის, საგნის და სიტყვის მკაფიო განცალკევება. ერთიც და მეორეც სუბიექტის მიერ აღიქმება, როგორც რეალური, ნამდვილი. უმეტესად ეს იმით აიხსნება, რომ ინდივიდი არ გამოყოფს საკუთარ თავს გარემოდან, კოსმოსიდან. მეტიც, კოსმოსის არსებობა მათთვის თემის არსებობის ანალოგიად იქცა. მითოლოგიური აზროვნება შეიცავს და ეყრდნობა არა მხოლოდ ინდივიდუალურ გამოცდილებას, არამედ თემის გამოცდილებას. მ. მამარდაშვილი წერდა: „მითი მარავალათასწლოვანი კოლექტიური და უსახელო ტრადიციაა, რომელიც ინახება სახეებში, მეტაფორებში და მითურ არსებებში (Мамардашвили, 1996:12).“

მითის კონცეფციის საკუთარ მითოლოგიურ პრინციპს გვაწვდის ა. ლოსევი: „მე ვიღებ მითს ისეთს, როგორიც ის არის, ე.ი. მე მინდა გავხსნა და დავაფიქსირო რას წარმოადგენს მითი, როგორც ასეთი - როგორ იაზრებს ის საკუთარ ზღაპრულ ბუნებას - მე განვიხილავ მხოლოდ მითის დიალექტიკას (Лосев, 1991: 22).“

მაგრამ რას ნიშნავს განვიხილოთ მითი ისეთი, როგორიც ის არის? ა. ლოსევი ხსნის: „თავდაპირველად უნდა დავდგეთ თვითონ მითოლოგიის აზრზე, თვითონ გავხვდეთ მითური სუბიექტი, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და საგნები არსებობენ, არის მითოლოგიური, რომ სამყაროში მხოლოდ მითები არსებობენ (Лосев, 1991: 22).“

ამგვარად, მითის, როგორც ასეთის, განხილვა ნიშნავს ყველაფერს შევხედოთ მითური სუბიექტის თვალებით და არა ჩვენი რაციონალურ-თეორიულად მოაზროვნე

ადამიანის თვალებით. ამიტომაც ლოსევი ამბობს, რომ მითი არ არის გამოგონილი რამ, არ არის ზღაპარი, არ არის სახე... ის ყველაფერია.

აქედან გამომდინარე სავარაუდოა ისიც, რომ მითის სრული გაგება შეუძლებელია მხატვრულ სახესთან, რელიგიურ და მეცნიერულ გაგებასთან შედარებით. რა თქმა უნდა, მითის ყველა ეს თვისება ცალ-ცალკე მოიპოვება, მაგრამ ყველა მიმდინარეობა, რაც მითში აისახება აუცილებლად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და აზრი არ აქვს მითის განხილვას მხოლოდ ერთ კონკრეტულ კონტექსტში, ამ ტოტალური სინკრეტულობის ფარგლებს გარეთ. შეიძლება უცნაურად და პარადოქსალურად მოგვეჩვენოს, მაგრამ მითი არ შეიცავს არაფერს გამოგონილს, ფანტასტიკურ ან ზებუნებრივს. მაშ რა არის მითი მითური სუბიექტის პოზიციიდან? აქ ისევ დავესესხებით ლოსევს, რომელიც ამბობს: „მითი არის პიროვნული ყოფა ან პიროვნების ფორმა, პიროვნების სახე (Лосев, 1991: 76.)." და დავამატებთ: „ყოველი ცოცხალი პიროვნება ასე თუ ისე მითს წარმოადგენს (Лосев, 1991:77)."

ამგვარად, ჩვენ ვეთანხმებით ლოსევს იმაში, რომ მითების და მითოლოგიური აზროვნების შესწავლა უნდა მოხდეს კომპლექსურად, ყველანაირი რეურსისის და ძალის გამოყენებით. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ მცდარი შეხედულებებისგან და ბერკეტებისგან, რომელიც არ უნდა გააჩნდეს მეცნიერს და ვეცადოთ გვერდიდან და ობიექტურად შევაფასოდ არსებული მასალა.

მ. ელიადეს მიხედვით, მითი პრეისტორიული ხალხის ცხოვრებაში განსხვავებულ როლს თამაშობდა. რელიგიური ადამიანისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსცენდენტულ ფასეულობებს, რომელიც მითშია ჩადებული. და რა არის მითი მ.ელიადეს მიხედვით? მითი - კონკრეტული ისტორიაა, რომელიც, ძველი ხალხის წარმოდგენის მიხედვით, მათ წინაპრებს ეხება. მაგრამ ეს ამბავი მოხდა არა დროს რომელიღაც მონაკვეთში, არამედ დროის მიღმა. მითი საკრალურ ამბავს ყვება, გვიამბობს მოვლენებზე, რომელიც მოხდა „დროის დასაწყისში" (М. Элиаде, Аспекты мифа). ეს ისტორია საკრალური მოდელია, რომელსაც ხალხი თავის რიტუალებში იმეორებდა იმისთვის, რომ უფრო ახლოს ყოფილიყვნენ საკრალურთან.

აღსანიშნავია, რომ მითოლოგიურობა არა მხოლოდ ძველ ხალხს ახასიათებს, უბრალოდ ამ მაგალითზე უფრო ნათლად ჩანს მითის არსი. მაგალლითად, თუ შევადარებთ თანამედროვე და პირველყოფილ ადამიანს, მ. ელიადეს აზრით, პირველი საკუთარ თავს თვლის „ისტორიის შედეგად“, მაშინ, როცა მეორე საკუთარ წარმომავლობას „საკრალური ისტორიის შედეგად“ აღიქვამს, დროის დასაწყისში მომხდარი მითოლოგიური ამბების შედეგად. მნიშვნელოვანია, რომ ძველ ადამიანს არა მხოლოდ ამ ისტორიის ცოდნა ევალებოდა (მაგალითად გმირების თავგადასავლები), არამედ ამ ისტორიის რეაქტუალიზაცია და გამეორება რიტუალებში.

ჰუმანიტარული დისციპლინები არც ისე ბევრ და ზუსტ პასუხს გვაძლევს მითოლოგიური სისტემების მსგავსების საკითხზე, რომელიც თვითონ კოგნიტური გამოცდილების ბუნებითაა განპირობებული. ს. ავერინცევი ფიქრობდა, რომ „მითის მიახლოებითი აღწერაც შეუძლებელია სქემების, პირველელემენტების, პირველსახეების, ტიპების გარეშე.., „ყველაზე ადეკვატურად უნდა გამოვლინდეს სახეები, რომლებიც მეორდება და მოხდეს მათი სისტემატიზაცია“ (Аверинцев,1970: 113–143.). მითოგენეზის ბუნების გასაგებად ძალიან მნიშვნელოვანია, გავიგოთ, თუ რას წარმოადგენენ ეს პატერნები (მოდელები).

ამ პრობლემის მოსგავარებლად ჩვენ მივმართავთ ფსიქოანალის და კ. იუნგის ცნობილ თეორიას, რომელიც დღესაც აქტუალურია.

მისი თეორის ძირითადი პრინციპები უკვე თითქმის საუკუნეა აქტიურად გამოიყენება ფსიქოანალიზში და ასევე მითოლოგიური სისტემების შესწავლაში.

კ. იუნგი ვარაუდობდა ყველა მითოლოგიურ სისტემაში სახეებისა და სიმბოლოების ფენის არსებობას, რომელსაც ის არქეტიპულს ან პირველსახეებს უწოდებს. არქეტიპის ცნება იმ გაგებით, რა გაგებითაც მას დღეს ვიყენებთ, იუნგმა 1919 წელს შემოიტანა და პირველად სტატიაში „ინსტინქტი და არაცნობიერი“ ახსენა. მანამდე ის მსგავსი შინაარსის ტერმინს, „პირველსახეს’ იყენებდა და ორივეში გულისხმობდა

„აპრიორულად თანდაყოლილ ინტუიციის ფორმებს“.[1] კ. იუნგმა საფუძვლად აიღო ფროიდის მიერ შეთავაზებული თეორიები, განავითარა ისინი და რელიგიის ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობის, ანთროპოლოგიისა და იკონოგრაფიის მეშვეობით, საკუთარი თეორია კულტურის ყველა სფეროზე გაავრცელა.

არქეტიპი - საყმაროს გაგების და შეგრძნების ფორმაა, რომელიც არსებობს ადამიანის ფსიქიკის არაცნობიერ ფენაში, აქვს აპრიორული, თანდაყოლილი ხასიათი და ყველა ადამიანს აქვს“ (Юнг, 1997; 384). თვითონ არქეტიპები არაცნობიერის უფრო ღრმა დონეს წარმოადგენენ, ვიდრე ინდვიდუალური არაცნობიერი, ფიქსირდებიან თითქმის გენეტიკურ დონეზე და ადამიანის ქცევის განმსაზღვრელს წარმოადგენენ. სენდეროვიჩი თვლის, რომ არსებობს კავშირი სოციალურ ინსტინქტებსა და არქეტიპებს შორის - ორივე მათგანი კოლექტიური ფენომენია და ერთმანეთს განსაზღვრავს.[2]

პირველსახე ამ კონტექსსტში განსაზღვრულია, როგორც „ინსტინქტის მიერ საკუთარი თავის განსაზღვრა“ და ის გამოხატავს ინსტინქტის ფორმასა და მიმართულებას.[3] კოლექტიური არაცნობიერი, ამ შემთხვევაში შედგება ინსტინქტებისა და არქეტიპების ჯამიადან და მათი კორელიატებისგან. მაგრამ ჩვენ მეტს არ ჩავუღრმავდებით იუნგის კოლექტიური არაცნობიერის და არქეტიპების თეორიას, რადგან ის ყველა მეცნიერისთვის დღესდღეობით კარგად ცნობილია და ჩვენი ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს ზოგადი არქეტიპების თეორიის განხილვა. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კოლექტიური არაცნობიერის თეორია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საკითხი, რომელსაც ჩვენს განვიხილავთ, საბოლოოდ, მთლიანად ეყრდნობა არქეტიპებს.

ამგვარად, ჩვენ დავიწყებთ უძველესი დროიდან, დროიდან რომლისგანაც არაფერი დაგვრჩა რამდენიმე ხელნაწერი/პაპირუსის/კედლის წარწერების და კედლის მხატვრობის გარდა.

---

[1] http://www.psyinst.ru/library.php?part=article&id=1381
[2] http://anthropology.rchgi.spb.ru /yung/yung_i1.htm
[3] http://www.psyinst.ru/library.php?part=article&id=1381

2. ლიტერატურულ წყაროებში არსებული სოლარული მითები და მათი კროსკულტურული და შეპირისპირებითი ანალიზი

„... არაფერია მზის ქვეშ ახალი“ (ეკლესიასტე, 1:9)

ფაქტია, რომ უძველესი ხალხი, მათ შორის ისინი, ვისაც დღეც „პრიმიტიულს“ ვუწოდებთ, ფლობდა შთამბეჭდავ ცოდნას, რომელშიც გეომეტრიის ზუსტი ცოდნა და ასტრონომიული ექსპერტიზა შედიოდა. ისიც ფაქტია, რომ ამის ასახვის მცდელობის დროს უძველესი ხალხი საოცარ სიღრმეებს სწვდებოდა, რაც დღეს, თანამედროვე ადამიანისთვის, ტექნოლოგიური პროგრესის მიუხედავად, თითქმის წარმოუდგენელია. სხვა კუთხით რომ შევხედოთ, ეს მათი დაინტერესება და ამ საკითხით ინსპირაცია რელიგიური ტენდენციებით იყო გამოწვეული. ყველაფერი, რასაც უძველესი ადამიანი აკეთებდა, რაზეც ფიქრობდა და კამათობდა, რელიგიიდან გამომდინარეობდა, ან პირიქით, მათი ფიქრების და კამათის შედეგად, იქმნებოდა რელიგიები, მთელი სისტემები, რომლებიც დღემდე შემორჩა და უკვე ცივილურ, ტექნოლოგიურად უმაღლესად განვითარებულ სამყაროში ჯერ კიდევ მთავარი ადგილი უჭირავთ.

რთული დასაჯერებელია, მაგრამ უძველესი ხალხის ასტრონომიული მეცნიერება დღესაც გამოიყენება სავსე მთვარის, მზის დაბნელების და სხვა კოსმიური მოვლენების ასახსნელად. ეს იმიტომ ხდება, რომ, მუხედავად იმისა, რომ კაცობრიობა ფლობს უახლეს ტექნოლოგიებს, ჩვენ მაინც შორს ვართ ისეთი ხალხის ასტრონომიული მეცნიერებიდან, როგორიც, მაგალითად, მაიას ტომი იყო. რა თქმა უნდა, ცოდნა, რომელიც ამ ხალხს გააჩნდა ჩვენამდე პირველადი სახით ვერ მოაღწევდა. კაცობრიობის რეგრესი და ამ ცოდნის დაკარგვა განპირობებული იყო კატაკლიზმებით და კულტურების განადგურებით. ძველ მსოფლიოში ყველაფერი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იყო: ენები, კულტურები, რელიგიები და დღესაც კი რთულია მათი გარჩევა და პირველწყაროს ნახვა. თუმცა, ამ მნიშვნელოვანი, უძველესი ცოდნის შენარჩუნება ნაწილობრივ მოხერხდა, რადგან უძველესი ხალხი

იყენებდა მითებს, როგორც მნემონიურ (მეხსიერების) საშუალებას, რომელსაც გადასცემდნენ თაობიდან თაობაში. ეს ტრადიცია განსაკუთრებით ძლიერი მაშინ იყო, როცა დამწერლობა ჯერ კიდევ არ არსებობდა, ან შეზღუდული იყო. სამწუხაროდ ამ ცოდნის გასაღები ხშირად იკარგებოდა და მითები აღქმული იყო, როგორც „ისტორიული ფაქტი“.

მითოლოგიების შექმნის წინაპირობა ის იყო, რომ ეს უძველესი ხალხი ასულიერებდა ციურ სხეულებს და ბუნების ძალებს, მათ იდენტიფიცირებას ახდენდა ცხოველებთან და მიწიერ ობიექტებთან, საბოლოოდ მოვლენების პერსონიფიკაციას ახდენდა, როგორც „ღმერთების“. უძველესი ხალხის რწმენის მიხედვით, ეს „ღმერთები“, როგორც ყველაფრის შემქმნელები, კოსმოსის მცველები და გამანადგურებლები, საჭიროებდნენ ლოცვასა და მსხვერპლშეჭირვას იმისათვის, რომ არ გაანადგურონ დედამიწა. ასე დაიბადა ასტროთეოლოგიური რელიგია.

„პრეისტორიულ ლუნარულ ისტორიაში“ ინდოელი მეცნიერი ს.ბ. როი უძველეს ასტროთეოლოგიას თანამედროვე „ცივ“ ასტრონომიას ადარებს და უკავშირებს ასტრონომიის განვითარებას ინდოეთში, სადაც უძველესი კულტურული ტრადიცია მოიპოვება:

„დღეს ასტრონომია ცივი კონცეფციაა - ცივი მეცნიერება, რომელიც ასახავს უსიცოცხლო მასების მოძრაობას უსიცოცხლო ცაში. უძველეს პრეისტორიულ დროს ყველაფერი პირიქით იყო. უძველესი ხალხისთვის...სამოთხე ღმერთებისა და მისტერიების სამყოფელი იყო. ცა - რიგ ვედას დაუსი - თვით სიცოცხლე იყო. ვარსკვლავები ღმერთების საცხოვრებელი ადგილი იყო, ასევე, კაშკაშა ვარსკვლავები თავად იყვნენ ღმერთები. ასტრონომია იყო არა ზეციერი სხეულების, არამედ ზეციერი არსებების ცოდნა: ღვთაებრივი, მშვენიერი, კოსმიური და საღვთო ცოდნა - დევების ცოდნა - კაშკაშა, ნათელი ღმერთების (Roy,1976:1.).“

ამგვარად, ასტროლოგია, ასტროთეოლოგია - „ღვთაებრივი მეცნიერება“ - ათასწლეულებს ითვლის, და ყოველთვის იყო კაცობრიობის ცივილიზაციების უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

საუკუნეების განმავლობაში ხალხი არა მხოლოდ აკვირდებოდა ციური სხეულების მოძრაობას, არამედ მათ პერსონიფიკაციას ახდენდა და ქმნიდა ისტორიებს მათ შესახებ, რაც შემდეგ, სახეშეცვლილი, გვხდება ყველა კულტურაში. უძველესი ხალხების რელიგიები ფართოდ იყო დაფუძნებული ასტროთეოლოგიაზე, მათი ღმერთები ცას, ვარსკვლავებს, მზეს, მთვარესა და პლანეტებს წარმოადგენდნენ. ამ პოლითეისტური, ასტროლოგიური ატმოსფეროდან შეიქმნა 'ყველაზე დიდებული ამბავი, ოდესმე ნათქვამი' - სახარებები. ამგვარად, ქრისტიანული რელიგია, შექმნილი და ბევრჯერ სახეშეცვლილი, ფაქტობრივად ასტროთეოლოგიურია და დაფუძნებულია მითოლოგიაზე, უძველესი ხალხის მიერ ციური სხეულების მოძრაობისა და ურთიერთკავშირის მრავალსაუკუნოვან დაკვირვებაზე, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი კი მზე იყო.

აქ გვსურს ცოტათი ჩავუღრმავდეთ ერთ საკითხს: რადგან ჩვენ მზის კულტის საკითხის ახლებურად და სიღრმისეულად გამოკვლევა გვსურს და არქეოლოგიასთანს, ანთროპოლოგიასთან, ლიტერატურასთან და თეოლოგიასთან ერთად მივმართავთ ისეთ ზუსტ მეცნიერებებს, როგორებისაა ფიზიკა, ასტრონომია და ასტრობიოლოგია, გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან დისციპლინას, რომელიც აუცილებელია ჩვენი კვლევისთვის - არქეოასტრონომიას.

მიუხედავად იმისა, რომ არქეოასტრონომიული კვლევები ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაიწყო, თვითონ ტერმინი „არქეოასტრონომია" პირველად XX საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ კი 1973 წელს ელისაბეთ ჩელსი ბეითის მიერ იყო გამოყენებული. არქეოასტრონომია სწავლობს თუ როგორ აღიქვამდა უძველესი ხალხი ცისა და ციური სხეულების ფენომენს, როგორ გამოიყენებდნენ და რა როლს თამაშობა ცა მათ კულტურებში. ეთნოასტრონომიასთან და ასტრონომიის ისტორიასთან ერთად ეს დისციპლინა დღესდღეობით ძალიან ეხმარება არქეოლოგიას, ანთროპოლოგიასა და ფოლკლორისტიკას.

ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ მძლავრი ინსტრუმენტების არქონის მიუხედავად, უძველეს ხალხს საკმაოდ კარგი წარმოდგენა ჰქონდა ცის შესახებ. მაგრამ ყველა ციური სხეული, რომელსაც ისინი აკვირდებოდნენ მხოლოდ შეუიარაღებელი

თვალისთვის იყო ხელმიასწვდომი. ამიტომ დღეს, როცა ჩვენ განვიხილავთ ცას, ისეთს, როგორსაც უძველესი ხალხი ხედავდა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ უამრავი ფაქტორი. თუ ჩვენ გვსურს უძველესი ცივილიზაციების კულტურებისა და არქიტექტურის გაგება, რომელიც კომპლექსურად მათი წესებისა და მსოფლმხედველობის შესახებ გვიქმნის წარმოდგენას, უნდა შევისწავლოთ და გავიგოთ ასტრონომია ისე, როგორც ამას უძველესი ხალხი ხედავდა: შეუიარაღებელი თვალით, დედამიწის ზედაპირიდან. ჩვენი პლანეტის მასის ცენტრი ელიფსურად მოძრაობს, და მზე ერთ ფოკუსშია განლაგებული. სიბრტყეს, რომელიც მზესაც და დედამიწის ორბიტას შეიცავს ეკლიპტიკა ქვია. დედამიწის ღერძი ეკლიპტიკის პარალელური არაა, არამედ 23,5 გრადუსით დახრილია და ამ კუთხეს მზის დახრა ქვია. ძალიან რომ არ ჩავუღრმავდეთ ტექნიკურ საკითხებს, გადავალთ პირდაპირ მზეზე. მზე ის ობიექტია, რომელიც ყველაზე თვალშესაცემია შეუიარაღებელი თვალისთვის დედამიწიდან. კიდევ ერთი მნშვნელოვანი საკითხი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ: ორი პარალელი რომლებსაც ჩრდილოეთის ტროპიკი (ან კუროს ტროპიკი) და სამხრეთის ტროპიკი (ან ვერძის ტროპიკი) ჰქვია. ჰორიზონტიდან, ამომავალი მზე მოძრაობს მინიმალური ღერძიდან აღმოსავლეთის ჩრდილოეთით, მაქსიმალურ ღერძთან, აღმოსავლეთის სამხრეთთან. ზუსტად ეს არის ორი ბუნიაობა: ზაფხულის და ზამთრის. ამგვარად ხდება მზის აღორძინება, რეინკარნაცია და მკვდრეთით აღდგომა.

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, რომელიც არქეოასტრონომიას ეხება: დღევანდელი გათვლებით, თითქმის აბსოლუტური სიზუსტით შესაძლებელია ამა თუ იმ ციური სხეულის მოძრაობის და ცაში განლაგების წრტილის პოვნა, თუ მიახლოებით მაინც ვიცით დამკვირვებლის განედი და გრძედი (როგორც, მაგალითად, ბიბლიური მოგვების და სირიუსის ვარსკვლავის შემთხვევაში, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ).

მზე დედამიწის ყველა კულტურის ფოლკლორსა და რელიგიაში ფიგურირებს. ბევრ ადგილას და ბევრ ეპოქაში მზე იყო აღქმული, როგორც ღვთაებრივის ყველაზე ხილული გამოვლინება. ის განიხილებოდა სიცარიელეში გაჩენილ პირველ არსებად და სიცოცხლისა და მატერიის წინაპრად. მზე, ასევე, წარმოადგენდა ადამიანის

არქეტიპს, რადგან ადამიანები აღიქმებოდნენ „სოლარულ ქმნილებებად“. გარდა იმისა, რომ მზე სულის სიმბოლო იყო, რადგან ამოდიოდა და ჩადიოდა, ის ასევე სულის განმწმენდად მოიაზრებოდა. ასე რომ, ეგვიპტური ერიდან გნოსტიკურ ქრისტიანობამდე მზე, მთვარესთან და სხვა ზეციურ სხეულებთან ერთად, იყო აღქმული შემდეგი ცხოვრების გიდად. გნოსტიკოსი ზოროასტრიანელებისთვის მზე იყო ძლიერი ჯადოქარი, ღვთიური ძალის ყველაზე ძლევამოსილი წარმომადგენელი, ვინც „გადმოაბიჯებს, როგორც დამპყრობელი, მართავს სამყაროს, რომელსაც ასხივოსნებს ორმუზდის ტახტიდან“ (Pike, 1928:612). ქრისტიანულ ერამდე დიდი ხნით ადრე მზე ცნობილი იყო, როგორც „ორმუზდის შვილი“, „მედიატორი“, მაშინ როდესაც მისი მოწინააღმდეგე, აჰრიმანი, წარმოადგენდა სიბნელეს, რომელმაც ადამიანის დაცემა გამოიწვია“ (Pike, 1928:613).

ბევრ კულტურაში მზე მოიაზრება არა მხოლოდ „მხსნელად“, არამედ ექიმად და მკურნალად, ორივე, სხეულის და სულის დაავადებებისა. ასევე, უძველეს ხალხს სწამდა, რომ მზე აფრთხობდა კოშმარებს და მათ დემონებისგან იცავდა. ის კარგი ბედის, მშვიდობის და ბარაქის მომტანი იყო. მზე, ასევე, იყო სულიერი წინამძღოლი და მისტერიების შემნახველი. როგორც ინდოელი მეცნიერი, ვ. ს. შრივასტავა თავის ნაშრომში „მზის თაყვანისცემა უძველეს ინდოეთში“ ამტკიცებს, „ამბობენ, რომ როგორც მზე გარშემორტყმულია თავისი სხივებით, ნამდვილი რეალობა არის დამალული უცოდინარობაში (Srivastava, 1972:113).“

მზე, ასევე, ქორწინების, ქურუმთა, რელიგიური რიტუალებისა და სხვა ინიციაციების მფარველი იყო. ასეთ დროს უძველესი ხალხი ხშირად იყენებდა ლოცვას, როგორც მზისკენ მიმართვას და ყოველდღიური ლოცვა მზის კულტის განუყოფელი ატრიბუტი იყო. საინტერესოა, რომ იმ ადგილებში, სადაც კლიმატური პირობების გამო აუტანელი სიცხე იყო, მზეს განიხილავდნენ, როგორც ბოროტებას. მისი „მუდმივობისა“ და „სტაბილურობის“ გამო მზე მოიაზრებოდა ყველაზე დიდ მსაჯულად. მზის სიმბოლოს ირგვლივ იკვრებოდა კანონები, იმართებოდა ბრძოლები და ომები. საინტერესოა იქ ფაქტიც, რომ ზოგჯერ მზეს გამოხატავდნენ, როგორც დამწერლობის შემქმნელს ან მფარველს. ასე, მაგალითად, ჩინეთში, ზოგი მეცნიერი თვლიდა, რომ „მზის გამოსახულება და - ვენ - კოუს კულტურის

ნეოლითის დროინდელ ჭურჭელზე (4300-2500 წწ ჩვენს წელთაღრიცხვამდე) შეიძლება ყოფილიყო პრიმიტიული ჩინური დამწერლობის საფუძველი“ (Singh, 1993:62). ასეთი სოლარული გამოსახულებები, მათ შორის სპირალები, წრეები, სვასტიკები (ბორჯღალი) და წერტილები სკულპტურებზე და პეროგლიფებზე მოიპოვება მთელ მსოფლიოში.

მზე, ასევე, აღქმული იყო, როგორც სამეფო ოჯახის ღვთაება და ბევრი მეფე მის შთამომავლობაზე საუბრობდა. შთამომავლობის ასეთი მტკიცება, ან „მეფეთა მეფის“ წოდება, სხვადასხვა ადგლას იჩენდა თავს ათასწლეულების განმავლობაში. მაგალითად, პირველი ეგვიპტური დინასტია მზისგან მოდიოდა, სპარსეთის მოგვები - მითრადან, „მზე-ღმერთისგან“. თანამედროვე დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები ამტკიცებდნენ, რომ მზის ღმერთი ‘ჰუ’ იყო „კაცობრიობის მამა“ და მათ მსგავსად ინკებიც იყვნენ „მზის შვილები“. მათ მსგავსად, ინდოელი რაჯები ამტკიცებდნენ, რომ არიან „მზის შვილები“ ან „მთვარის შვილები“. ბერძნები საკუთარ თავს აღიქვამდნენ, როგორც სოლარულ რასას, რომელიც ჰელიოსიდან ან აპოლოდან მოდის, შუმერები და სემიტები მესოპოტამიაში დაახლოებით იმავეს ამტკიცებდნენ.

მზის უძველესი თაყვანისცემის დადასტურება მოიპოვება ისტორიაშიც და არქიტექტურაშიც, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ამ თემაზე ცოტა რამ არის ცნობილი. ამას რა თქმა უნდა, საფუძველი და მიზეზი გააჩნია - ეს ასტროთეოლოგიური ცოდნა გვაჩვენებს დღესდღეობით ყველაზე გავრცელებული, ყველაზე მეტად თაყვანისცემული და „პოპულარული“ რელიგიების სათავეებს და საფუძველს. ამ თემასთან დაკავშირებით ფაქტებს და მტკიცებულებებს ვპოულობთ ისეთ ავტორიტარულ უძველეს მწერლებთან, როგორებიცაა პროდიკოსი, ჰეროდოტე, დიოდორე, კეისარი და სხვები. ერთ-ერთი ასეთი ძველი ავტორის, ბერძენი ემპედოკლეს შესახებ, კლიმენტ ალექსანდრიელი „სტრომატებში“წერს: „ემპედოკლე ამბობს: „მაგრამ ახლა, უპირველეს ყოვლისა, მე ვისაუბრებ მზეზე, ყველა საგნის პირველად მიზეზზე, რადგანაც ყველაფერი, რასაც ვუყურებთ, მზისგან აღმოცენდა.

ორივე, დედამიწა და მღელვარე სიღრმე, და ნესტიანი ჰაერი; ტიტანი და ეთერი, რომელიც აკავშირებს ყველაფერს ჩვენს ირგვლივ.“[4]

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, ალექსანდრიელი სტოიკოსი, ფილოსოფოსი და ნერონის მასწავლებელი ქერემონი ამბობს, რომ „მზე დემიურგების შექმნილია (Iamblichos,1911: 257).“

ე.წ. „ებრაელმა პლატონმა“, ფილონ ალექსანდრიელმა განავითარა საკუთარი პერსონიფიცირებული სოლარული ლოგოსი, რომელიც შემდგომ ქრისტიანობაშიც გვხვდება. ასტროთეოლოგიის გასაგებად ასევე აუცილებელია კიდევ ორი ძველი ავტორის, პლატონისა და პტოლემაიოსია შრომების სწორად გააზრება.

- ❖ კლემენტ ალექსანდრიელი, ბერძენი თეოლოგი:

მზის, როგორც ღვთიურის ხილული წარმომადგენლის თაყვანისცემა გაგრძელდა ქრისტიანულ ერაშიც, მიუხედავად იმისა, რომ მას ეწინააღმდეგებოდნენ ეკლესიის ავტორიტეტები. თავსი ნაშრომში „წარმართთა მიმართ“ (Exhortation to the Heathen) კლიმენტ ალექსანდრიელი აღწერს მზის თაყვანისცემას და გვაჩვენებს, თუ რამდენად ფართოდ იყო გავრცელებული ის; IV თავში კლიმენტი არწმუნებს მკითხველს თაყვანი სცეს არა მზეს, არამედ მის შემქმნელს. V თავში განხილულია მენანდრე, ათენელი პიესების ავტორი, რომელიც „შეცდა“, როცა თქვა, რომ მზე იყო „პირველი ღმერთთაგანი“. თავისი კომენტარით, კლიმენტი აშკარად ცდილობს ფილოსოფიური პოლემიკის დაწყებას და გამარჯვებას, რადგან მენანდრე შორსაა შეცდომისგან და ზუსტად აღწერს მზის თაყვანისცემას თავის თანამედროვე ხალხების კულტურაში.

- ❖ პორფირე, ბერძენი მეცნიერი და ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსი:

კლიმენტის და სხვების აზრის მიუხედავად, მზის თაყვანისცემა რომაულ იმპერიაში საუკუნეების განმავლობაში პოპულარულად რჩებოდა, როგორც არის მოხსენებული ზოგ მწერალთან, მათ შორის პორფირესთან. პორფირე ცნობილია თავისი პროწარმართული, ანტიქრისტიანული ნაშრომით „ქრისტიანობის წინააღმდეგ“ (Adversus Christianos). სამწუხაროდ, პორფირეს ნაშრომის მხოლოდ ფრაგმენტებია

[4] www.newadvent.org/fathers/02105.html

შემორჩენილი და გვხვდება ქრისტიანი მასწავლებლის, მაკარიუს მაგნესის IV-V საუკუნის ნაშრომებში, რომელიც ბოლოს ჯოსეფ ჰოფმანმა თარგმნა. ფრაგმენტები, ასევე, მოიპოვება ეკლესიის ისტორიკოსის ევსევი კესარიელის ნაშრომში „სახარებებისთვის მზადებაში“. ამ ამონარიდებში ნათლად ჩანს, რომ იმ დროის ნასწავლ ადამიანებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ მზის კულტის შესახებ. ევსევი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა მზის ღმერთი და მათი პერსონიფიკაცია ხდებოდა მზის პოზიციების მიხედვით. თავის ახსნაში პორფირე განიხილავს ძველ ბერძნებს და ღვთიური ძალის მათ აღქმას. როდესაც მზე „დედამიწის სიბოროტეს სცდება“ მას ქვია ჰერკულესი და მისი 12 გმირობა წარმოადგენს ზოდიაქოს ნიშნებს; მზის მკურნალ ძალას ასკლეპიუსი ჰქვია; შემდეგ პორფირი აგრძელებს დიონისეთი, რომელიც მზის მოძრაობის დაუძლეველ ძალას წარმოადგენს; მზეს ქვია ჰორუსი, როდესაც „ბრუნავს კოსმიური წელიწადის დროების ირგვლივ“; გვევლინება, როგორც სოფლის მეურნეობის მბრძანებელი და მფარველი - ბერძნული მითი დემეტრესა და კორეს შესახებ; ზამთრის ბუნიობის მზის ღმერთი კი პლუტონი/ჰადესი არის; სამთავა ძაღლი ცერბერიც კი მზეს წარმოადგენს: დილით, შუადღით და ღამით.

ამის მსგავსად პორფირი განიხილავს მთვარესაც, როგორც არტემისს, ქალწულს, რომელიც ბავშვების გაჩენას მფარველობს, რადგან „ახალი მთვარის შუქი სასარგებლოა მშობიარობისთვის“. შემდეგ ის ამბობს, რომ აპოლო მზისთვის იგივეა, „რაც ათინა მთვარისთვის; რადგან მთვარე სიბრძნის სიმბოლოა.“[5]

ევსევი, ასევე, პორფირეს ციტირებას ახდენს, როცა საუბრობს „ორფიკულ ჰიმნზე“ და ბერძენ ღმერთ ზევსზე ამბობს: „მისი თვალები მზეა, მთვარე ირეკლავს შუქს“ და ამტკიცებს ძველ იდეას, რომ მზე და მთვარე ღვთიურის თვალებია (Spence, 1996:97).

საუკუნეზე მეტი ხნს წინ მაქს მიულერმა თქვა: „ვერასდროს გავიგებთ ბოლომდე თუ რა ადგილი ეკავა მზეს ადრეული ადამიანების გონებაში. არც უკანასკნელი სამეცნიერო აღმოჩენები, რომელიც აღწერილია ტინდალის გენიალურ მჭერმეტყველებაში, რომლებიც გვასწავლიან თუ როგორ ვიცხოვროთ, ვიმოძრაოთ მზეში, როგორ ვისუნთქოთ მაგით, როგორ გვკვებავს ის - არ გვაძლევს არავითარ

[5] www.cosmopolis.com/texts/porphyry-on-images.html

წარმოდგენას ამ სიცოცხლისა და სინათლის წყაროზე, ამ მდუმარე მოგზაურზე, ამ მაგიურ მმართველზე, ამ განშორებულ მეგობარზე ან მომაკვდინებელ გმირზე, მის დღიურ ან წლიურ კურსზე, რომელმაც კაცობრიობის ცნობიერი გამოაღვიძა. ხალხს უკვირს თუ რატომ იყო უძველესი მითოლოგიის ასეთი დიდი ნაწილი და თუნდაც ყოფითი საუბრები ამდენად სოლარული; და როგორი შეიძლებოდა არ ყოფილიყო? მზის სახელები უსაზღვროა, ისევე როგორც ამბები მზეზე; მაგრამ ვინ იყო ის, საიდან მოვიდა და სად წავიდა, გამოუცნობად რჩება თავიდან ბოლომდე (Muller, 1879).

მზე იყო არა მხოლოდ „უდიდესი არქიტექტორი“ და „ლოგოსი“, არამედ „მმართველი“, „მხსნელი“ და „ყოვლისშემძლე ბირთვი“, რომელიც ადამიანის ბედს აკონტროლებდა. „პირველადი არსის“ გარდა მზე იყო „ღმერთების ღმერთი“, „მეფეთა მეფე“, ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველი, სამყაროს გონის წარმომადგენელი. მზე - „უდიდესი მამა“ და მთვარე - „უდიდესი დედა“ იყვნენ კაცობრიობის „წინაპრები“ და „მფარველები“.

2.1. სოლარული მითების ელემენტები ეგვიპტურ კულტურაში

ეგვიპტური პანთეონი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ეგვიპტურმა კულტურამ მიაღწია უზარმაზარ მწვერვალებს და მისი ზეგავლენა მთელ მსოფლიოში გამოიკვეთებოდა საუკუნეების და ათასწლეულების განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ის აღიქმება, როგორც მასობრივი „პოლითეიზმი“, ეგვიპტური რელიგია, ისვე როგორც სხვები, იყო პოლითეისტური, პანთეისტური, მონოთეისტური და ჰენოთეისტური ერთდროულად. ფაქტობრივად, უფრო სწორი იქნებოდა თუ მივმართავდით ეგვიპტურ კულტურას და რელიგიებს, რადგან ისინი ხშირად იცვლებოდნენ ათასწლეულების განმავლობაში. რაც შეეხება ეგვიპტურ მონოთეიზმს, ცნობილი ეგვიპტოლოგი ე. ვალის ბადჯი მიიჩნევდა, რომ ზოგიერთი ეგვიპტოლოგი „მივიდა დასკვნამდე, რომ ნილოსის ფერდობის მაცხოვრებლები ადრეული დროიდან აღიარებდნენ და თაყვანს სცემდნენ ერთ ღმერთს, უსახელოს, მიუწვდომელს და მარადს“(Budge, 1967: xci).

პოლითეიზმი და მონოთეიზმი ეგვიპტეში ერთად არსებობდნენ, გვერდი-გვერდ ვითარდებოდნენ უკვე მე-5 დინასტიაში (XV საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ახენატონამდე და „ერთი ღმერთის“ აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე. ეგვიპტური რელიგიის ბუნებაზე ე. ბადჯი ასევე ამბობს:

„ყველა დროის ტექსტებიდან ამოკრეფილი პასაჟებიდან გასაგები ხდება, რომ ფორმა, რომელშიც ღმერთი ეცხადება ადამიანს არის მზე, რომელსაც ეგვიპტელები რა-ს უძახიან... და ყველა დანარჩენი ღმერთი და ქალღმერთი უბრალოდ მისი ფორმაა (Budge, 1967:xciii).“

მიუხედავად იმისა, რომ „რა“ მთავარი მზის ღმერთია, ეგვიპტური პანთეონის მზის ღმერთები “ჩვენს წინაშე წარსდგებიან პიველყოფილ არეულობაში“ და ბევრ მათგანს

გააჩნია სოლარული ატრიბუტიკა. ეგვიპტური “მიცვალებულთა წიგნის” ბრიტანეთის მუზეუმის პაპირუსში, რომლის ნაწილები 7000 წელს ითვლის (Bonwick, 1894:188), მზის ღმერთს რას ეწოდება „სამოთხის მბრძანებელი, დედამიწის მბრძანებელი, ჭეშმარიტების ღმერთი, მარადისობის მბრძანებელი, უკვდავების უფლისწული, ყველა ღმერთის მმართველი, სიცოცხლის ღმერთი, მარადისობის შემქმნელი, სამოთხის შემქმნელი...“ (Budge, 7). ამ ეპითეთებისგან უმრავლესობა მოგვიანებით გამოყენებული იყო ქრისტიანული სოლარული ლოგოსის, ქრისტეს, აღწერისთვის. ის, რომ ყველა დანარჩენი ღმერთი პანთეონში რას, ან მზის ღმერთის ფორმები იყო , ნიშნავს იმას, რომ ყველა მათგანი იზიარებდა ამ ღვთიურ ატრიბუტიკას. ამ ღმერთებისგან რამდენიმე „რას შვილები“ იყვნენ, ვის შესახებაც კუნი ამბობს: „ეგვიპტურ ხელნაწერებში რას თორმეტი შვილი (იაკობის თორმეტი შვილი და ისრაელის თორმეტი ტომი) წოდებული იყო „სინათლის განძს თორმეტი მხსნელი“.

სოლარული რას ერთ-ერთი შვილი და ჰიპოსტასი მხსნელი ოსირისი იყო, რომელიც თავის ლუნარულ მეუღლესთან, ისიდასთან ერთად, გახდა ყველაზე პოპულარული ღმერთი, რომელიც ადამიანს მოევლინა. ერთ თუ სხვა ფორმაში თაყვანისცემული ოსირისი ათასწლეულების განმავლობაში ყველაზე პატივცემული იყო უძველეს სამყაროში, მთლიანი კულტურები მის ირგვლივ იქმნებოდა, ისევე როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების უდიდესი ნაწილი, ტაძრები და სამარეები.

ამგვარად, ოსირისი ძალიან ძველი ღმერთია, რომლის თაყვანისცემაც ათასწლეულებს ითვლის ახალ ეპოქამდე და რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი ღმერთი იყო. რაც დრო გადიოდა, ოსირისმა უფრო მიისაკუთრა უთვალავი ღმერთის ატრიბუტები და გახდა „მეფეთა მეფე“ და „ღმერთების ღმერთი“, როგორც მას უწოდებენ ეგვიპტურ ტექსტებში (პირამიდების ტექსტებში). გვიანდელი მე-18 და ადრინდელი მე-19 დინასტიების დროს (1300 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ოსირისის ეპითეტები იყო: „მარადისობის მეფე, უკვდავების ღმერთი, რომელიც მოგზაურობს მილიონ წელიწადს სიცოცხლის განმავლობაში, ნუტის საშოს პირველ დაბადებული შვილი, სებისგან შობილი, ღმერთებისა და ადამიანების უფლისწული, ღმერთთა ღმერთი, მეფეთა მეფე, მმართველთა მმართველი, უფლისწულთა უფლისწული, სამყაროს მბრძანებელი... ვისი არსებობა

მარადიულია (Budge, liii). ოსირისის დაბადების დროს ხმამ გამოაცხადა: „დედამიწის მბრძანებელი დაიბადა (Reade, 3).“ როგორც ვხედავთ ეს ამაღლებული, ღვთიური სტატუსი აბსოლუტურად არა ორიგინალურია ქრისტიანული მხსნელის შემთხვევაში, რადგან ის წინ უსწრებს ქრისტეს დაბადებას.

მე-18 დინასტიის დროს (1570-1070 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ჩნდება ოსირისის ჰიმნი, რომელიც ქრისტიანი ეგვიპტოლოგი ბაჯის მიერაა ნათარგმნი:

„მან, ვინც სამყარო ხელით შექმნა, წყლები და ქარი, მცენარეები და პირუტყვი, ყველა ფრინველი და თევზი, ყველა მცოცავი არსება და ყველა ოთხფეხა არსება (Budge, 154).“

აშკარაა ამ თარგმანის და ბიბლიური სამყაროს შექმნის მითის მსგავსება. გენეზისში ღმერთი ქმნის სამყაროს და ამბობს: „და თქვა ღმერთმა: „წარმოშვას მიწამ ცოცხალი არსებანი მათი გვარისამებრ – პირუტყვი, ქვეწარმავალნი და მიწის მხეცები მათი გვარისამებრ.” და იქმნა ასე. და შექმნა ღმერთმა ცხოველნი მიწისა მათი გვარისამებრ, და პირუტყვი – მისი გვარისამებრ, და ყოველი ქვეწარმავალი მიწისა – მისი გვარისამებრ.“ (დაბადება, 1:24,25) ოსირისი შექმნის უდიდესი ღმერთი იყო, იაჰვეს ეკვივალენტი. მართლაც, ფინიკიური წარწერა ამბობს „ოსირის ელოჰ“, ელოჰ, სახელი. რომელსაც იყენებს ისრაელის ათი ტომი და ელოჰიმ დანარჩენი ორისთვის (Bonwick, 1984:154).” ებრაული „ელოჰიმ“, მრავლობითი ტერმინი. ებრაულ ძველ აღქმაში 2600 ჯერ არის გამოყენებული და უმეტესად ნათარგმნია, როგორც მხოლობითი სახელი „ღმერთი“.

არ არის გასაკვირი, რო გენეზისი და სხვა ბიბლიური ტექსტებს, კონცეპტებს და ამბებს საფუძვლად ეგვიპტური ამბები უდევთ. ეგვიპტის ლევანტზე ისტორიული, ლიტერატურული და არქეოლოგიური გავლენა აშკარაა და შეიცავს ოსირისის არსებობას ისრაელში. „ბიბლიური არქეოლოგიის მიმოხილვის“ ერთ-ერთ სტატიაში სახელად „რას აკეთებს ეგვიპტური ტაძარი ისრაელში“, გაბრიელ ბარკეი ამბობს:

„ოსირისის სახელი ჩნდება ნუბიის მოწითალო საფლავის ქვის ტარის ფრაგმენტზე, რომელიც აღმოაჩინეს ჩრდილოეთ ისრაელში, ჰაზორში და ტარზე, რომელიც აღმოაჩნეს დირ ელ-ბალაჰში, ჰაზაში. ჩანს, რომ ეგვიპტური ღვთაება იყო

განსაკუთრებულად პოპულარული ქანაანში, როდესაც ის ეგვიპტური მმართველობის ქვეშ იყო.“[6]

არტეფაქტები და ისტორიული ჩანაწერები ადასტურებენ ლევანტში (ამომავალი მზის ქვეყნები) ეგვიპტის ზეგავლენას, ებრაელი ხალხის გამოსვლამდე და აშკარა ხდება, რომ ქანაანისა და ისრაელის ხალხი იყო ოსირისის მითის ზეგავლენის ქვეშ, რამაც, თავის მხრივ, ზეგავლენა მოახდინა მათ რელიგიებზე და მათ შორის შემდგომ - ქრისტიანობაზე. როგორც იესო, ოსირისი მიჩნეული იყო ხორცშესხმულად, როგორც ადამიანთა მხსნელი, რომელიც გარდაიცვალა და მკვდრეთით აღსდგა კაცობრიობის საკეთილდღეოდ:

„.... ოსირისს ადამიანური ჰიპოსტასიც ჰქონდა. ის ღმერთია სამოთხესა და ჯოჯოხეთში, მაგრამ, ის ერთხელ დედამიწაზე გამოჩნდა, როგორც ადამიანი...“

ის არის კაცობრიობის ერთ-ერთი მხსნელი, რომელიც თითქმის ყველგან მოიპოვება. ის ამ სამყაროში იბადება, როგორც ადამიანი და სამყაროს მოევლინა, როგორც მფარველი, რომ გაათავისუფლოს ადამიანი ბოროტებისგან, რომ დააკმაყოფილოს კაცობრიობის მოთხოვნები... თავისი სიკეთით ის ბოროტებას სძლებს... მას კლავენ... ოსირისს მარხავენ. მისი ნაკრძალი სალოცავ ადგილად იქცევა მრავალი საუკუნით. მაგრამ ის არ რჩება საფლავში. სამი დღის მერე, ან ორმოცი დღის მერე, ის ისევ აღდგა, და სამოთხეში ამაღლდა... (Bonwick, 1984:155)

ეგვიპტეს მრავალრიცხოვან ტექსტებთან და პლუტარქისა და ჰეროდოტეს ნაწერებთან ერთად, ოსირისის და სხვა ეგვიპტური ღმერთების შესახებ კიდევ ერთი წყარო არსებობს - დიოდორე სიცილიელი (90-21 წწ ჩვენს წელთაღრიცხვამდე), იულიუს კეისრის თანამედროვე და სიცილიის ბერძენი მოქალაქე, მის მიერ დაწერილი 40 წიგნიდან ნახევარია შემორჩენილი. მის წიგნში „ეგვიპტეს სიძველეები“, დიოდორე სიცილიელი პირველად აცხადებს, რომ ოსირისი მზეა და ისიდა მთვარეა:

[6] www.bib-arch.com

„როცა უძველესი ეგვიპტელები, მადლით აღსავსე, ცას ახედეს, მიხვდნენ, რომ ორი ღმერთი: მზე და მთვარე, იყვნენ პირველყოფილი და მარადიული; და დაარქვეს პირველს ოსირისი და მეორეს ისიდა... (Siculus, 1990:14).“

დიოდორე სიცილიელი ასევე ამბობს „ზოგი ადრეული ბერძენი მითოლოგი ოსირისს „დიონისეს“ უძახიან, ვინც, ვარსკვლავივით ბრწყინავს, „თვალებიდან სხივები გადმოსდის“(Siculus, 1990:15).“ ამგვარად, ოსირისი არამარტო „ამენტის, მიცვალებულთა სამყოფლის მზის ღმერთია“ (Iamblichos, 1911:195), მაგრამ ასევე „ეგვიპტელი ბახუსი“ ან დიონისე, ცნობილი ბერძნული ღვინის ღმერთი. დიოდორე შემდეგ ამტკიცებს, რომ დიონისეს მსგავსად ოსირისი არის „ზევსის შვილი“ რომელიც გაიზარდა „ნისაში, არაბია ფელიქსში, ეგვიპტესთან ახლოს...“ (Siculus, 1990:20).

ოსირისის მითის მოყოლისას დიოდორე პარადოქსალურად იხრება პერსპექტივისკენ, რომ ოსირისი იყო „რეალური ადამიანი“, რომელიც დადიოდა დედამიწაზე, ახდენდა საოცრებებს, და სიკვდილის შემდეგ უკვდავება მოიპოვა, რაც მოგვიანებით ქრისტეზე იყო ნათქვამი, ოსირისის „ებრაულ“ ორეულზე. როგორც მომაკვდავი ადამიანი, ოსირისმა „დაიპყრო“ ინდოეთი, სადაც „ბევრი ქალაქი დაარსა“, მეორე ნისას ჩათვლით, სადაც სურო დარგო. ოსირისმა „იმ ქვეყანაში თავისი ყოფნის ბევრი მაჩვენებელი დატოვა, რომლითაც მოგვიანებით ინდოელებმა ღმერთი იწამეს და ამტკიცებდნენ რომ ის ინდოეთში დაიბადა (Siculus, 1990:24-25).“ იმის მაგივრად, რომ აღწეროს რეალური ადამიანის მოგზაურობა, ამბავი ოსირისის თაყვანისცემას აღწერს, როცა ის ინდოეთში მიდიოდა.

მოგვიანებით, ბევრი მეცნიერი ვარაუდობდა, რომ კულტურების განვითარება მოხდა პირიქით, ინდოეთიდან. ყველა შემთხვევაში, ოსირისის ინდოეთში ყოფნის დადასტურება მოიპოვება, სხვა ბევრ ღვთაებასთან ერთად, ღმერთი იშვარა, მაშინ როცა ისიდა არის ისი (Higgins, 1992;137). როგორც ბრიტანელი მეცნიერი და ინდოლოგი სერ უილიამ ჯონსი ამტკიცებს, „იშვარა, ან ისა, და ისანი, ან ისიდე... არიან ეგვიპტის ოსირისი და ისიდა (Moor, 1999:151).“ ისევე, როგორც ოსირისი, იშვარა იყო „*არღანაუტა*, არღას ან ნავის ღმერთი“ (Bonwik, 1984:168). ნავის

მითებიდან მოდის „ნოეს კიდობნის“ და იასონის არგოს ამბები, რომლებიც, პლუტარქის აზრით, ოსირისით იყო ინსპირირებული. როცა ოსირისის მტრები კლავენ მას, ის თავის „ნავში“ შედის ზუსტად იგივე დროს, როდესაც „ნოე შედის თავის კიდობანში, 17 ატირს, დიდი ხნით ადრე ვიდრე ბიბლიური ფაბულა იყო შექმნილი (Bonwik, 1984:165). ნოეც არა იუდეველი „პატრიარქია“, არამედ მზის ღმერთი, და კიდობანში შესვლისა და კიდობნიდან გამოსვლის ამბავი მზის სიკვდილის და აღდგომის სიმბოლოა (Olcott, 1999:149).“ ამბავი ნავში რვა მგზავრისა არის ასტრალური მითი, რომელიც სოლარულ სისტემას ასახავს. ეს რვა ეგვიპტური ღმერთების ოქტავის ეკვივალენტია, რომლებიც ოკეანეში გემით დაცურავენ (Olcott, 1999:297-298).

ეგვიპტური კულტურის გავრცელება შეიცავდა მესოპოტამიაში დადასტურებულ მიგრაციას, ეგვიპტური სამღვდელოებით, რომელიც ცნობილი „ქალდაელები“ ხდებოდნენ. დიოდორე სიცილიელი უკავშირებს ეგვიპტელების მიერ დიდი კოლონიების გამოყვანას „ცივილურ სამყაროში“ „ბელუსის“ კოლონიების ბაბილონში გაყვანასთან, სადაც ის შეხვდა „მღვდლებს (ქალდაელებს) ვინც გათავისუფლებული იყო გადასახადებისგან და მოქალაქეობრივი ვალისგან, ისევე, როგორც ეგვიპტელი მღვდლები“. მეორე კოლონია წავიდა დანაესთან ერთად არგოსში „საბერძნეთის უძველეს ქალაქთან მახლობლად“. დიოდორე ასევე წერს, რომ ეგვიპტელები ირწმუნებოდნენ, რომ ათენელები და პონტოსის კოლხები მათი კოლონიებიდან იყვნენ და რომ „ებრაელები, რომლებიც სირიისა და არაბეთს შორის ცხოვრობდნენ, ასევე ეგვიპტიდან წამოსული პატრიარქები იყვნენ“. ამ წერილში მტკიცებულებები ხსნიან თუ რატომ უკეთებენ ამ ეთნოსის ბიჭ ბავშვებს წინდაცვეთაას, რადგან ეს არის „უძველესი ადათი, ეგვიპტედან წამოსული“ (Sicilus,1990:34-37). სიცილიელი შემდეგ აღნიშნავს:

„ზოგადად, ეგვიპტელები ირწმუნებიან, რომ მათი წინაპრები, მსოფლიოს ბევრ ნაწილში დაარსეს თავისი კოლონიები, უხვი პოპულაციის და მათი მეფეების სხვადასხვა მიწების დაპყრობის გამო. მაგრამ რადგან არავინ წარადგენს ამის ნათელ დასტურს, და არცერთი კომპეტენტური ისტორიკოსი ადასტურებს ამას, ჩვენ ვთვლით რომ ეს ამბები არ ღირს ჩასაწერად (Sicilus, 1990:34-37).“

იმის მაგივრად რომ აღიქვან ის, როგორც კოლონიზატორი და „რეალური ადამიანი“, ბერძნები ბელუსის ასოციაციას ახდენდნენ ბაალთან ან ბელთან, ქანაანის ღმერთთან. მეტიც, „ბაბილონი არ იყო ეგვიპტური კოლონია და ქალდეელების ასტრონომიას და ასტროლოგიას ცოტა რამ აქვს საერთო, თუ საერთოდ აქვს, ეგვიპტურ ზეგავლენასთან (Sicilus, 1990:35).“ პარადოქსულია, რომ დიოდორეს ერთდროულად სწამდა იმ ამბის, რომ ოსირისი იყო „რეალური ადამიანი“, რომელიც ბევრს მოგზაურობდა და დაარსა ეგვიპტური კოლონიები, მაგრამ არ სჯეროდა ეგვიპტელების მტკიცებულებების მათი მრავალრიცხოვანი კოლონიების შესახებ!

მიუხედავად მისი უნდობლობისა ეგვიპტური კოლონიების თაობაზე, დიოდორე აგრძელებს თავის ამბავს მოგზაურობაზე და ამტკიცებ რომ ოსირისმა „მოიარა მთელი დასახლებული სამყარო“, თან მოჰქონდა კულტურა და ვაზი, ისევე, როგორც ღვინო. ოსირისი შემდეგ დაბრუნდა ეგვიპტეში და მოიტანა საჩუქარი „ყველა ქვეყნიდან“ და გაღმერთებული იყო სიკვდილის შემდეგ. დიოდორე ასევე აღწერს ზოგი რიტუალის წყაროს - მაგალითად, ფოკუსირება ღვინოზე და თმის არ შეჭრა - რომელიც გავრცელებული იყო საძმოში პალესტინაში და ცნობილი იყო, როგოც ნაზარითები ან ნაზარეანელები, ქრისტიანობის შექმნის მთავარი გმირები.

ოსირისის დედამიწის გარშემო ხეტიალის შესახებ ლეგენდის ფართოდ გავრცელებული ევერიზმის მიუხედავად, ოსირისი არსებითად მაინც მზეა, და ასეთადაა ხშირად მოხსენებული ეგვიპტურ ბიბლიაში, „მიცვალებულთა წიგნში“. უამრავ სხვა ტექსტთან ერთად, ოსირისის ჰიმნში წერია:

„ოჰ, შენ, ნუტის შვილო, მთელი სამყარო ზეიმობს, როდესაც შენ ადიხარ მამაშენის ტახტზე, როგორც რა. შენ ბრწყინავ ჰორიზონტზე, შენ ასხივებ შენს სინათლეს სიბნელეში, შენ ანათებ სიბნელეს შენი ორი ფრთით და შენ ავსებ სამყაროს სინათლით, როგორც მზე დღის გასაყარზე (Budge, 2002:Liii).“

ოსირისის სოლარული ბუნება აშკარაა. ისევე, როგორც სხვა კულტურების, ეგვიპტეს მითოლოგია რთულია და ოსირისი ასევე წარმოადგენს მზისა და მთვარის სინათლეს. რადგან ოსირისმა შეითავსა სხვა ღმერთების ატრიბუტიკა, ის გახდა მომავალი ცხოვრების ღმერთი, რაც ასევე სოლარული ატრიბუტია. როგორც ბაჯი ამბობს,

„გარდაცვლილი ყოველთვის იდენტიფიცირებულია ოსირისთან, ან მზე, რომელიც ჩავიდა, მიცვალებულთა მოსამართლე და ღმერთი (Budge, 2002: 247).“ ისევე, როგორც მზე, ახალგარდაცვლილმა უნდა გაიაროს მსჯავრის დარბაზი (ღამის დრო) იქამდე, სანამ წავა „აღმოსავლეთით ახალი არსებობის დასაწყებად“.

ზემოთ აღნიშნულ ჰიმნში, ოსირისის და-„ისიდა“ აღწერილია ლუნარული ტერმინებით, და ისიდასა და ოსირისის შვილი ჰორუსი „ძლიერად იზრდება სების სახლში“. სები ოსირისის „მიწიერი“ მამაა, რომელიც ასევეა „ჰორუსის მამა და შვილი“ (Budge, გვ. 253). და ისევეა „სების ძე“, როგორც იესოა „დავითის ძე“. სები ასევე ცნობილია, როგორც „გები“, და „ჰორუსი უფროსი...მიჩნეულია გებისა და ნუტის შვილად (Spence, 1996:84).“ ამასთან ერთად, სები არის „იო-სები“ (Io-Seb), იოსები; ანუ, ისევე როგორც იესო, ჰორუსი არის „იოსების შვილი“.

ოსირისის „ერთადერთი და მომავალი ძე“, ჰორუსი, აღნიშნავს სოლარულ ორბიტას, რომელიც ნახლდება ზამთრის ნაბუნიობისას. მის ტაძარში საისში ჰორუსის ლუნარული დედა, ისიდა, აღწერილია ისე, რომ ამბობს:“ ნაყოფი, რომელიც მე მოვიტანე არის მზე“. მთავარი სოლარული როლები შეიცავს მზეს - ბავშვს ადგომისას, და მოხუცს ჩასვლისას. მზე ასევე ბავშვია ზამთრის ნაბუნიობის დროს („შობა“), ყმაწვილი გაზაფხულის ნაბუნიობის დროს , ძლიერი წვერიანი მამაკაცი შემოდგომის ნაბუნიობისას და მოხუცი შემოდომის ნაბუნუობის დროს. ჰორუსი თავისი გადაპარსული თავით წარმოადგენს წელიწადის დროს, „როდესაც სინათლე იკლებს...(Macrobius, 1969:141).“ ჰორუსის, ან განახლებული სოლარული ინკარნაციის შესახებ ოლკოტი ამბობს:

მზის ღმერთ ჰორუსში ჩვენ ვხედავთ პერსონიფიცირებულ განთიადს, და სიბნელის აჩრდილების ტრიუმფალურ დამპყრობელს და ქვესკნელის დემონი ქრება გამარჯვების დიდებულ სინათლეში ყოველი დილით. ის წარმოდგენილია, როგორც ოსირისის უფროსი ძე, ძლიერი და მხნე ყმაწვილი, რომელიც შურს იძიებს მამამისისთვის მონსტრთან ომის წარმატებით მოგებით და ყლაპავს მას.

Kedlis mxatvrobaze ჰორუსი წარმოდგენილია როგორც ქვესკნელიდან მოცურავე აღმოსავლეთის ცისკენ განთიადისას, და გადაადგილების დრო დიდი გველს ხვრეტს (Olcott, 1999:157).“

ისევე, როგორც იესო, რა, ოსირისი და ჰორუსი, ყველა ებრძვის სატანას, ან აპეპს, სეტს ან ტიფონს, რაც დამახასიათებელია მზის ღმერთისთის, ვისი მტერია ღამისა და სიბნელის „გველი“, მონსტრი, რომელიც ჭამს მზეს და არსებობს „თითქმის ყველა მითოლოგიაში“ (Spence, 1996:131). ეგვიპტურ მითოლოგიაში, ისევე როგორც ქრისტიანულში, აპეპი/სეტი დამხობილი იქნა უმაღლესი წოდებიდან და დემონი გახდა (Spence, 1996:300).“ ამას დამატებული, ჰორუსის ერთ-ერთი სახელი „იაოაი“ (Jaoai) (Rylands, 1940:35) იყო, რომელიც ასევეა „იაოაი“, არსობრივად იგივე, რაც „იაო“, ებრაელების მიერ ადოპტირებული ეგვიპტური ეპითეტი რაც „იახვეს“ თანაბარია. ასევე, რას ერთ-ერთ შვილს ქვია „იოუსაას“ (Iousaas) (Bonwik, 1984: 94), რაც გავს „იოშუას“, „იეშუას“, „იესოს“ ან „იასიოს“, როგორც სახელის ბერძნული ფორმა.

ოსირისის მამები არამხოლოდ რა და სებია, არამედ ასევე ტმუ, ატმუ ან ატემუ, ფარაონ ტოტმეს III (1503-1449 წ. ჩვ. წ.) მუმისს სახვევების მიხედვით (Budge, 1996:lix). ატმუს ან ტმუს მითი იგივე თამუზის, სირიელ-ისრაელის სოლარულ-ნაყოფიერების ღმერთია. ტმუ კვდება და მკვდრეთით დგება და

მხსნელი ღმერთია. ტმუზე ან თემუზე (Spence, 1996:134) ასევე ამბობენ, რომ მან დაიპყრო რა, რის მერეც სოლარული ღმერთი გახდა, ისეთივე, როგორც თამუზი. ტმუ/ტემუ/ატემუ მზის ჩასვლის, საღამოს ან ღამის მზის სიმბოლოა (Budge, 1967:281), იგივე როლი ენიჭება ოსირის, როგორც მიწისქვეშა სამყაროს ღმერთს.

ოსირისი, მზისა და მომავალი ცხოვრების ღმერთი, იღებს ხარის ფორმას და მის მისი მიმდევრები საიქიოში გადაყავს ზურგით. მეტიც, ოსირისი „ო-სურ-ისია“ (O-Sur_is), სადაც “სურ“ ნიშნავს მზეს სანსკრიტზე და ხარს ივრითზე. როგორც ხარი, ოსირისი მზეა კუროს ეპოქაში (4400-2250 წწ), რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ თუ როდის არსბეობდა ის ან როდის გაჩნდა მითები მის შესახებ.

ოსირისის სიკვდილის და მკვდრეთით აღდგომის ამბავი ბევრი დისკუსიის საგანი იყო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის გავს ქრისტიანულ მითს, მაგრამ

ათასწლეულებით წინ უსწრებს მას. ოსირისის მრავალფეროვან ლეგენდებში, ოსირისის „ძმა და მეტოქე“, „დიდებული პითონი“ ტიფონი ან სეტი, ყლაპავს ოსირისს, ან პლუტარქის ვერსიის თანახმად, ოსირისის სხეულს ნილოსში აგდებს. ოსირისის განახლებული ინკარნაცია, მისი შვილი, ჰორუსი კლავს სეტს ან სატას, ღამის ცას, სიბნელეს, წყვდიადს. ღმერთის პივანდელი დესტრუქცია „წყვდიადის უფლისწულის“ მიერ მზის გადასვლისა და ცაზე მთვარის დამკვიდრების სიბოლოა. ოსირისის დანაწევრება 14 ნაწილად აღნიშნავს თვის 14 დღეს, როცა მთვარე კლებულობს და მზის სინათლე „კვდება“. ამბობენ, რომ ოსირისის ვნებანი ჰატორის თვის მე-17 დღეს მოხდა, „როდესაც ოსირისი 28 წელში იყო, ან მისი მეფობის, ან მისი ასაკის“, (Budge, 2002:1) რიცხვი 28 აღნიშნავს დღეებს ლუნარულ თვეში. ისიდამ იპოვა ოსირისის სხეულის ნაწილები და დაასაფლავა სხვადასხვა წმინდა ადგილას. როგორც ქურუმობისთვის დამახასიათებელია, ძველ ეგვიპტეში და არაბეთში ოსირისის ბევრი სამარე იყო, რაც გვარწმუნებს, რომ ის მისტიური პერსონა იყო და არა რეალური ადამიანი, რომელიც დასაფლავებულია ბევრ ადგილას.

ოსირისის ვნებანი და მკვდრეთით ადგომა მთავარი მითოლოგიური მოტივები იყო, ეს მოტივი შემდეგ ქრისტიანობაშიც ჩანს: „კლასიკურ პოეტებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ალექსანდრიელი ღმერთების თაყვანისმცემლები ყოველწლიურად და ღიად აღნიშნავდნენ ოსირისის ვნებანს - როგორც მას უძახიან - და მკვდრეთით აღდგომას, სათანადო გლოვითა და სიხარულით (Legge, 1964:69).“ აშკარაა ამის მსგავსება გვიანდელ ქრისტიანულ მითთან, რადგან ოსირისი „იყო თავისი თაყვანისმცემლებისთვის „განკაცებული ღმერთი, პირველი, ვინც აღსდგა მკვდრეთით’, ვისი სიკვდილი და მკვდრეთით ადგომა კაცობრიობისთვის ძალიან ნიშანდობლივი იყო (Legge, 1964:126).“ ამ უძველესი, პრე-ქრისტიანული რიტუალის შესახებ ბაჯი ამბობს:

„....ჩვენ მიგვაჩნია, რომ ოსირისის სასტიკი სიკვდილის და საშინელი ტანჯვის მერე მკვდრეთით აღდგომაზე დაფუძნებულია მარადიული ცხოვრებისა და მკვდრეთით აღდგომის დოქტრინა იყო ერთნაირი მთელს ეგვიპტეში და შეუცვლელი რჩებოდა ბევრი დინასტიის განმავლობაში….

....ყველგან და ყველა პერიოდის ტექსტში, ოსირისის ცხოვრება, ტანჯვა, სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა მოცემულია, როგორც მსოფლიოში აღიარებული ფაქტი (Budge,1967: xlviii).“

ამგვარად, ქრისტეს ვნებანი და მკვდრეთით აღდგომა არის არქეტიპური და არა რეალური და წარმოადგენს საერთო რელიგიურ და მითოლოგიურ მოტივს და არა რეალური ადამიანის გარდაცვალებას და მკვდრეთით აღდგომას. ღმერთის არქეტიპული გარდაცვალება და მკვდრეთით აღდგომა მის მიმდევრებს სულიერ მაგალითს აძლევს: „ოსირისი... მიჩნეული იყო კაცობრიობის მკვდრეთით აღდგომის მთავარ მოტივად, და მას შეეძლო სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის მოცემა, რადგან თვითონ განიცადა ეს. მას დაარქვეს „ მარადისობა და უკვდავება“ და ოსირისი ის იყო, ვინც კაცებს და ქალებს აძლევდა საშუალებას თავიდან დაბადებულიყვნენ (Spence, 79).“ მისი მკვდრეთით აღდგომის საიდუმლო გამოსახულია ნილოსის ფერდობის ბევრ სამარეში: „ოსირისი გარდაიცავა და აღსდგა მკვდრეთით, ასე რომ ყველა ადამიანი იმედოვნებდა მის მსგავდად სიკვდილის შემდეგ მარადიული ცხოვრებისთვის მკვდრეთით აღდგომას“ (Frazer, 1953:426).“ ეს მნიშვნელოვანი რელიგიური და სულიერი კონცეპტები პოპულარული იყო ეგვიპტეში „უძველესი დროიდან“, ქრისტეს გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე. და ისევ, როდესაც ღმერთი თავიდან იბადებოდა, „მაღალი ხმა ისმოდა მთელ სამყაროში და ამბობდა „დედამიწის მბრძანებელი დაიბადა!“ (Spence, 1996:65).“ ნამდვილად საოცარია, რომ მინიმუმ 5 000 წლის წინ ადამიანებს სწამდათ ოსირისის, როგორც მკვდრეთით აღმსდგარი მსხნელის, და დარწმუნებით იმედოვნებდნენ საფლავიდან აღდგომას ისევე, როგორც ის აღსდგა.

წარმართების დაცინვაში ქრისტიანი მწერლაი მარკუს მინიციუს ფელიქსი (III საუკუნე) ამჟღავნებს, რომ ეგვიპტელებმა და შემდეგ რომაელებმა დაინახეს სერაფისელი ოსირისის ცარიელი სამარე[7], კიდევ ერთი მოტივი, რომელიც მოიპოვება გვიანდელ ქრისტიანულ მითში. სამსარეში მოთავსებული ოსირისი, ასევე იყო გახვეული სუდარაში, რომლის ნარჩენები ქურუმების მიერ იყო გამოფენილი

[7] www.newadvent.org/fathers/0410.html

ქრისტიანულ ერამდე დიდი ხნით ადრე, ტრადიცია, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამაც გააგრძელა რამდენიმე სუდარასთან მიმართებაში, მათ შორის ტურინის სუდარაც.

მეორე ეგვიპტური ტრადიცია, რომელიც ქრისტიანობაშიც ჩანს, არის ღვთის სისხლი ღვინოთი სიმბოლიზირებული, როგორც აღწერილია ბრიტანეთის მუზეუმის მაგიურ პაპურუსში, რომელიც მიმართულია „მემფისის ასკლეპიოსთვის“ (Spence, 65) აღსანიშნავია, რომ მეღვინეობის კულტურის ცენტრი ეგვიპტეში მარეოტისი იყო, თერაპევტური კულტურის ცენტრი ალექსანდრიის გარეთ (Spence, 1996:46), ქრისტიანების რიტორტა.

როგორც ქრისტიანები დღეს, ოსირისის მილიონობით მიმდევარი დარწმუნებული იყო იმაში, რომ, მიუხედავად მისი ღვთიურიი ბუნებისა, ის როდესღაც დედამიწაზე დადიოდა. ბონვიკი ამბობს:

„... ის იყო ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა და გარდაიცვალა. მათ ამაში ეჭვი არ ჰქონდათ. არ იცოდნენ სად დაიბადა? არ აღნიშნავდნენ მის დაბადების დღეს უზარმაზარი ცერემონიებით აკლდამებით, სანთლებით და ა.შ. არ ინახავდნენ მის სამარეს აბიდოსში? ყოველწლიურად არ ზეიმობდნენ მის მკვდრეთით აღდგომას? არ აღნიშნავდენ ყოველწლიურად მის სიკვდილს ევქარისტიით და წმინდა ნამცხვრის ჭამით, იმის მერე რაც ის ნაკურთხი იყო ქურუმების მიერ და გახდებოდა ხორცის ხორცი? (Bonwik, 1984:163)

მზის ღმერთის სიკვდილს და აღდგომას აქვს ასტროლოგირი დატვირთვა, რომელიც აღნიშნავს მთავრის კლებას და მომატებას, რომელიც გავლენას ახდენს მზის შუქზე, ისევე, როგორც მზის დღიურ ჩასვლა-ამოსვლას და დღის ყოველწლიურ შემოკლებას და გაგრძელებას. მისი ასტროთეოლოგიური მოგზაურობის დროს ოსირისი „დუატის თორმეტ ნაწილში მოგზაურობს“ (Spence, 1996:117) და როგორც მზის ღმერთს ოსირისს „ყავს თორმეტი კომპანიონი - ზოდიაქოს ნიშნები“ (Bonwik, 1996:152) ამგვარად, ოსირისის მითში არის მზის ღმერთი თორმეტი მოწაფით, რომელიც კვდება და მკვდრეთით აღდგება ქრისტიანულ ერამდე ათასწლეულით ადრე.

2.2. მზის მითოსი ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში

ოსირისივით, დიონისე ყველაზე პოპულარული ღმერთი იყო რომის იმპერიაში და განიხილებოდა განსაკუთრებით ძველ ღვთაებად, ჰეროდოტეს მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ერთ-ერთი „ახალი“ ღმერთი, დიონისე გამოჩნდა „15 000 წლით ადრე იაჰვემდე (1550 წ ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ეგვიპტელებმა, ჰეროდოტეს თქმით, „დანამდვილებით იცოდნენ ეს თარიღები“ და ზუსტ ჩანაწერებს აწარმოებდნენ. ის, რომ დიონისე ძველი ღმერთია, მტკიცდება მისი სახელის აღმოჩენით ბერძნული ბრინჯაოს ხანის პილოსის სასახლეში (XIII საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) (Kerenyi, 1976“69).“

ასეთ სიძველესთან ერთად, ასევე არსებობდა უზარმაზარი ტერიტორია, რადგან დიონისეს თაყვანს სცემდნენ ეგვიპტედან საბერძნეთამდე და მაკედონიამდე. დიონისეს რელიგიის ასეთი ფართო გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ამ რელიგიის პრაქტიკაში მისიონერობა შედიოდა ხალხის მოქცევა. დიონისეს განხილვისას, როგორც „ღმერთის, რომელიც მოდის“ და ეპიფანიის ღმერთის, დიონისეს ექსპერტი კერენი ამბობს: „მეორე ფორმა იქნებოდა მისიონერული კულტის კონკრეტული ჩამოყალიბება. დიონისური რელიგია გვაჩვენებს იმდენად ბევრ ინდიკატორს ასეთი მოსვლის, რომ ჩნდება ტერმინი „მისიონერული რელიგია“ და ამ გაგებით ის ქრისტიანობის წინამორბედია (Kerenyi, 1976:140).“ ეს პრეისტორიული და

არქაული დიონისეს მისიონერული კულტი ქრისტიანობას წინ უსწრებდა ათასწლეულებით და იმ დროისთვის განვითარდა, როცა ქრისტიანობის ებრაელმა შემქმნელებმა დაიწყეს რომაული იმპერიის უთვალავი კულტის და რელიგიის შერწყმა.

ისევე, როგორც ოსირისი, დიონისე ყოველწლიურად კვდებოდა და მკვდრეთით დგებოდა, და გამოხატავდა ზამთრის დამთავრებას და გაზაფხულის ნაყოფიერებას, მოვლენა რომელსაც მის კულტში ფართოდ აღნიშნავდნენ. ეს მისტერიები იმდენად უაღრესად თავისუფალი გახდა, რომ 186 წელს რომაელების მიერ აკრძალული იყო, მიუხედავად ამისა ისინი გრძელდებოდა სხვადასხვა ფორმით კიდევ ორი საუკუნის განმავლობაში. იმ დროისთვის, როდესაც მისტერიები აკრძალეს, ათასობით მიმდევარე უკვე მოკლული იყო, როგორც წამებული (Freke and Gandy, 1999:228).“

დიონისე უბრალოდ ლოთაობის ღმერთი არ იყო: „მის მშვიდ ასპექტებში ის იყო სიხარულის მომცემი, ავადმყოფობის მკურნალი, ბოროტობისგან დამცველი. ასევე ის არის კანონის დამცავი და მშვიდობის მომცემი.“ (Cox, II, 1870:295) ეს თვისებები მზის ღმერთის თვიებებია და რა თქმა უნდა, დიონისე მზის ღმერთია, და არავითარ შემთხვევაში რეალური ადამიანი. ნონუსის პოემა დიონისეს შესახებ (V საკუნე) არის ჩანაწერი თუ როგორ „ მოძრაობს მზე ნიშნებში“. მაკრობიუსის თანახმად, დიონისე დაიბადა 25 დეკემბერს, ისევე, როგორც ოსირისი/ჰორუსი და ბევრი სხვა მზის ღმერთი. ისევე, როგორც ოსირისი, დიონისე 14 ნაწილად იყო დაწევრიანებული, და ისვე როგორც ოსირისი/ჰორუსი, დიონისე მიჩნეული იყო ზევსის მამად და შვილად, ორფიკული სტროფების თანახმად (Legge, 1964:47). ორფიკული სტროფების გარჩევისას მაკრობიუსი ამბობს, რომ “Liber Pater” ან დიონისე/ბახუსი არის მზე: სტროფი „მზე, რომელსაც ადამიანები ასევე სახელ დიონისეს უწოდებდნენ“, საკმაოდ ადვილია გასაგებად. თუმცა, სტროფი „ ერთი ზევსი, ერთი ჰადესი, ერთი მზე, ერთი დიონისე“ უფრო რთულია და ახსნას საჭიროებს:

„ბოლო სტროფის საფუძველი დამალულია კლაროსის აპოლოს ორაკულში, სადაც მზეს ბევრი სახელი აქვს და სხადასხვანაირად ქვია, მათ შორის ერთ სახელია - იაო.

როცა კლაროსის აპოლოს ორაკულს ჰკითხეს, ყველა ღმერთისგან რომელი ღმერთი უნდა იყოს მიჩნეული, როგორც იაო, მან უპასუხა:

„ისინი, ვინც შეიცნო მისტერიები, მალავენ მიუღწეველ საიდუმლოებს, მაგრამ თუ ცოტა რამე გესმით და გონება სუსტია, ჩანაფიქრი ასეთია: იაო უმაღლესი ღმერთია ყველა ღმერთის; ზამთარში - ჰადესი; გაზაფხულის დასაწყისში - ზევსი; მზე ზაფხულში და შემოდგომაზე - გაბრწყინებული იაო (Macrobius, 1969:131),“

მისტიური უმაღლესი ღმერთი „იაო“ პირველ საუკუნეში დიოდორეს მიერ იყო იდენტიფიცირებული, იმავე დროს, რაც ებრაული ტომების ღმერთი იაჰვე. ‘იაო’ არის ეგვიპტური, ქალდეური და ფინიკიური სახელი ღვთაებისა, რომელიც წარმოდგენილია და იდენტიფიცირებულია მზესთან. როგორც ვხედავთ, დიონისე არის ზევსი და მზე და იაო და იაჰვე.

ორფეოსიც არ არის რეალური ადამიანი, მაგრამ ტრადიციაა, როგორც ჰერმესი ტრისმესგიტუსი და იესო ქრისტე: „ყველა მეცნიერი ახლა შეთანხმდა, რომ ორფეოსი არასდროს არსებობდა, და მის მიმართ მიძღვნილი ბევრი პოემა და ლექსი სხვადასხვა ავტორის შექმნილია“(Legge, 1964:121). პრელერის მიერ „eine litterarische Collectivperson” – „ზუსტად კოლექტირური პერსონად“ წოდებული ორფეოსი ”მხოლოდ და მხოლოდ სახელია, ქურუმების მიერ გამოყენებული, რომლებმაც დიონისეს ახალი კულტი შემოიღეს საბერძნეთში (Lundy, 1889:190).“ როგორც ლანდი ამბობს, „ორფეოსი იყო მხოლოდ სახელი, რომლითაც თაყვანს სცემდნენ ღვთაებას, და იგივე იყო, რაც ეგვიპტეს ჰორუსი და საბერძნეთის აპოლონი.“ სხვაგვარად, ორფეოსიც მზის ღმერთი იყო, თავდაპირველად დიონისესგან განცალკევებული, მაგრამ ყოველწლიურად ისევ უერთდებოდა მას“ (Sicilius, 1990:122). მეტიც, ორფეოსი მოსესთან და დავიდთან ერთად ჩნდება ებრაულ კატაკომბებში, ის აღქმული იყო ებრაელ გნოსტიკოსი ქრისტიანების მიერ, როგორც ლოგოსის «გამოსახვა“, იგივე ქრისტე. (Rylands, 1940:21).

ორფეოსის მიმდევრებმა შექმნეს მღვდლების დაჯგუფება, რომელიც მსგავსი იყო გვიანდელი ქრისტიანებისა, ისინი მოგზაურობდნენ ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ და ხალხს აცნობდნენ მათ ტექსტებს, ატარებდნენ გამწმენდ და სხვა რელიგიურ

რიტუალებს. თუმცა, პრე-ქრისტიანულ მოციქულს ორფეოსს, სამოთრაკელების ლეგენდარულ მისტიკოს და მათ სულიერ წინამძღვარს, მკურნალს და მხსნელ ღმერთს ΙΗΣ ან IES, ბევრი საერთო აქვს მოციქულ პავლესთან, რომელსაც ამ რეგიონში ადამიანები გადაყავდა თავის რწმენაში ღმერთ IESUS-ში. პავლე, ნამდვილად, მითოლოგიური ხასიათების და ისტორიული პერსონაჟების ნაზავია, მათ შორის ორფეოსის, აპოლონიოს ტიანელის, იოზეფი საულუსის და ძველი აღქმის საულის. ჰიპოთეზა, რომ პავლე უფრო მითოლოგიური პერსონაჟია ნაწილობრივ დაფუძნებულია აპოლონოიოსზე უფრო დამაინტრიგელი ხდება, თუ ავღნიშნავთ, რომ „პავლეს“ ნაწერები ჩნდება დიდი ხნის მერე, რაც მოციქული აღარაა ცოცხალი, მაგრამ აპოლონიოს გარდაცვალებამდე ადრე. ამ ტექსტებში შედის ბარუხის და ეზრას აპოკალიფსი, ორივე ტაძრის დაცემის მერე დაწერილი, 70 წელს. ასევე, აღსანიშნავია, რომ სიტყვა ‘საული’ ლატვიურში მიესადაგემა მზეს, და არსებობს ლატვიური მზის ქალღმერთი საული, ინდური ღმერთი სურიას ანალოგი.

ისევე, როგორც ორფეოსი და ბევრი სხვა, დიონისე/ბახუსი არ არის გმირი, რომელიც ნამდვილი ადამიანის სახით არსებობდა:

„....ჩვენ უნდა ვცადოთ გამოვასწოროთ მათი შეცდომა, ვინც თვლიდა, რომ ბახუსი, სემელის შვილი, თებესში დაბადებული არის ანტიკური გმირი, რომლის აღმოსავლეთში დიდებული დაპყრობების გამო ის ღმერთების რანკში ავიდა. არ იქნება რთული დავამტკიცოთ რომ ის, ჰერკულესის მსგავსად, დაიბადა თებესში, როგორც ფიზიკური ქმნილება, ბუნების უძლიერესი და ულამაზესი შვილი, სხვა სიტყვებით კი - მზე, სამყაროს აღმოცენების სული. სიმართლე, რომელსაც ბევრი უძველესი ავტორი ამტკიცებს, მომავალში წარსდგება ახალი რაკურსით პოემის ახსნისას... მზე, განსაკუთრებით, საოცარი რომანების მთავარი გმირი იყო, რომლის შესახებ უცოდინარი შთამომავლობა ვულგარულად იყო მოტყუებული. და თუ მკითხველი ამ ფაქტს მიიღებს, ის ადვილად გაიგებს სოლარული ლეგენდის ჩვენებურ ახსნას, რომელიც ქრისტიანებისთვის ცნობილია სახელით ‘ქრისტეს ცხოვრება’, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთია მზის ღმერთის ათასი სახელისგან, როგორიც არ უნდა იყოს მისი თაყვანისმცემლების აზრი მასზე, როგორც ადამინზე, იმიტომ რომ მას არ აქვს იმაზე მეტი მტკიცებულება, რაც ბახუსის თყვანისმცემლებს,

რომლებიც ის აქციეს დამპყრობელად და გმირად. მოდით, პირველ რიგში დანამდვილებით ვთქვათ ის ფაქტი, რომ ბერძნების ბახუსი იყო ეგვიპტის ოსირისის თითქმის ზუსტი ასლი, და ოსირისი იყო ისიდას ქმარი, და ეგვიპტეში მას თაყვანს სცემდნენ, როგორც მზეს... დიოდორე სიცილიელი, იამბლიკუსის, პლუტარქის, დიოგენეს, და სხვების მტკიცებულება თანხმდება ერთმანეთში იმისთვის, რათა დაამტკიცოს რომ უძველესი ხალხისთვის ეს ზოგადად აღიარებული ფაქტი იყო, რომ მზე იყო, ვისაც თაყვანს სცემდნენ ეგვიპტელები ოსირისის სახელის ქვეშ (Dupuis, 1984:115-118).“

ოსირისის მსგავსად, დიონისეს ამბავი შეიცავს მის საკუთრ მისტიურ ინდოეთის დაპყრობას. ნეტარი ავგუსტინეს „ღმერთის ქალაქში“ წერია:

„....დიონისეს ასევე უწოდებდნენ მამა ლიბერს. მამა ლიბერმა ასევე წარმართა ომი ინდოეთში, და წარუძღვა თავის ჯარს, სადაც ბევრი ქალი იყო და ერქვათ ბახაე, რომლებიც ცნობილნი იყვნენ თავისის მამაცობისთვის და სიბრაზისთვის. თუმცა, ზოგიერთი წერს, რომ ლიბერი იყო დაპყრობილი და მოკლული და ზოგი - რომ ის პალესტინაში მოკლეს, იმასაც ასახელებენ სად არის დამარხული...“[8]

დიონისე არის არა მხოლოდ ოსირისი, არამედ მოსეს ალტერ ეგოც, რომელიც თავის მხრივ ასევე მითოლოგიური პერსონაჟია: „ის რომ ბახუსის ღმერთი მოსეს არქეტიპი იყო ბევრი ბრძენის აზრია, კერძოდ ეპისკოპოს ჰიუეტის და ისააკ ვოსის, რომლებიც თანხმდებიან, რომ ბახუსის არაბული სახელი მესესი *(Meses)* იყო.

ბიბლიის შესწავლა და არქეოლოგიამ პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ მოსეს ხუთწიგნეული (თორა) არ იყო თვით მოსეს მიერ შედგენილი. არქეოლოგი ისრაელ ფინკელშტეინი თავის ნაშრომებში აჩვენებს, რომ ბიბლიური თხზულებების უმეტესობა მე-8 საუკუნის მერე იყო დაწერილი. უძველეს დროშიც კი აღიარებული იყო, რომ მოსეს არ დაუწერია ხუთწიგნეული. მესამე საუკუნეში პორფირიუსმა დაწერა, რომ „არაფერი შენარჩუნდა იმისგან, რაც მან (მოსემ) დაწერა, ამბობენ, რომ ნაწერები ტაძართან ერთად გაანადგურეს. ყველაფერი, რაც მოსეს მიეწრება,

[8] http://www.newadvent.org/fathers/1201.htm?fbclid=IwAR2gURbWweeBdC4RHZYkLcj0Srgebnu5g5GOTahFKlpBnsARwWURvtXCFbw

რეალურად თერთმეტი ათასი წლის მერე ეზრამ და მისმა თანამედროვეებმა დაწერეს (Hoffman, 1987:41).“

მითის თანახმად, ებრაელები გამოსვლის დროს აღნიშნავდნენ კრავის დღესასწაულს, რომელიც ვერცხის ხანას მიეკუთვნება. დიონისურ მითში, წმინდა კრავი ან ცხვარი შუა უდაბნოში წყალს აწვდის დიონისეს ჯარს, უდაბნოში წყლის მოტივი, ასევე, არსებობს მოსეს მითში. დიონისეს და ამონის მსგავსად, მოსე არწერილია როგორც ადამიანი, რომელიც ცხვრის რქებს ატარებს. ეს სხვადასხვა ელემენტი ასტროლოგიური ფაბულების ასპექტებია. (Dupuis, 1984:174) როგორც აღმოჩნდა, მოსეც მზის ღმერთია ბევრ აპექტში: მა-შუ, შუმაშ,ან შამაშ (Robertson, 31), როგორც ივრითზე მზეს ეწოდება, ისევე როგორც მოაბიტების ხამოსი, ღმერთი, რომელსაც ისრაელის ადგილას მხცოვრები ხალხი თაყვანს სცემდნენ.

კიდევ ერთი ამბავი, რომელიც მოგვიანებით ბიბლიაში ჩნდება, არის ბახუსის საოცრება, როცა ის მზისა და მთვარის მოძრაობას აჩერებს. მისი გადაკეთებული ვარიანტი იოშუასთან გვხვდება. იოშუაც მზის ღმერთია, ვისი ბერძნული სახელი, იესო, დიონისეს ეპითეტი იყო. სინამდვილეში, ბევრი მნიშვნელოვანი მსგავსება არსებობს დიონისეს და გვიანდელი ქრისტეს შორის. წიგნში „წარმართობა ჩვენს ქრისტიანობაში“, ქრისტიანი აპოლოგისტი სერ არტურ ვიგალი ასე აღწერს დიონისეს მითს:

„დიონისე, ვისი მამა, ისევე, როგორც ქრისტიანულ ამბავში, ღმერთი იყო, მაგრამ ვისი დედა ჩვეულებრივი მომაკვდავი ქალია (სემელი), აღმოსავლეთში წარმოდგენილი იყო, როგორც ახალგაზრდა მამაკაცი გრძელი წვერით და ღირსშესანიშნავი გარეგნობით, რომელმაც არა მხოლოდ ასწავლა კაცობრიობას ვაზის გამოყენება, არამედ მისცა კანონები, ქადაგებდა ბედნიერებას და მშვიდობას. ერთი ლეგენდის თანახმად, ის ხარად გადაიქცა და ამ სახით მტრებმა ნაწილებად დაჭრეს; მეორე ლეგენდის თანახმად კი ის ცხვრად გადაიქცა. მისი თაყვანისმცემლები ანაწილებდნენ ცხვარს ან თხას და უმად ჭამდნენ ხორცს, ამგვარად ჭამდნენ მათი ღმერთის ხორცს და სვამდნენ მის სისხლს უჩვეულო ევქარისტიაში. მისთვის მსხვერპლად წირავდნენ ბევ ცხოველს რომელთა შორის იყვნენ ცხვრები და ვირები; იმის აღსანიშნავად, რომ

ერთხელ ის ორი ვირით დადიოდა და მერე აქცია ისინი ცის თანავარსკვლავედად, ამ ლეგენდაშ ჩვენ შეგვიძია დავინახოთ ის, როგორც მზის ღმერთი და დავაკავშიროთ ზოდიაქოს ნიშან კირჩხიბთან, რომელიც ბაბილონურ ზოდიაქოში იყო ვირი და კვიცი, და რომელიც აღნიშნავდა მზის ძალის ზენიტს მისი ზამთრის კლებადობის დასაწყისის დროს.

... იესოს კავშირი დიონისესთან ადამიანების გონებაში ნაჩვენებია სახარებისეულ ინციდენტში, სადაც ქორწილის დროს წყალს ღვინოდ აქცევენ... (Weigall, 1928:220-240).“

როგორც ვიგალი აღნიშნავს, მსგავსება დიონისესა და ისეოს შორის გულისხმობს არა მხოლოდ ტანჯვით სიკვდილს და მკვდრეთით აღდგომას, არამედ საოცრებას „წყალი-ღვინო“, ქრისტიანული მითი, რომელიც იმავე წარმართულ თარიღს ითვლის - 6 იანვარს. ასევე, დიონისური და ქრისტიანული მითების მსგავსებები შეიძლება ვიპოვოთ პავლეს ეპისტოლეში კორეანთელების მიმართ, რაც პრინციპში გასაგებია, რადგან კორინთი იყო დიონისური კულტის კერა. რა თქმა უნდა, წყლის ღვინოდ გადაქცევის მითი ძალიან ძველია. და ისევ, ეს სასწაული წარმოადგენს ვაზის ყურძნის მომწიფებას, ისევე როგორც ყურძნის წვენის ფერმენტიზაციას მზის მიერ. კერენეი, როცა საუბრობს იესოზე, როგორც რეალურ პერსონაზე, ამტკიცებს, რომ „ქრისტიანობის ფუძემდებელი“ საკუთარ თავს აღწერს, როგორც „ ნამდვილ ბაზს“ და მთლიანად იაზრებს „უდიდესი არაბერძნული დიონისეს რელიგიის არსებობას გენესარეთის ტბასა და ფინინიის სანაპიროს შორის (Kerenyi, 1976:257).“

მსგავსება დიონისეს კულტს და გვიანდელ ქრისტიანობას შორის ასევე შეიცავს „თეოფაგურ“ სახეს, მსხვერპლშეწირული ობიექტის ხორცის ჭამა და სისხლის დალევა, ღმერთის ნაცვლად და, ასევე, ფოკუსირება ყურძენზე და ღვინოზე, როგორც ღვთის სისხლზე. მეტიც, იესოს ისევე მიმართავდნენ, როგორც დიონისეს მიმდევრები მიმართავდენენ მას. როგორც ჰოფმანი აღნიშნავს: „ადრინდელი მოძრაობის წარმართული კრიტიკა მეტყველებს იმაზე, რომ ქრისტიანები იესოს მიმართავენ ისევე, როგორც ბაქხი ქალები თავის ღმერთს. იესო იყო მბრძანებელი დიონისურ კულტში ღმერთს გამოყავდა მიმდევრები სიბნელისა და სიკვდილის სამყაროდან და

აძლევდა მათ საშუალებას დაინახონ სამყარო, რომელიც შემდგომ ელოდებათ (Hoffman, 139).“

კიდევ ერთი საერთო მოტივი დიონისესა და იესოსი არის „ქალწული დედა“. დიონისეს მითის ერთ ვერსიაში მისი მომაკვდავი დედა, ზევსი პატერასის მიერ განაყოფიერებული, ან „მამა ღმერთის“ მიერ, განადგურებულია ცეცხლით, რაც დამახასიათებელია მზის ღმერთისთვის. რადგან ერთ ვერსიაში დედა ვერ გადაიტანს მის გაჩენას, ბავშვი იბადება ზევსის ბარძაყიდან და ზოგი თვლის, რომ ის არ დაბადებულა ქალწულისგან. ზევსი თავად წოდებული იყო, როგორც „ქალწული“, ასე რომ თუნდაც ამ ვერსიაში შეგვიძლია ვიდავოთ, რომ დიონისე ქალწულისგან იშვა. თუმცა, ევრიპიდეს „ბაქხი ქალებში“ დიონისე ჩვილი ბავშვია, როდესაც ზევსი მას ელვის ცეცხლისგან გადაარჩენს და მიჰყავს ოლიმპოზე (Muir, 260). ჩვილი არ არის ზევსის ბარძაყში მოთავსებული, არამედ „გარშემორტყმულია ეთერით, რომელიც გარს არტყამს დედამიწას“, იმისთვის რომ დაიცვას ის ზევსის ეჭვიანი ცოლისგან, ჰერასგან.

გარდა ამისა, ლეგენდა, რომელიც ნახსენებია ბერძენ ავტორ პავსანისთან, ამტკიცებს, რომ დიონისეს დაბადების შემდეგ ის და სემელე მოათავსეს ზანდუკში და წაიყვანა ბრასიაიში, სადაც შემდეგ სემელე მკვდარი აღმოაჩინეს. როგორც შემდგომ კოქსი ამბობს, „იყო თხზულება, რომლის თანახმად კადმოსი, როდესაც გაიგო რომ ზევსმა მისი შვილი სემელე ბავშვის დედა გახადა, მოათავსა ქალი და ბავშვი ზანდუკში და გაუშვა, როგორც აკრისიოსმა გაუშვა დანაე და მისი ბავშვი ზღვაში (Cox, 296).“ ამგვარად, სემელე ცოცხალია ბავშვის გაჩენის შემდეგ და ბავშვის გატანა დინებისთვის პარალელს ავლებს მოსეს მითთან. მოკლედ, სემელე არის ქალწული, რომელიც გაანაყოფიელა მამა ღმერთმა იმისთვის, რომ იშვას ღვთის შვილი. სემელე მიწის ქალღმერთის სემლას (ან სემიას) განსახიებაა და არა მომაკვდავი ქალი, როგორც სხვა ქალღმერთები, რომლებიც „მარადიულ ქალწულებად“ რჩებიან. ის რომ სემელე ქალწულად იყო მოხსენებული, აღნიშნულია ჯოსეფ კემპბელთან მის „აღმოსავლურ მითოლოგიაში“: „და ქალწული დაორსულდა პურისა და ღვინის მარადიული ღმერთით, დიონისეთი, რომელიც დაიბადა და აღიზარდა გამოქვაბულში, ბავშვობაში მოკლეს და აღსდგა (Campbell, 27).“ ვერსია, რომელშიც

სემელე მალევე კვდება ბუდას ამბის პარალელია, რომლის დედა ასევე კვდება მისი გაჩენის შემდეგ. ამ მისტიური მემკვიდრეობის ძირითადი საფუძველი კი ისაა, რომ ქალწული დედა წარმოადგენს განთიადს, რომელიც ფერმკრთალდება ყოველდღე მზის დაბადებისთანავე. კიდევ ერთი პარალელი დიონისეს და ქრისტიანულ მითებს შორის ის ფაქტია, რომ ორივე დიონისეს და იესოს დედა ბავშვს მუცლად 7 თვე ატარებდა, როგორც დამოწმებულია დიოდორე სიცილიელთან და სახარებაში შესაბამისად (Freke and Gandy, 29).

არსებობს კიდევ ერთი ვერსია დიონისეს დაბადების, პერსეფონესგან, როდესაც ზევსი მას სტუმრობს გველის სახით. მაშინ როდესაც პერსეფონე ბერძნულ მითლოგიაში ქალწულია, ლოგიკური იქნება ვივარაუდოთ, რომ ის დარჩა ქალწულად, ისევე როგორც მარიამი წმინდა სულის სტუმრობის შემდეგ.

ისვევე როგორც მისი დაბადება, დიონისეს სიკვდილიც არქეტიპულია: ოსირისის და ქრისტეს ანალოგიურად ის ძალადობრივად კვდება, მკვდრეთით აღსდგება და მაღლდება ზეცაში. ორიგენე თავის „Contra Celsus“ში (ცელსიუსის წინააღმდეგ) განიხილავს დიონისეს სიკვდილს, მკვდრეთით აღდგომას და ამაღლებას და ადარებს მას ქრისტეს. როგორც ვხედავთ ერთი ის მაინც აღიარებს ამ ფაბულების იდენტობას. შემდეგ, როგორც ხშირად ხდება პრე-ქრისტიანული მხსნელების ამბებში, აღწერილია, თუ როგორ ჩადის დიონისე ჯოჯოხეთში: „ დიონისეს სიკვდილის და მკვდრეთით აღდგომის მითის სხვა ვერსია არის ის რომ დიონისე ჩავიდა ჰადესში რომ გამოიყვანის დედამისი სემელა მკვდრებისგან.“

ისევე, როგორც მისი ადონისი, დიონისეს უწოდებდნენ „დენდრიტეს“, ან „ის - ხისგან“, რაც სავარაუდოდ იმას აღნიშნავდა, რომ დიონისე ხეზე იყო ჩამოკიდული, საერთო მოტივი იმ ადგილებისთვის, სადაც აყვავდა დიონისეს კულტი. დიონისეს „ჯვარცმის“ შემდგომი დამტკიცება იყო ხის მედალიონი, რომელზეც ჯვარცმული ადამიანი იყო გამოსახული და უკან ეწერა “Orpheus-Bakkikos” (Freke and Gandy, 82). რადგან ორფეოსი და დიონისე ერთი და იგივეა და ბაკიკოსი - ბახუსია, ეს ამულეტი თვით ღმერთს ასახავს. ეს ამულეტი მესამე საუკუნისაა ჩვენი წელთაღრიცხვის და სავარაუდოდ წარმართობიდან ქრისტიანობაში გადავიდა. თუმცა ქრისტიანები

ირწმუნებიან, რომ პირიქით იყო და წარმართობამ აიღო ჯვარცმის მოტივი ქრისტიანობიდან. ფაქტობრივად, ქრისტე არ არის გამოსახული, როგორც ჯვარცმული მე-6-მე-7 საუკუნეებამდე, ასე რომ მეცნიერული მიზეზი არსებობს თუ რატომ ვერ იქნებოდა ორფეოსი ქრისტეს მითოლოგიური სახის ზეგავლენის ქვეშ.

უცნაურია, მაგრამ დიონისეს ამბავში გვხდება არა მხოლოდ ბევრი პარალელი მითოლოგიურ და ცნობილ ქრისტესთან, არამედ მასში ვპოულობთ ამბავს იესო ბენ პანდირა, პანდერა ან პანტერას შესახებ, რომელიც ნავარაუდევია, როგორც „ისტორიული იესო“. ეს იესო ან იოშუა ბენ პანდირა გვხდება მხოლოდ თალმუდში და ასახავს მოვლენას, რომელიც მოხდა დაახლოებით 100 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე იესოსთან, მისტიკოსთან ეგვიპტედან, რომელიც ჩამოახრჩეს. ბახუსის ან დიონისეს ისტორიაში, ღმერთი თავიდან იბადება, როგორც ერთ-ერთი ტყუპი და მას პანტერა გამოკვებავს, ამგვარად სახელი „პნტერის შვილი“ იგივეა რაც „ბენ პანტერა“.

როგორც „ნისას ღმერთი“, დიონისე გამოვიდა ეგვიპტედან და მისი მეტსახელი იყო IE∑ ან ლათინურად IES, რომელ ენაზეც იესო არის IES დამატებული ბოლო US; ამგვარად „იესუს ბენ პანტერა“ შეიძლებოდა დიონისეს აღმნიშვნელი ყოფილიყო. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ „იესუს ბენ პანდირა“ რეალური ადამიანი იყო, რომელიც რიტუალურად მსხვერპლად გაიღეს, როგორც მეფე, პრე-ქრისტიანული ღმერთის, მხსნელი ღმერთის იოშუას სახელის. ნებისმიერ შემთხვევაში, იესო ბენ პანდირა არ არის სახარებისეული იესო.

ისევე, როგორც დიონისესთან, სახელი „იეს“ ასევე ინდური ვიშნუს ავატარის ეპითეტია, ისევე, როგროც სლავური მზის ღმერთის:

„იეს კრიშნა იესნის, ან ვიშნას მეცხრე რეინკარნაციის სახელი იყო, ვისი ცხოველი თევზია, როგორც ჯოშუას, ნუნი თევზის შვილის შემთხვევაში... იეს მზის სახელია. იესსე იყო მზის ღმერთი სამხრეთ სლავებთან.“ (Drews, 197)

ისევე როგრც იოშუა და იესნუს, ასევე იესოს სიმბოლოა თევზი. და ეს სამი სოლარული სახე თითქმის ერთია.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ დიონისეს კულტის ზეგავლენაზე ადრეულ ქრისტიანობაზე, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს არა მხოლოდ ის, რომ ერთმა კულტმა მეორეზე ზეგავლენა მოახდინა ფართო გავრცელების გამო, არამედ უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკური ასპექტებიც. იმ დროს ებრაელები სხვა რელიგიაზე გადადიოდნენ იმისთვის, რომ ალექსანდრიაში მიეღოთ მოქალაქეობა. ამ ფაქტმა დიდი როლი ითამაშა ქრისტიანობის ჩამოყალიბებაში, რადგენ ებრაელები სახეცვლილებით, მაგრამ იყენებდნენ უკვე არსებულ და დადგენილ კულტებს.

მზის ღმერთების ავატარებზე საუბარი შეიძლება უსასრულო იყოს, მაგრამ პირველ ეტაპზე ჩვენ აუცილებლად უნდა ვახსენოთ კიდევ ორი მნიშვნელოვანი მითი, რომლის პროტოტიპიც მზის ღმერთი იყო.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრე-ქრისტიანული მითი არის ამბავი ბერძენ გმირ იასონზე, რომელიც მეზღვაურებთან ერთად საოცარი თავგადასავლების მოსაპოვებლად წავიდა. არსებობს მოსაზრება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი დედამიწის კონკრეტულ ადგილებში განვითარდა, როგორც სახარების ამბავი, მითი იასონის შესახებ რეალურ ამბავს კი არ ასახავს, არამედ მხოლოდ ასტრონომიულ მითს. ჩვენ ვიხრებით იმისკენ, რომ სახარების მსგავსად, არსებობდა ორი ამბავი: ისტორიული და მითოლოგიური, და ჩვენ უნდა გავარჩოთ ერთი მეორესგან. მითოლოგიურ რეალობაში იასონის ამბავი კიდევ ერთ სოლარულ მითად წარსდგება: მზის კულტის ქურუმების კიდევ ერთი ნახელავი. როგორც ამბობენ. იასონის მითი უკავშირდება ნოეს ბიბლიურ მითს, რადგან „ნოეს კიდობანი“ (ინგლისურში, მაგალითად, ark) იგივეა, რაც ბერძნული არგოვავტი (argonaut) და ინდური არგანატა (arghanatha). “Arghanatha” ინდური ოსირისის იშვარას ეპითეტია, „ინდური დიონისე“, რომელიც „ღვთაებრივი გემის (არგოს) მბრძანებელია, რომელსაც მიჰყავს აჰაიანის მებრძოლეები წყვდიადის მიწებიდან დილის მიწებში (Cox, 127).“

გარდა ამისა, „იასონი“, „იასოსი“ ან „იესოსი“ ან კიდევ ერთ ვარიანტში იესუსი ან იესო, რომელიც ნიშნავს „მკურნალს“ ან „მსხნელს“(Cox, 128), ეპითეტია, რომელის ბევრ მზის ღმერთს მიასადაგებდნენ ბევრ ადგილას, ქრისტიანულ ერამდე დიდი ხნით ადრე. ასევე, „ოქროს საწმისი“, რომელსაც იასონი ეძებს არის მზის სიმბოლო

ვერძში, გაზაფხულის ბუნიობის სიმბოლო. იასონის მითი, ამგვარად, ხდება ვერძის ეპოქაში, მიახლოებით 2100-4300 წლის წინ და ვერძი იგივეა, რაც კრავი ქრისტიანულ მითოლოგიაში.

სავსებით ნათელია, რომ კაცობრიობის დომინანტი რელიგიები, რომელებიც მრავალი ათასწლეულის განმავლობაში არსებობდა, იყო ასტრონომიური და ასტროლოგიური და ეს ასტროთეოლოგიაც დღესდღეობით ხალხურ რწმენა-წარმოდგენებშიც გაგრძელდა. ასევე, სხვადასხვა მეცნიერის საფუძვლიანი კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ თაყვანისცემის მთავარი ობიექტი საუკუნეების განმავლობაში მზე იყო.

2.3. იაჰვე: ყოვლისშემძლე ღმერთი თუ დესტრუქციული მზე - სემიტური კულტურის კროსკულტურული მიმოხილვა.

ჩვეულებრივ, უმეტესობას მიაჩნია, რომ ებრაელები, მოსეთი დაწყებული, მონოთეისტები იყვნენ, და მათი ერთადერთი ღმერთი, იაჰვე, მათ წინასწრმეტყველებს ევლინებოდა. ეს ეგრედ წოდებული 'პირველადი' მონოთეისტური ღმერთი ყველა დანარჩენზე უმაღლესი იყო და ჰქონდა უფლება გაენადგგურებინა პოლითეისტური კულტურები მის ირგვლივ, მათი მიმდევარი ხალხის დახოცვით, მატი ქალაქებისა და სახლების გაძარცვით და ყველაფერი ეს გაემართლებინა „ღვთის ნებით". ეს მონოთეიზმის და პოლითეიზმის დაპირისპირების სცენარი ბევრგან მეორდება და საკმაოდ ცნობილია. თუმცა, თავიდანვე მცდარია, რადგან თვითონ ებრაელები თავდაპირველად პოლითეისტები იყვნენ. ზოგადად, ებრაელები არ იყვნენ მონოთეისტური კონცეფსიის ავტორები, ეგვიპტელებისგან განსხვავებით, რომლებსაც ყავდათ ერთი ღმერთი ათასი წლით ადრე მოსეს გაჩენამდე. როგორც უილისი ამბობს:

„საბოლოოდ და ძალიან გვიან განვითრებული მონოთეიზმი არც ღვთიური გამოცხადებაა ებრაელებისთვის, არც მათ მიერ ახალი კონცეფციის შექმნაა: მათ ათასწლეულებით წინ უსწრებდათ ამენჰოტეპი IV და ტუტანხ-ამენი ეგვიპტეში - თუმცა ისინიც არ იყვნენ პიონერები. ჩვენ ვნახეთ კათოლიკების აღიარება, რომ ზოროასატრული მითრას რელიგია იყო „ღვთის მიერ გამოცხადებული მონოთეიზმი (Wheless, Joseph, Forgery in Christianity, Health Research 1990).“

ზოროასტრული რელიგიის მონოთეიზმი, ფაქტობრივად, იუდაიზმის იდენტურია და იაჰვე, თავის მხრივ, ზოროასტრიზმის განშტოებაა:

“ორზმურდი ეუბნება ზოროასტერს:“მე ის ვარ, ვისაც უჭირავს სამოთხე უსასრულო კოსმოსში; ვინც ქმნის ამ სამყაროს, რომელიც მანამდე წყვდიადში მოაქციეს, მე ვუბრუნებ მას სინათლეს. ჩემი წყალობით დედამიწა ცოცხალი ხდება - დედამიწა, რომელზეც ღმერთი გაივლის. მე ის ვარ, ვინც მზის სინათლეს ქმნის, მთვარესა და ვარსკვლავებს... მე შევქმენი ადამიანი, რომლის თვალებში სინათლეა, რომლის სიცოცხლე მისი სუნთქვაა, მე მასში სიცოცხლის დაუმარცხებელი ძალა მოვათავსე. (Pike, 1928: 612).“

მონოთეისტური იახვიზმის ჩამოყალიბებამდე, ებრაელები არ იყვნენ მონოთეისტები და დიდად არ განსხვავდებოდნენ პოლიტეისტური მეზობლებისგან, ამიტომაც ძველი აღქთმის „რჩეულები“ მუდმივად გამოხატულია, როგორც „სხვა ღმერთების“ მიმდევრები და ამიტომაც „მაღალი ღმერთი“ იცვლება გმირიდან გმირამდე, მეფედან მეფემდე და წიგნიდან წიგნამდე. ყველაზე კარგად ებრაული ოლითეიზმი გამოხატულია ღმერთის სახელის მრავალფეროვნებაში. ბიბლიაში უძველესი ვერსიებია - მრავლობითი სახელები ელოჰიმ, ბაალიმ და ადონაი, რომელიც წარმოადგენს ორივე ქალურ და მამაკაცურ ღვთაებას. უმეტეს შემთხვევაში ყველა ეს სახელი ითარგმნება, როგორც „ღმერთი“(Elohim), „უფალი“ (Adonai), “უფალი ღმერთი“ (Elohim YHWH) ან „მეფე(უფალი)“ (YHWH/IEUE), რაც ავტომატურად ხდის იუდაიზმს მონოთეისტურს.

ჰიგინსი აღნიშნავს: „ორიგინალში ღმერთს ბევრი სახელი აქვს, ხშირად იგივე, რასაც წარმართები თავის ღმერთებს უძახოდნენ. ამათი განსხვავებისთვის მთარგმნელებმა

გამოიგონეს ტერმინი და ივრითს ბერძნული შესატყვისი მოუძებნეს და სიტყვა Ieue (YHWH) და ბევრი სხვა უბრალოდ „ღმერთად“ თარგმნეს. ... ამით მათ მკითხველი შეცდომაში შეჰყავთ, რადგან მკითხველი განსხვავებას ვერ ხვდება. როდესაც ღმერთს ადონაი ქვია, მას ვერ ერქმევა იეჰოვა ან ელოჰიმ, რადგან ეს აბსოლუტურად განსხვავებული ცნებებია. ის ფაქტი, რომ აბრაამი თაყვანს სცემდა იმ ღმერთებს, რომლებიც სპარსელების ღმერთებიც იყო: შემქმნელი, შემნახველი და გამანადგურებელი, დიდი ხანი კარგადაა ცნობილი. ... (Higgins).“

მრავლობითი სახერლი ელოჰიმ (Elohim) ძველ აღქმაში 2500 ჯერ მეორდება, მაგრამ უმეტეს ვარიანტში არასწორადაა ნათარგმნი. მრავლობითობის გამოყენების ფაქთი ხსნის იმას, თუ რატომაა ნათქვამი დაბადებაში :“შევქმენით ადამიანი ჩვენს ხატად“. როგორც უკვე ავღვნიშნეთ, ელოჰიმ აღნიშნავს ორივეს, მდედრობით და მამრობით ფორმას და მისი მხოლობითი ელ (El) გამოიყენება, როგორც სუფიქსი ანდ პრეფიქსი ღმერთების, ადამიანებისა და ადგილების სახელებში: ემანუ-ელ, გაბრი-ელ, ბეთ-ელ და ა.შ. სატანაც კი იყო ერთ-ერთი ელოჰიმი, როგორც ოლკერი ამბობს: „ ორიგინალში სატანა იყო ერთ-ერთი bene ha-elohim, „ღმერთების“ შვილი, მაგრამ ბიბლიის მთარგმნელები ყოველთვის ამხოლობითებდნენ მრავლობითს რომ დაემალათ ის, რომ ებრაელები მრავალ ღმერთს სცემდნენ თაყვსნას (Walker, 274).“

ელოჰიმი, რეალურად, ‘ელ’ ღმერთების მრავალფეროვნება იყო - El Elyon- „უმაღლესი ღმერთი“; El Sabaoth – „სამოთხის ღმერთი“; El Chay – „მცხოვრები ღმერთი“; El Ma’al – „მაღალი ღმერთი“ და ა.შ. აბრაამის ღმერთის სახელი El Shaddai იყო - „მამების ღმერთი“, რომელიც გამოსვლის მე-6 თავში იაჰვეთი იყო შეცვლილი: „ და ღმერთი დაელაპარაკა მოსეს და უთხრა მას მე ვარ იახვე და მე გამოვეცხადე აბრაამს, ისააკს, იაკობს ელ შადაის სახელით, მაგრამ ჩემი სახელი იაჰვე მათთვის უცნბი იყო (Potter, 230).“

აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით ფსალმუნებში ელ შადაი დემონიზირებული იყო, მაგალითად პსალმუნში 105, სადაც „ეშმაკში“ ქანაანის შედიმი იგულისხმება, ვისაც ებრალებელი მსხვერპლად წირავდნენ თავის შვილებს. ფაქტობრივად 105

ფსალმუნში გამოსახულია მთელი ქრონიკა იმისა, თუ როგორ სცემდა თაყვანს „რჩეული ხალხი“ სხვა ღმერთებს, როგორ იყვნენ პოლითეისტური.

ადამიანის გონის განვითარების პროცესში, როდესაც შესაძლებელი გახდა ერთდროულად არსებობდეს პოლითეიზმი, პანთეიზმი, მონოთეზმი და ათეიზმი, ელოჰიმი აღიქმეოდა, როგოროც ერთიანი „ელ“. სიტყვა „ელ“, ასევე, წარმოადგენდა ორივე ღვთაებას, მამრობითს და მდედრობითს, თუმცა გვიანდელი ებრაელები მას მამაკაცურ საწყისად აღიქვამდნენ. „ელ“ იყო მზრე, ან ‘დღის ვარსკვლავი’, ისევე, როგორც პლანეტა სატურნი, რომელიც როდესგაც განიხილებოდა, როგორც ღამის ცის ‘ერთადერთი და მარადი“ მზე. ელის/სატურნის თაყვანისმცემლობა დასრტურდება იმითაც, რომ დღემდე ებრაელები განიხილავენ შაბათ დღეს (შაბათს), როგორც „ღვთის დღეს“. რადგან ელ-ი მზეა, ბიბლიის ბევრი ელოჰიმი ვარსკვლავებს წარმოადგენენ.

ელოჰიმი არ იყო მხოლოდ ფინიკიის და ქანაანის ღმერთები, არამედ „ალი“ თავდაპირველად ეგვიპტეს იყო. ალი-ში მოიაზრებოდა რამოდენიმე ღმერთი ან ელემენტები, ანუ ატუმის ან ამენის, ‘პტახის ძის’ ტუჩები, კიდურები, სახსრები და ა.შ.“(Churchward, 318). ამგვარად, ისევე როგორც ინდურ სისტემაში, აქ საქმე გვაქს პოლითეისტურ მონოთეიზმთან. ‘პტახის შვილს’ ასევე ერქვა იაო/იაუ/იაჰუ/იუ, იგივე რაც იახვე. აქედან გამომდინარე, გენეზისის ორი მთავარი მიმდინარეობა, ელოჰისტები და იაჰვისტები, შეიძლება აღქმული იყო, როგორც უძველესი ეგვიპტური რელიგიის ანარეკლი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ „ადონაი“ მიმართვის ეთიმოლოგია, რომელსაც ერაელები დღემდე იყენებენ. ღმერთი ‘ბაალი’ და ღმერთები ‘ბაალიმ’ ძველ აღქმაში ბევრჯერაა ნახსენები, უმეტესად მაშინ როდესაც ისრაელიტები ხშირად ისჯებიან სიკვდილით თავისივე მღვდლების მიერ „ბაალის მიმდევრობისთვის“. ისევე როგორც ელოჰიმი, მრავლობითი „ბაალიმ“ ან „ბაალს“ ხშირად წარმოდგენილი იყო მხოლობითით „ბაალ“, ეგვიპტური ტერმინით, რომელიც შეიცავს „ბა“-ს - პლანეტასა და ქალღმერთი ვენერას სიმბოლოს და „ალ“-ს ან „ელ“-ს _ მზის არმნიშვნელს. ამგვარად, ბაალი მზის სახელი იყო კუროს ეპოქაში, რომელსაც ვენერა მართავდა. კუროს ერა არის ერთ-

ერთი 12 -ისგან, რომელიც ასტროლოგიურ ფენომენს „ბუინობის პრეცესიას“ წარმოადგენს, სადაც მზე, რომელიც გაზაფხულის ბუინობის დროს ამოდის იცვლება სხვადასხვა თანავარსკვლავედით ყოველ 2150 წელს. პრეცესიას სჭირდება მიახლოებით 26 000 წელი იმისთვის, რომ ყველა 12 თანავარსკვლავედი შეიცვალოს, ციკლი, რომელსაც „დიდი წელი“ ეწოდება. ცოდნა პრეცესიის შესახებ ათასობით წლის ადრე არსებობდა და ყველგან მსოფლიოში მოიპოვება, ჩინეთიდან მექსიკამდე და გვაჩვენებს რომ ეგრედ წოდებული პრიმიტიული ხალხი საოცრად რთულ და დიდ ცოდნას ფლობდა ამ სამყაროს შესახებ. აქვე აღსანიშნავია ის, რომ როდესაც მზე კუროში იყო, ხარის მოტივმა მთელი მსოფლიო მოიცვა, ასევე ის ლევიტებთან აისახა, სადაც ის ბაალის სახით იყო წარმოდგენილი.

როგორც „ღმერთის სხვა ეპითეთი, ‘ბაალი’ არის წოდება, რომელიც ნიშნავს „ბატონს“ ან „ქმარს“: ფაქტობრივად ეს ძალიან ძველი მიმართვაა ღვთაების მიმართ, რომელიც მოიპოვება არა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ ინდოეთშიც, ‘ბალას’ სახით. ირლანდიის და შრი ლანკის უძველეს ენებში „ბაალი“ მზეს ნიშნავს.

რეაალურად, ბაალი ადრეული სახელია იაჰვესი, როგორც ბიბლიაშია აღნიშნული: „და იყოს მას დღესა შინა, - იტყჳს უფალი, - მხადოს მე მან ქმარი. ჩემი და არღარა ხადოს მან ბალამის (ოსია 2:16).“

უოლკერსაც მიაჩნია, რომ ბაალი “ბატონი“ იყო უძველეს სემიტებს შორის. ყოველი ღმერთი ბაალი იყო. ეს ტერმინი ირლანდიაში მოხვდა ფინიკიური კოლონიების მეშვეობით ესპანეთის გავლით. ძელი აღქმის ებრაელები თაყვანს სცემდნენ ბევრ ბაალიმს როგორც ქალღმერთი იერუსალიმის ქმრებს. იაჰვეც დიდხან ინაწილებდა სხვა ღმერთების ტაძრებს, სანამ მისმა სამღვდელოება არ მოახერხა მისი კულტის იზოლაცია და სხვების დამარცხება (Walker, 84).“ ბლავატსკაია კი ამბობს: „ისრაელიტების ბაალი (მოაბელების შემეში და ამონიტელების მოლოხი) იყო იდენტური ‘მზე-იახოვასი“ და დღემდე ის არის „სამოთხის ღმერთი“, მზე, ისევე, როგორც ასტორეტი (ასტარტე) იყო „სამოთხის დედოფალი“ - მთვარე (Blavatsky, 1988).

სხვა სიტყვა, ძირითადად იგივე რაც ბაალი, არის ადონისი, რომლის მრავლობითია ადონაი, ტერმინი, რომელიც „ბატონისთვის“ გამოიყენება ებრაულ ბიბლიაში 400 ჯერ. ადონისი, ისევე, როგორც ბაალი და ელი არის მზის ეპითეტი.

ელოჰიმის/ბაალის/ადონაის შეცვლა იაჰვეთი მოხდა ლევითური სამღვდელოების აყვავების დროს, რადგან მოსე, ვისაც პირველს გამოეცხადა იაჰვე, მიჩნეული იყო „ლევის შვილად“. ყველაფერთან ერთად ლევიტები იყვნენ ფანატიკოსი მღვდლები, რომლებსაც სურდათ ისრაელის გადმოყვანა კუროს ერიდან ვერძის ერაში. ფაქტობრივად, ეგვიპტიდან გამოსვლის მერე მოსე ცვლის კალენდარს წლის დაწყებით და პესახის დაწესებით.

როგორც ავღვნიშნეთ, იახვემდე ისრაელის ღმერთს ბაალი ერქვა და ის მზეს ტაურუს ერაში აღნიშნავდა. როდესაც მზე გადავიდა აიერისში, „უფლის სახელი ეგვიპტური იაოთი შეიცვალა“ (Higgins, 1992:62) და გახდა YHWH, IEUE, Jahweh, Jaweh, Jehova და Jeh. მისი უძველესი სახელი „იაო“ აღნიშნავს ღმერთის მთლიანობას, სადაც „ი“ წარმოადგენს ერთობას, „ა“ არის ‘ალფა დასაწყისისა’ და ‘ო’ არის ომეგა, ან დასასრული.

სინამდვილეში, სახელი იახვე, იაო ან მისი სხვა ვარიანტი მოიპოვება სხვადასხვა კულტურაში:

„მზე ცნობილი იყო, როგორც ადონისი... იაოსთან იდენტური, ან, ჩინური რწმენის მიხედვით, იაო (იეჰოვა) მზეა, რომელიც სამყაროს ევლინება „ოცდამეოთხე დღის შუაღამისას მეთორმეტე თვეში (Anderson, 1970:79).“

YHWH/IEUE, ასევე, ეგვიპრური ღმერთი რაა:

„რა იყო მამა ზეციური, რომელიც სახელად ‘ჰუჰი’ არის მარადი, რომლისგანაც ებრაელებმა წარმოქმნეს სახელი „იჰუჰი“ (Churchward, 280).“

ამგვარად, ღვთის საკრალური სახელის ტეტრაგრამაცია IAO/IEUE/YHWE არის ძალიან ძველი, პრე-ისრაიტული, და ეთიმოლოგიურად შეიძლება დაკავშირებული იყოს ბევრ ნიშნავს, ან „IAO/YHWE ხსნის“. როგორც ჰიგგინსი ამბობს, დოქტორ პარხუტსი ამტკიცებს, დიოდორე სიცილიელზე, ვაროზე, წმინდა ავგუსტინზე და

სხვებზე დაყრდნობით, რომ იაო, იეჰოვა, ან ieue, ie ებრაელებისა იყო ლათინებისა და ეტრუსკების იოვი.... ის ასევე უშვებს იმას რომ ‘იე; აპოლო იყო.

იახვეს თავისი პერსონის სხვა ასპექტიც ჰქონდა, რადგან დასაწყისში ღვთიური სახელის ტეტრაგრამატონი ორსქესიანი იყო.

უოლკერი ამბობს: “ებრაული მისტიური ტრადიცია განიხილავდა ორიგინალ იაჰოვას, როგორც ანდროგინს. მისი სახელი შეიცავდა იაჰ (იოდ)-ს და ევას პრე-ებრაულ სახელს ჰავა (Hawa ან Hava). ოთხი ასო ერთად ქმნიდა საკრალურ ტერაგრამატონს, YHWH, ღმერთის საკრალურ სახელს. ბიბლია შეიცავს ბევრ პლაგიატიზირებულ ამონარიდს ადრინდელი ჰიმნებიდან და ლოცვებიდან იშტარისა და სხვა ქალღმერთების მიმართ, სადაც ქალრმერთების სახელები იახვეთი არის შეცვლილი (Walker, 1988:202).“

ამგვარად, იაჰვეც როდესღაც მრავლობითი იყო, მაგრამ შემდეგ ის გახდა მხოლობითი, მამრობითი ზეციური ღმერთი. ეს მხოლობითი იახვე მეომარი ღმერთი იყო და წარმადგენდა მზეს ვერძში, რომელსაც მარსი მართავდა და რომლის სიმბოლო ცხვარი იყო.

მეომარი ღმერთი იაჰვე იყო არა მხოლოდ „გულკეთილი“, არამედ „მოშურნე“:

„რამეთუ არა ჴელ-გეწიფების თქუენ თაყუანის-ცემად ღმერთთა უცხოთა, რამეთუ უფალი ღმერთი მოშურნე სახელი არს, ღმერთი მოშურნე არს (გამოსვლა 34;14).“

რეალურად, ივრითში „გულკეთილი“ და „შურიანისთვის“ გამოიყენება ერთი და იგივე სიტყვა, მაგრამ სხვადასხვა ტტრანსლიტერაციით, qanna - შურიანი, qana - გულკეთილი.

ისევე, როგორც El Elyon, ქანაანის ერთ-ერთი ელოჰიმი, უმაღლესი ღმერთი, იახვე, El Qanna იყო გულკეთილი/შურიანი ღმერთი, რაც კარგადაა გამოხატული ძველ აღქმაში. წოდება „გულკეთილი/შურიანი“ ასევე კარგად ესადაგება ღმერთს, რომელიც ვულკანითაა წარმოდგენილი. მაგალითად იახვეს კვამლიანი და მრისხანე მთა სინაი წარმოადგენს. თვითონ იახვეს მიმდევრებიც იყვნენ ავგულიანი და მრისხანე ზელოტები.

როგორც ვხედავთ, იახვე წარმოადგენდა არა მხოლოდ ზეცას, არამედ მზის სიმხურვალეს, ენერგიას და ცეცხლს. აღსანიშნავია, რომ სიტყვა Yahweh ან Yahveh სანსკრიტში „გადმოღვრილს“ ნიშნავს. იაჰვეს ვულკანურ ბუნებასთან დაკავშირებით სტოუნი წერს:

„გამოსვლაში“ “ღმეღთების მთასთან“ დაკავშირებით ამ აღწერას ვაწყდებით: „ხოლო იყო მესამესა დღესა, იქმნა რაჲ ცისკარი, იქმნეს ჴმანი და ელვანი და ღრუბელი ალმურიანი მთასა ზედა სინასა, ჴმაჲ საყჳრისა ოხრიდა დიდად და შეშინდა ყოველი ერი ბანაკსა შინა (გამოსვლა 19:16)” , „ხოლო მთაჲ სინა მკმოლვარე იყო ყოვლად გარდამოსლვისათჳს ღმრთისა მას ზედა ცეცხლითა. და აღვიდოდა კუამლი ვითარცა კუამლი საჴუმილისა (გამოსვლა 19:18).“ და, ასვე: „ და ყოველი ერი ხედვიდა ჴმასა და ლამპართა და ჴმასა საყჳრისასა და მთაჲ მკუმოლვარე იყო, ხოლო შეშინებულნი ყოველნი ერნი დგეს შორს. და იტყოდეს მოსეს მიმართ: შენ გუეტყოდე ჩუენ და ნუ იტყჳს ჩუენდა მომართ ღმერთი, რათა არა მოვკუდეთ. და ეტყოდა მათ მოსე: მინდობილ იყვენით, გამოცდისა თქუენისათჳს მოვიდა ღმერთი თქუენდა, რათა იქმნეს შიში მისი თქუენ შორის, რათა არა სცოდოთ (გამოსვლა 20:18-20) (Stone, 1976:122-123) .“

მეტიც, ებრაელებისთვის „წმინდა კანონის“ მიღების სურათზე ასახულია ვულკანი - მთა სინაი - ათი მცნების დაფით.

თუმცა, ვულკანთან დაკავშირებული სიმბოლიკაც რომ არა, იახვე მაინც მრისხანე და სასტიკია. ტეილორი აღნიშნავს: „ზოგჯერ ის გამოხატულია, როგორც მოღრიალე ლომი, სხვა დროს, როგორც მოსისინე გველი, მძვინვარებით ანთებული და არ შეუძლია შეიკავოს საკუთარი ვნებები, ის ძალადობს, იწყევლება, მისი სიბრაზე სახეზე ეტყობა, ცხვირის ნესტოებიდან კვამლი გამოდის... (Taylor, 1977:22).“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იაჰვე, ვულკანის ღმერთი, გაჩნდა იმავე დროს, რაც მოსე და აარონი, ძმები და „ლევის ძმები“. თუმცა, მოსე და აარონი მხოლოდ ამბობდნენ, რომ იყვნენ ‘ლევიტები“, ტომი, რომელიც სინამდვილეში ‘ინდო-ევროპულ’ დამპყრობლებს წარმოადგნდა, ვინც დაიპყრო უდაბნოს ტომები და აიძულა მათ მიეღოთ ახალი რელიგია. თუმცა, ‘ლევის შტო’ მოდი ‘შემის შვილებიდან’, ანუ არიან

სემიტები. ორივე ჯგუფი, სემიტები და არიელები, ბიბლიის მიხედვით ‘ნოეს შვილები’ არიან. ფაქტობრივად, არიელები და სემიტები უფრო შერეულები არიან, ვიდრე მოსალოდნელი იყო და ზოგი ‘ჯეფეტის შვილი’ აშკენაზი გახდა. თუმცა, იაჰვეს მიმდევრები თვაის წიგნებს ქმნიდნენ და თავს წარმოადგენდენ მკაცრ სეგრეგაციონისტებად. მოგვიანებით მათ ეგვიპტური მითოლოგიაც გამოიყენეს.

საიდანაც არ უნდა იყვნენ, ლევიტები მაინც წარმოადგენდნენ განშტოებას ძველი, პოლითეისტური სემიტური/ებრაული ტომებისგან.

ეს განშტოება კარგადაა გამოსახული მოსეს ამბავში, სადაც ნაჩვენებია თუ რამდენადაა ებრაელებისთვის რთული. თავი დაანებონ ეგვიპტური ჰორუსის და ოქროს ხბოს კერპის, ეგვიპტური ქალღმერთის ჰატორის შვილის უძველეს თაყვანისცემას. ეგვიპტელები გამოსახაზვდნენ დედა-ჰატორს, როგორც ძროხას, რომელიც ყოველდღიურად შობდა მზეს, ჰორუს-რას, მის ოქროს ხბოს, იგივე ღვთაებას, რომელსაც აარონი და ისრაელის შვილები სცემდნენ თაყვანს: „და მოიღო იგი ჴელთაგან მათთა და გამოუქმნა იგი გამოწერით და შექმნა ჴბო გამოდნობილად დასხმით. და თქვეს: ესე არიან ღმერთნი შენნი, ისრაელ, რომელთა გამოგიყვანეს შენ ქუეყანით ეგჳპტით (გამოსვლა 32:4).“

მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იაჰვე მზესთან ასოცირდებოდა, ოქროს ხბო იმდენად შემაშინებელი იყო იუდეველი ლევიტებისთვის, რომ უამრავი რაღაც დაიწერა მის საწინააღმდეგ, მაგალითად იოსიას წინასწარმეტყველებაში.

2.4. მითრა: მზის შვილი დედამიწაზე.

მითრა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და სადაო მითოლოგიური პერსონაჟია. მითრას სახე განსაკუთრებით დიდ ინტერეს წარმოადგენს ჩვენთვის, ქართველებისთვის, რადგან მითრას კულტი ჩვენი წინაპრების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. თუმცა, ამის დამადასტურებელი ცოტა რამ არსებობს, რადგან ქრისტიანულმა კულტურამ თითქმის მთლიანად გაანადგურა მითრას კვალი, იქნებოდა ეს არქიტექტურა თუ ლიტერატურა, და არ მხოლოდ საქართველოში. თუმცა, მიმდინარე არქეოლოგიური გათხრები და თანამედროვე ტექნოლგია იმედს გვიტოვებს, რომ მეცნიერები მიაგნებენ ოდესღაც უდიდესი კულტურის ნიშნებს.

რაც შეეხება მითრაიზმის ისტორიას, რის შესწავლის საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა უძველესი წყარო, ის მაინც სადაო რჩება. კარგად ცნობილია, რომ მითრა

იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მზის ღმერთი რომაულ იმპერიაში, ორიგინალურად ის გაჩნდა, როგორც 'მითრა' ინდურ ვედურ რელიგიაში, რომელიც ყველაზე ნაკლები 3 500 წელს ითვლის. როდესაც ირანელები გამოიყვნენ თავისი ინდური საძმოდან, მითრა ცნობილი გახდა, როგორც მითრა, ან მიჰრი, როგორც მას სპარსულად უწოდებდნენ. (ტრანსლიტერაციაში Mitra – Mithra – Mihr). ირანელი და ინდოელი ხალხის უძველესი ერთობა ასახულია მათ რელიგიებში და ენებში, რადგან სპარსული ხელნაწერების ენა, ავესტას ენა ძალიან ახლოსაა ვედების ენასთან, და ორივე არის „ერთი და იგივე ეროვნების ორი სხვადასხვა ტომის დიალექტი (Prasad, 84)." მითრას/მითრას შესახებ სვამი პრაჯნანანანდა აღნიშნავს:

„მითრა ან მითრა ასევე არის თაყვანისმცემული, როგორც იტუ (Mitra-Mitu-Itu) ჰინდუსების ყველა სახლში ინდოეთში... ეს მითრა ან მითრა (მზის ღმერთი) მიჩნეულია ღმერთსა და ადამიანს, ცასა და დედამიწას შირის მედიატორად. ნათქვამიან, რომ მითრა-მზე დაიბადა გამოქვაბულში 25 დეკემბერს. ასევე, ნათქვამია, რომ ის ქალწულისგან იშვა. ის შორს მოგზაურობდა და ბევრგან. მას თორმეტი თანამგზავრი აქვს , რომლებიც აღქმულია, როგორც მზის მოციქულები... მზის დიდი დღესასწაულები აღინიშნება ზამთრის და გაზაფხულის ბუინობის დროს - შობა და აღდგომა. მისი სიმბოლო კრავია...(Legge, 187)"

დაახლოებით 1500 წლისთვის ჩვენს წელთაღრიცხვამდე მითრას თაყვანისმცემლობამ ახლო აღმოსავლეთს მიაღწია, ინდურ სამეფო მიტანში, ვინც იმ დროს ასურეთის ადგილზე იყო დასახლებული. თუმცა, მითრას თაყვანისცემა მაგ დროისთვის უკვე შორსაც იყო ცნობილი, მაგალითად ხეთურ სამეფოში, რამოდენიმე ასეული მილით აღმოსავლეთით ხმელთაშუა ზღვიდან, და ამის დამადასტურებელი ხეთურ-მითანის ტაბულები, რომელიც ბოგაზ-კოიში იპოვეს, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე. მითრაიზმის ისტორია, ამგვარად, ინდო-ევროპული ენების ადრეულ ჩანაწერებთან, ხეთურ ტაბულებთან, რომელშიც ჩაწერილია მითრა, ვარუნა, ინდრა და სხვა ინდური ღმერთები.

მიჩნეულია, რადგან მითრაიზმი იყო „მისტერიული კულტი', მას შემდეგ არ შემორჩა რაიმე ჩანაწერები. სინამდვილეში, მითრას თაყვანისცემის უმეტესი

დამადასტურებელი იყო განადგურებული, არა მხოლოდ მონუმენტები, იკონოგრაფია და სხვა არტეფაქტები, მაგრამ ასევე ბევრი წიგნი, მაგალითად ეუბულუსის, ვინც ჯერომის Against Jovianus-ის მიხედვით „მითრას ისტორია ბევრ თავად დაწერა“.[9] ასევე, პორფირე ახსენებს უამრავ ტრაქტატს, რომელის მითრას რელიგიას აქებდა და განდიდებდა და რომელიც განადგურებული იყო “ეკლესიის საკეთილდღეოდ“. ეს ნაწერები უეცვლელად შეიცავდნენ უამრავ საინტერესო ინფორმაციას, რომლის მიხედვით უფრო მარტივი იქნებოდა მითრას და იესოს შორის პარალელების გავლება, თუმცა, სამწუხაროდ, ეს მასალა თანამედროვე მეცნიერებას არ გააჩნია.

მითრა მზის სნათლისა და სიძლიერის სიმბოლო იყო და მისმა სწავლებამ და რელიგიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ასტროლოგიის და მაგიის გამო, მისი ქურუმების გამო, რომლებმაც მსოფლიო მაგიაში სახელი გაითქვეს.

გარდა თავისი ინდური წარმომავლობისა, სადაც მითრა მზის ღმერთადაა მიჩნეული, ის ასევე იდენტურია შამაშთან, ბაბილონის მზის ღმერთთან; მითრა ასევე ბელია, მესოპოტამიისა და ქანაანის/ფინიკიის მზის ღმერთი, რომელიც მარდუქის მსგავსად, წარმოადგენს ორივე პლანეტას - იუპიტერს და მზეს. კლემენტ ალექსანდრიელის მიხედვით, მის დებატში აპიონთან (VI, თავი X), მითრა ასევე აპოლოა.[10]

მითრას სოლარული როლი ასევე დასტურდება მისი თყავანისმცემელი რომაელი ლეგიონერების წარწერებით, რომლებშიც ესენი „დაუმარცხებელ მზეს მითრას“ ევედრებოდნენ.

როგორც ბიბლიის მკვლევარე და კომენტატორი მეთიუ ჰენრი (XVIII საუკუნე) ამტკიცებდა, „მზე მითრა“ იყო ასურეთის მეფე შალმანსერ მეხუთეს ღმერთი. მითრას პოპუარობა ასევე ნათელია ძველ დროში ახლო აღმოსავლეთში ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეშვიდე საუკუნემდე გავრცელებული სახელის - მითრადატეს (მითრას სამართლიანობა) მაგალითზე.

[9] www.ccel.org/fatehrs/NPNF2-06/treatise/jovinan2.htm
[10] www.ccel.org/fathers2/ANF-08/anf08-50.htm

V საუკუნეში იმპერატორმა იულიანემ უარი თქვა საკუთარ რელიგიაზე, ქრისტიანობაზე და მიიღო მითრაიზმი და კოსტანტინოპოლს გააცნო მისი თაყვანისცემის პრაქტიკა. თუმცა, იულიანეს სიკვდილის შემდგომ ქრისტიანობის შეტევა მითრაიზმზე სწრაფი და უმოწყალო იყო. ამის შემდეგ მითრაიზმი მთლიანად გაქრა და არსად იყო ნახსენები, მის გამოჩენამდე ევროპულ ლიტერატურაში XV საუკუნეში. მიუხედავად ამისა, მითრაიზმი ბევრი საუკუნის განმავლობაში არსებობდა და უდიდესი გავლენა მოახდინა რომის იმპერიაზე, ბევრ კულტურასა და რელიგიაზე.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რიტუალი მითრაიზმში იყო „ტაუროქტონია“ ან მითრას მიერ ხარის მოკვლა, რომელიც არ ჩანდა მითრაიზმის იკონოგრაფიკაში სანამ მასზე რომაულმა და ბერძნულმა კულტურებმა არ მოახდინეს გავლენა. (დანართი 1) მაგრამ ასეთი სურათები ადრეც არსებობდა ახლო აღმოსავლეთში და მცირე აზიაში და მითრა ასოცირდებოდა ხარის სიმბოლიზმთან რომაულ-ბერძნულ ერამდე დიდი ხნით ადრე. ფაქტობრივად, ხარის მოტივი კუროს ერას წარმოადგენს (4500-2300 წწ), ერთ-ერთი 2150 წლიანი ერებიდან, რომელიც ბუნიაობების პრეცესიით იქმნება.

მითრაისტული ხარის გამოყენება კუროს ერისა და ნიშნისთვის არ არის ახალი. ფრანგმა მეცნიერმ დიუპიუმ ამის განხილვას მე-18 საუკუნეში შეუდგა. მე-19 საუკუნის მიწურულს ბანსენმა ასევე დაწერა კუროს ხარის შესახებ და განიხილა ბუდა, რომელიც წარმოდგენილია კრავით და არა ხარით და განაცხადა, რომ „ყველაზე მნიშვნელოვანი სოლარული გმირები ჩნდება მაშინ, როცა კურო იყო გაზაფხული ბუნიაობის ნიშანი“ (Legge, 1969:230). მეორე ღმერთი, რომელიც ‘‘ხარით დადის“ არის სპარსული მთავარღმერთი აჰურა მაზდა; მისი ებრაული ვარიანტი, იაჰვეც წარმოდგენილია, როგორც „ჩერუბ, კირუბზე ან ხარზე მოსიარულე“. როგორც შემდგომ ბანსენი აღნიშნავს, ხარი ნამდვილად არის კუროს აღნიშნვა.

სოლარული ხარის მოტივი მოიძებნება უძველეს კულტურებში, მათ შორის შუმერულში, ბეჭდებზე, სადაც აღბეჭდილია ცეცხლოვანი „სამოთხის ხარი“, რომელიც წარმოადგენს მზის სასტიკ ასპექტს. ქრისტიანულ, რომაულ-მითრაისტულ ერამდე დიდი ხნით ადრე ბევრ ღმერთს სცემდნენ თაყვანს ხარის ფორმაში, მათ

შორის ზევსს და ინდურ შივას, ეგვიპტურ ღმერთებს მინს, რას და ამენს, რომელსაც ასევე უძახოდნენ „ახალგაზრდა ხარს ბასრი რქებით“. ოსირისის უძველესი ფორმა და გვიანდელი ეგვიპტუური ღმერთი აპისი გამოსახულები იყვნენ, როგორც ხარები, ისევე როგორც ოსირისის ბერძნული ვერსია დიონისე/ბახუსი. ზოგიერთი ქალღმერთი ასევე წარმოდგენილი იყო როგორც ძროხა, მაგალითად მეტი და ხატორი.

ინდურ წმინდა ტექსტში, რიგ ვედაში, რომელიც ერთ-ერთი უძველესია დედამიწაზე და დაახლოებით 3500 წელს ითვლის, მზის ღმერთი სურია ჩნდება როგორც ხარი, ისევე როგორც მზისა და ცეცხლის ღმერთი აგნი, რომელიც „ხშირად წარმოდგენილია, როგორც ხარი, ღმერთის სიძლიერის სიმბოლო (Drews, 1998:142).“ სხვა მზის ღმერთი, როჰიტა, ათარვავედაში ნახსენებია, როგორც „მლოცველთა ხარის ხარი“ (Srivastava, 1972:148).“

ამგვარად, ათასწლეულით ადრე სპარსულ კულტურამდე, ჩნდება მზის ღმერთის როგორც ხარის მოტივი, რომელიც მსხვერპლს წირავს, ან საკუთარ თავს სამყაროს გადარჩენისთვის. სინამდვილეში, ხარები ხშირად მოჰქონდათ მსხვერპლად ბევრ კულტურაში, მათ შორიც ბერძნულ კუნძულ კრეტაზე, 40000 წლის წინნ. „გილგამეშის ეპოსში“ შუმერო-ბაბილონური დემიურგი, გმირი გილგამეში ებრძვის და კლავს „სამოთხის ხარს“, იგივე მოტივი რაც მითრას მიერ ხარის მოკვლა.

მითრას ადრეულ გამოსახულებაში ის წარმოდგენილია, როგორც მზის დისკო ეტლში, რომელიც თეთრ ცხენებს მიჰყავთ, მოტივი რომელიც იესოს მითზე იმოქმედა, სადაც ქრისტე თეთრი ცხენით უნდა დაბრუნდეს. მითრას სოლარული მოგზაურობის შესახებ ლარუსის მითოლოგიის ენციკლოპედიაში ნათქვამია: „პრე-ზოროასტრიულ პერიოდში მითრა, რომელიც ხშირად გაიგივებული იყო უმაღლეს აჰურასთან, უდიდესის ღმერთი იყო. ბრძოლაში მის სიმამაცეს მეტოქე არ ყავდა. მას გააჩნდა არ მხოლოდ სიძლიერე, არამედ ცოდნაც; და ის ნამდვილად სინათლე იყო. ამგვარად მას მიჰყავდა სოლარული ეტლი ცაზე... და მხეცებს მისთვის მსხვერპლად წირავდნენ (Legge, 321).“

თვითონ მითრას სიმბოლო, როდესაც სამოთხის ხარს კლავენ, ეს აქტი წარმოადგენს ღმერთს, რომელიც საკუთარ თავს წირავს კაცობრიობის ცოდვებისთვის. მითრაისტულ რიტუალებში მითრა თვითონ იყო ხარი, ისევე როგორც დიონისე და ოსირისი და ის ღმერთიც, ვისთვისაც ხარის მსხვერპლშეწირვა ტარდებოდა.

მითრას მიერ ხარის მოკვლა მითრაიზმისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ქრისტიანობისთვის ქრისტეს ჯვარცმა. ხარი წარმოადგენდა თავიდან დაბადებას, ნაყოფიერებას, მისი სისხლი იგივე იყო, რაც მისტერიებისთვის ღვინო. ხარის მსხვერპლშეწირვა მეორდებოდა მითრაისტულ ნათლობაში, სადაც ინიციაციის წევრები სისხლით იყვნენ ამოთხვრილები, რის მერეც ისინი „თავიდან იბადებოდნენ“ და „ცოდვებისგან იწმინდებოდნენ“ (Halliday, 1925:308).“ ეს ინიციაცია წარმოადგენდა სულიერ დაბადებას, იგივეს, რასაც წარმოადგენს ქრისტიანული ნათლობა.

თუმცა, არამხოლოდ ნათლობა, არამედ სხვა რიტუალები და მოტივები აქვთ მითრაიზმს და ქრისტიანობას საკმაოდ მსგავსი. მითრაიზმი იმდენად გავს ქრისტიანობას მთლიანობაში, რომ ეს ყოველთვის აინტერესებდა ქრისტიან მამებს და დღემდე დიდი პოლემიკის საგნად რჩება. ზოგი თვლის, რომ მითრაიზმი არის ქრისტიანობის გავლენის ქვეშ, თუმცა ქრონოლოგიურად თუ მივყვებით სულ სხვა სურათი გვხვდება. იმ დროისთვის როცა ქრისტიანობა შემოვიდა რომში, მითრაიზმი უკვე იყო ხშირად გამპყენებადი და პოპულარული კულტი. აღსანიშნავია, რომ ვატიკანის გორაკზე არქეოლოგირი გათხრების დროს ნაპოვნი მითრაისტული საგნები ქრისტიანული შრის ქვემოთ იყო, რაც აშკარად მეტყველებს მითრაიზმის კულტს სიძველეზე.

მითრა და იესო ორივე არიან ერთი დამახასიათებლების მატარებელი და ძალიან გვანან, თუმცა ამაზე ჩვენ მოგვიანებით ვისაუბრებთ. მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია, რომ საქართველოშიც არსებობდა და, სავარაუდოდ, ფართოდ იყო გავრცელებული მითრას კულტი. მითრას კულტი ფართოდ იყო გავრცელებული აევე სომხეთში, სადაც მას „მიჰრას“ ეძახდნენ. სომხური მიჰრის ღვთაებრიობის ხილული განსახიერება იყო ორგვარი: "არეგ-აკნ" მზის თვალი-ორმუზდის თვალი ან ხილული მზე.. მეორე "ლუსინ" მთვარე, რომელსაც მოსე ხორენელი "ცეცხლის დას" უწოდებს.

შეუძლებელია, საქართველოში უძველეს დროში მითტრას კულტი არ არსებულიყო, რადგან საქართველოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა აღმოსავლეთის კულტურებთან და ხალხებთან. მითრას კულტის ჩვენში არსებობას მოწმობს დას. საქართველოში დაცული ერთი ფრიად საყურადღებო სალოცავი, რომელსაც მეგრელები "მისრობას", ან "მირსობას" უწოდებენ, სვანები-"მეისარბ"-ს და გურულები "მოისარობას". მირსობას მეგრელები დიდი მარხვის დაწყებამდე იხდიან. საგანგებოდ ასუქბენ ღორს ("ომირსე"). მირსობა დღეს, ხუთშაბათს (მეგრ.ცაშხა), ოჯახის უფროსი ამ ღორს კერის გარშემო რამდენჯერმე შემოატარებს შემდეგი ლოცვით: დღეს მირსობის მობრძანებავ! მე და ჩემს ცოლსა და შვილს ბედი მიეცი, ბედნიერად ამყოფე, ყოველი ალიანი და ჩალიანი (სიავე) გაუქარვე, ყოველივე ავი ზნისაგან, წყლისაგან შენ დაიცავი, შენ სახელდალოცვილო.
ლოცვის დასასრულს ღორს დაკლავენ. შემდეგ ოჯახის დიასახლისი, ოჯახის თითოეული წევრისთვის ორ-ორ მრგვალ კვერსა და კვერცხს მოხარშავს. სადილის წინ ოჯახის წევრები, უფროს-უმცროსობით კერასთან მდგარ ტაბლასთან მივლენ და სათითოდ თავიანტ კვერცხებსა და კვერებს. თვალებზე მიიფარებენ, თან ატრიალებენ და შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამენ: წმ. მირსა დღეს ვლოცულობ! ჩემი თვალის სიმრთელისათვის, კვერით და კვერცხით, ავი თვალის ტკივილი, ავი თვალის დაწირპლვა შორს გამიქარვე. მთაზე ბუზი მიფრინავდეს ჩემს თვალს დაანახვე, მტაზე წიანჭველა მიცოცავდეს, ღმერთო, ჩემს თვალს დაანახვე, ჩემი თვალის ნაქნარით ჩემი გულიგაახარე.
ამ ლოცვის დასასრულს კვერსა და კვერცხს იქვე შეჭამენ. მირსობის ეს რიტუალი უფრო კარგად და სრულად დაცულია მთიან სამეგრელოში, ჩხოროწყუს სამ სოფელში: გოდოგანში, გარახაში და ჯუმითში. მირსობა დღეს ამ სამ სოფელში იმართებოდა ხატობა, რომელსაც "ჯეგე" ან "ჯგეგე-მისარონი" ეწოდება. სოფ. გოდოგანი კურზუს თემშია და აქ ერთ მაღალ გორაკზე აშენებულია პატარა ეკლესია. რომელსაც "ჯეგე-მესარონს" უწოდებენ. დგეობა იმართება თებერვალში, 2 კვირით წინ ყველიერამდის და სალოცავათ წინათ დიდძალი მხვეწარი მოდიოდა თურმე, განსაკუთრებით ის გვარები, რომალთა ფუძის ან გვარის (ჯინჯიში ხატი) ხატად იგი ითვლებოდა.: ფიჩხაია, ბერულავა, ჩარგაზია, მიქაია, გოგუა, ლაშხია, ნაჭყებია,

აშორდია, ფონია, კვაშილია, გაბედავა, არაჰამია და სხვა. ჩარგაზიასა და ნაჭყებიას გვარიდან ირჩევდნენ ნათეებს, რომლებიც ხატს ამწყალობნებდნენ. მირსობა დღეს გოდოგანში ომირსე ღორს კერის გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ და ჯეგე-მისარონს შესთხოვდნენ ოჯახის კეთილდღეობას. ომირსე ღორის ხორცის ჭამა დაღამებამდის არ შეიძლება. დილით კი მოხარშული კვერცხებითა და კვერებით თვალის საღობაზე ჩვეულებრივი წესით ლოცულობენ და შემდეგ ყველანი მიდიან ჯეგე-მისარონის ეკლესიაში, სადაც წინათ ასრულებდნენ სხადასხვა რიტუალს, ლოცვა-ვედრებას, რომელსაც მოჰყვებოდა ცეკვა-თამაში, სიმღერა და სხვა გართობანი. საღამოს მლოცავი სახლში მიდის. ოჯახის უფროსი ომირსე ღორით დაილოცებოდა, გაშლიდნენ სუფრას და რორის ხორცს სჭამდნენ.
ამ დღეს სალოცავად მოდიოდნენ გამოთხოვილი ქალები, რომელთა ფუძის ხატად ჯეგე-მისარონი ითვლებოდა. მათ ტან მიჰქონდათ სანტელ-საწირი და დაკლული ღორები. აქ გვარის ნატეები ამწყალობლებდნენ და შემდეგ შვილდში გამოატარებდნენ.
ვისაც შეთქმული ჰქონდა, იგი ჯეგე-მისარონს ღამეს უთევდა. მოჰყავდათ სულიტ ავადმყოფნი და თვალით სნეულნი. მათ მისარონის ხატის წინ დააწვენდნენ "ხატიში ითონჯირაფა" (Legge, 255). ღამეს ათევდნენდა ევედრებოდნენ ავადმყოფის განკურნებას.
თვალის სნეულების საწირში მიჰქონდათ ორი სანთელი, ორი კვერი, ორი კვერცხი და თეთრი ფულები. მუხლმოყრით ეკლეისას სამჯერ შემოუვლიდნენ და ევედრებოდნენ თვალისსაღობას.
ასეთივე ხატობა იციან სოფელ გარახაში. თებერვალში, მირსობა დღეს გარახის წმ. გიორგის ეკლესიაში წინათ იმართებოდა ჯეგე-მისარონის დიდი ხატობა. ამ ხატის ყმებია: მაფორია და უბირია. ნათეებსაც ამ გვარიდან ირჩევდნენ. აქც თვალით სნეულნი და სულით ავადმყოფნი მოჰყავდათ. შეხვაწილები ხატს სწირავდნენ თვალის სანთელს, რომლების წარმოადგენდნენ თვალის კაკლისოდენა სანთლის რგოლებს. გარახიდან გათხოვილი ქალები მოდიოდნენ საწირით, დაკლული ღორებით, ლოცულობდნენ და ნათეები შვილდში გაატარებდნენ.

გარახასა და ჩხოროწყუს მახლობლად მდებარეობს სოფ. ჯუმითი. აქაც ასევე იცოდნენ წმ. გიორგის ეკლესიაში დიდი ხატობა.[11]

ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ გრაკლიანის გათხრების დროს აღმოჩენილი ზოროასტრული ტაძრის ქვეშ, სხვა ფენებში შეიძლება მითრას ტაძარი არსებობდეს, თუმცა ეს მოსაზრება მხოლოდ ჰიპოტეზად რჩება, რადგან გათხრები ჯერჯერობით შეჩერებულია.

ისევე, როგორც საქართველოში, ბევრ სხვა ქვეყანაში მითრას ხსენება მთლიანად განადგურებულია ქრისტიანული კულტურის გაბატონების შემდეგ. უცნობია, ეს განადგურება მოხდა ქრისტიანობის ორიგინალურობის შენარჩუნების მიზნით თუ მას სხვა, უფრო ღრმა, პოლიტიკურ-კულტურული მოტივი ჰქონდა საფუძვლად. ჩვენი აზრით, ამ მოტივების სინთეზმა მიგვიყვანა აქამდე, სადაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესად უძველესი კულტის და კულტურის ძირითადი ნაწილი განადგურებულია. ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად პოლიტიკური დაპირისპირების გარდა გაჩნდა რელიგიური დაპირისპირების საფუძველი. ამიტომ, სრულიად გასაგებია, რომ ზოგმა ცივილიზაციამ გადაწყვიტა მიიღო ახალი რელიგია, იმისთვის, რომ არ ჰქონოდა საერთო რელიგია და რელიგიური დამოკიდებულობა მეთოკესთან. ამგვარად, საქართველოსთვის მისაღები არ იქნებოდა მითრაიზმი, რადგან ეს კულტი მას ირანთან აკავშირებდა. თუმცა, იმედს ვიტოვებთ, რომ სამომავლოდ, ახალი გათხრების და კვლევების საბუძველზე, ჩვენთვის უფრო მეტი გახდება ცნობილი და მეტნაკლებად გაირკვევა თუ რატომ გაქრა საქართველოდან მითრას კულტი ისე, რომ მისი ხსენების მოძიებაც დღესდღეობით უკიდურესად რთულია.

[11] http://church.ge/index.php?showtopic=3224&mode=threaded&pid=269474

3. სოლარული მითის ტრანსფორმაცია ქრისტიანულ კულტურაში

3.1 იესო - ძე მზისა

უნივერსალური ასტროთეოლოგია ყოველთვის იყო მსოფლიოს პრედომინანტური რელიგიური იდეოლოგია და მეტიც, დღესაც ასეთად რჩება. სამი ყველაზე დიდი რელიგია - ქრისტიანობა, ინდუიზმი და ბუდიზმი - პრინციპულად სოლარულია, მაშინ როდესაც დანარჩენი ორი - იუდაიზმი და ისლამი - ლუნარული. ზოგადად ასე ხდება ხოლმე, რაც უფრო დიდია რელიგია, მით უფრო ასტროთეოლოგიურია ის.

როცა ჩვენ დავიწყეთ ახალ საკუნეში ცხოვრება, ცოტა რამ შეიცვალა რელიგიური გაგების კონტექსტში და მსოფლიო, უმეტესად, ისევ არის დაყოფილი რწმენის ფრონტებზე. სხვადასხვა რწმენის დამცველები, პოპულარისტები და პროპაგანდისტები ამ დაუსრულებელ რელიგიურ ომში ჩვენი სხეულებისთვის და სულისთვის გაანადგურეს ბევრი კულტურა, დაამარცხეს უამრავი ნათელი გონების მქონე ადამიანი და დაკარგეს ნდობა. ადამიანებს სურთ სწამდეთ ქრისტესი, კრიშნას, ბუდასი, ნებისმიერის - ოღონდ არ იგრნონ თავი მარტო, უიმედოდ და უმწეოდ.

საუკუნეების განმავლობაში ღმერთისა და რელიგიის კონცეფცია ბევრჯერ და რადიკალურად იცვლებოდა. რელიგია კულტურულ კონტექსტს ემყარებოდა და ვითარდებოდა კონკრეტული ეროვნების, სქესის, ენისა და გარემოს მიხედვით.

დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში სამყარო უფრო და უფრო პატარა ხდება და უფრო და უფრო იზრდება საჭიროება რელიგიური საკითხების შესწავლისა, როგორც ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის. ვაცნობიერებთ ამას თუ არა, რელიგიური (და შესაბამისად ჩაღრმავებისას დავინახავთ, რომ მითოლოგიური) არქეტიპები უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრავენ ყოველდღიურ ქმედებებს, გადაწყვეტილებებს და ცხოვრების წესს. ამიტომაც, კონკრეტულ ნაშრომში ჩვენ გვსურს ვაჩვენოთ იმის მტკიცებულება, რომ სახარებისეული ისტორიაში იესო ქრისტეს შესახებ არსებობს მოტივები უძველესი ასტროთეოლოგიიდან და სოლარული მითოლოგიიდან. ამ საკითხის ირგვლივ ყოფელთვის ბევრი გაუგებრობაა, იმის ჩათვლით, რომ ზოგიერთი მეცნიერი თვლის რომ ქრისტეს სოლარული ბუნების თეორია მხოლოდ მე-19 საუკუნეში გაჩნდა. თუმცა, ამ მითის დამსხვრევა ძალიან მარტივი ხდება უძველესი ტექსტების შესწავლისას, მათ შორის თვითონ ბიბლიის და ადრექრისტანული ნაშრომების წაკითხვის დროს.

აღსანიშნავია, რომ იესოზე საუბრისას თვიდანვე უნდა განვიხილოთ ის ძირითადი ასპექტები, რის მიხედვითაც შეიძლება მასზე საუბარი. ქრისტიანობისა და მისი წყაროების შესწავლისას შეიძლება მივმართოთ სამ მიმართულებას:

- ზებუნებრივს, რომელიც სხვადსხვა ეკლესიის მორწმუნეებს აერთიანებს, ვისაც სწამთ, რომ იესო - „ღვთის ძეა“, გარდაიცალა, აღსდგა და ამაღლდა.
- ნატურალისტურს, რომლის მიმდევრებისთვის იესო ჩვეულებრივი ადამიანია ან ანტირომაული პოლიტიკური მორაობის (ზელოტების) ლიდერი, ან უბრალოდ მისტიკოსია;
- მითოლოგიურს, რომლის მიხედვით იესო გამოგონილი პერსონაჟია და ლეგენდა მის შესახებ ნელ-ნელა იქმნებოდა სხვადასხვა კულტურის და რელიგიური ელემენტების შეერთებით.

ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იესოს განხილვა, როგორც მითოლოგიური პერსონაჟის. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით არსებობს უამრავი დასტური იმისა, რომ იესო, ებრაული „აღწერის“ ცნობილი გმირის, აჯანყების მოთავის იუდა გამალელის შვილი, ნამდვილად არსებობდა, დადიოდა დედამიწაზე და ძალიან დიდი როლი ითამაშა იმდროინდელ პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური რეალობის ჩამოყალიბებაში, ჩვენთვის საინტერესოა იესო, როგორც ერთგვარი არქეტიპი, იესოს ის ტრანსფორმაცია, რომელიც მისმა მითოსმა საუკუნეების განმავლობაში განიცადა და რა სახითაც ის არსებობს დღეს თანამედროვე ქრისტიანულ კულტურაში. რა საკვირველია, მცდარი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ იესოზე საუბრისას ჩვენ ვსაუბრობთ იმ პიროვნებაზე, ომელიც როდესღაც ბეთლემში დაიბადა. ამიტომ თავიდანვე გვსურს ხაზი გავუსვათ იმას, რომ ამ ნაშრომში საუბარი გვაქვს მითოლოგიურ, ბიბლიურ იესოზე, რომელსაც ცოტა რამ აქვს საერთო ისტორიულ-ნატურალისტურ იესოსთან.

პირველ რიგში აღსანიშნავია თვითონ ქრისტიანული მესიის სახელი. იესო ებრაული იეშუას ბერძნული ვარიანტია, რომელიც შეიცავს ნაწილს „იახ“ - ბიბლიური იახვეს სახელი და მისი მეორე ნაწილი კი ‘ხსნას’ ნიშნავს. ჩვენ უკვე საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ „იაჰვეს“ სახელის ეთიმოლოგიაზე, ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იესო არა კონკრეტული მეისიის სახელია, არამედ „წოდება“, რომელიც თვით „მესიას“ ნიშნავს.

ქრისტიანობის ისტორიაში გამოიყოფა ჩვენთვის საინტერესო ადრექრისტიანული პერიოდი - 325 წლამდე, ნიკეის პირველ საეკლესიო კრებამდე, სანამ ქრისტიანობა რომის იმპერიის ოფიციალური რელიგია გახდებოდა. ამ პერიოდის შესწავლა რთულდება უამრავი „არაკანონიკური“ ხელნაწერის განადგურების გამო. თუმცა, საბედნიეროდ, მკვდარი ზღვის ხელნაწერების აღმოჩენის შედეგად შესაძლებელი გახდა იმდროინდელი ამბების მეტნაკლებად ნათელი სურათის დანახვა. თუმცა ხელნაწერების უმეტესი ნაწილი ან ძალიან დაზიანებულია ან არ არის სრულად წარმოდგენილი და ფრაგმენტებში ასახული ინფორმაცია არ არის საკმარისი სრული სურათის დასანახად. თუმცა ჩვენ ცივი გონებით და ყოველგვარი რელიგიური კონტექსტის და მიკერძოების გარეშე უნდა მივუდგეთ ამ მასალის შესწავლას.

ამ პერიოდზე წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია, ასევე, ადრექრისტიანული ნახატების მიხედვით, რომლებიც უმეტესად რომაულ კატაკომბებში იყო. უკვე მაშინ, იესოს ალოგიკურად სწორი ევროპეიდული სახის ნაკვთები ჰქონდა: სწორი ცხვირი, ქერა ან ღია წაბლისფერი თმა და ღია ფერის კანი. ნახატებში და ქანდაკებებში ის გამოსახული იყო, როგორც ახალგაზრდა და უწვერო მამაკაცი. თუმცა, იესოს გარეგნობის ყველაზე ადრეული აღწერილობა უკვე საკმაოდ გვიანდელ ხანას განეკუთვნება, თუმცა სავსებით შესაძლებელია რომ ისინი თუნდაც სუსტად ეხმაურებოდნენ წმ. იოანე ღვთისმეტყველის, ირინეოს ლიონელისა და პაპიუსის დროინდელ გადმოცემებს. წმ. ნიკიფორეს მოყავს მე-8 ასწლეულის საეკლესიო მამის, იოანე დამასკელის აღწერილობა და ამბობს, რომ იესო ჰგავდა ქალწულ მარიამს: იყო ლამაზი და განსაცვიფრებლად მაღალი, ოდნავ წელში მოხრილი, ღია ფერის რამდენადმე დახვეული თმებით, რომელსაც არასოდეს შეჰხებია ხელი დედისა მისისა; ჰქონდა მუქი წარბები, ოვალური სახე ფერმკრთალი და შავგვრემანი იერით, ნათელი თვალები და გამოხედვა, რომელშიაც იხატებოდა მოთმინება, კეთილშობილება და სიბრძნე.

როგორც ვხედავთ, იესო უკვე მაშინაც ღიადაა გაიგივებული ბერძნულ-რომაული მითოლოგიის „ძველ“ ღმერთებთან. ნახატების ძირითადი მოტივია- კეთილი

მწყემსი, მშვიდობის მტრედი, პური, თევზები და ღუზა.

ორი თევზი - მაშინდელი ქრისტიანობის მთავარი სიმბოლო - თიოთქმის ყოველთვის ღუზის გვერდით იყო გამოსახული. ეს იმ ლეგენდას უკავშირდება, რომლის მიხედვით იესომ ხუთი ათასი ადამიანი ორი თევზით დააპურა. დღეს დასავლურ ტრადიციაში იესოს ერთ-ერთი სიმბოლო ასევე თევზია, რომელიც ამასთან ერთად მისი სახელის მოანოგრამას აღნიშნავს. (იხტის - თევზი)

იესოს სოლარული ბუნების არსებობა ეხება არ მხოლოდ წარმართულ ტრადიციას, არამედ ძველ ისრაელსაც, ინდოეთს, საბერძნეთს.

აქვე უნდა ავღვნიშნოთ, რომ ხშირად ამ ყველაფერს ქვეცნობიერი ხასიათი აქვს. იმისთვის. რომ გავაანალიზოთ ეს მოვლენა უნდა დავბრუნდეთ უკან, უძველეს დროში, სადაც ხდებოდა ადამიანის მიერ სამყაროს პირველადი შეცნობა და, შესაბამისად, ადამიანის აზროვნების ჩამოყალიბება.

ქრისტიანობაში სოლარული მითების მნიშვნელოვანი როლის გაანალიზებას დავიწყებთ ძველი აღქმიდან, სადაც ღმერთი წარმოაგენილია მზის შემქმნელად: „თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დროჟამის აღმნიშვნელად - დღეებისა და წელიწადებისა (დაბადება 1:14).“ რა თქმა

უნდა, ეს მანათობლები არიან მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ყცელაფერი ღვთის მიერ შექმნილი. იობის წიგნში, რომელიც ტრადიციულად ბიბლიაში ერთ-ერთ ყველაზე ძველ ტექსტად არის მიჩნეული, ნათქვამია: „რომელმან უბრძანოს მზესა და არა აღმოჰ3დეს და ვარსკულავთა ზედა დაჰბეჭდოს (იობი, 9:7).“

იობთან ჩვენ ასევე გვხვდება მეორე ატროლოგიური, ასტროთეოლოგიური ან ასტრონომიული საკითხი, როცა ის განიხილავს “Mazzaroth” ან ზოდიაქოს: „შენ აღმოაბრწყინეა მთიები ჟამსა მისა და აფროდიტე შვილი ზედა ქუეყანისა? (იობი, 38:32).“

სტრონგის კონკორდაციის მიხედვით מזרה— mazzaroth (მაზაროტ) ან mazzarah (მაზარა) არის „ზოდიაქოს 12 ნიშანი და მათთან ასოცირებული 36 თანავარსკვლავედი“.

თვითონ სიტყვა mazzaroth ძალიან საინტერესოა, რადგან ის წარმოადგენს ბიბლიის ***hapax legomenon***ს (სიტყვას, რომელიც ტექსტში მხოლოდ ერთხელ გვხვდება). მოგვიანებით, იდიშში სიტყვას *mazalot*ს ხმარობენ ზოგადად ასტროლოგიის აღსანიშნავად, რაც დარჩა გამოთქმაში ‘მაზელ ტოვ’.

ამგვარად, „აფროდიტე შვილი ზედა ქუეყანისა“ შეიძლება იყოს არკუტუსი, ან ალფა ვოლოპასა. ტრადიციული დათარიღების მიხედვით იობის წერილი უსწრებდა მოსეს მიერ ისრაელის 12 ტომის შეკრებას და სადღაც მე-13 საუკუნეში უნდა ყოფილიყო.

იერემიასთან ღმერთი წარმოდგენილია, როგორც ძალა, რომელიც მთვარისა და მზის უკან დგას და ნაღქვამია: „ამათ იტყჳს უფალი: აღ-თუ-მაღლდეს ცაჲ განსაცხრომელადმი, და და-თუ-მდაბლდეს იატაკი ქუეყანისაჲ ქუე, მე არგამოუცდელ-ვყო ნათესავი ისრაჵლისაჲ, - თქუა უფალმან, - ყოველთათჳს, რომელნი ქმნნეს (იერემია, 31:36).“

ბიბლიის მიხედვით ღმერთმა შექმნა მზე, მთვარე და ვარსკვლავები მეოთხე დღეს. იობი ამბობს, ღმერთი განაგებს და უბრძანებს მზეს, და იგი მას ემორჩილებაო (9,7); მზემ იცის თავისი დაწოლის დრო (ფსალ. 103,4) მზე, რასაკვირველია, შექებულია ვით ბრწყინვალე (ეკლ. 42,16); მის ნათელს მთვარის სინათლე ვერ შეედარება (1 კორ.

15,14); იგი განაგებს დღეს, რომელს იგი ჰქმნის თავისი გამოჩენით (ფსალ. 135,8; ეკლ. 33,7; იერ). მზე ცხელია და მას ვგრძნობთ მზის ამოსვლისათანავე (1 მეფ. 9,9; 2 მეფ. 13,14 და სხვა). ეს სიცხე იზრდება მზის ამაღლებასთან ერთად (გამოს. 16,21); იგი ჰფანტავს ღრუბელთ (სიბრძ. 2,3); ამწიფებს ხილს; აშავებს პირს (ქება 1,5) და ხან და ხან მოაქვს გვალვაც და ჭირნახულს აფუჭებს. (ესაია 49,10; იოანე 4,8; მათე 13; მარკოსი 4,6) და სხვა. მზე დაბნელდა სასწაულებრივ ქრსიტეს ჯვარცმისას (ლუკა 23,45). მზე თავისი ღვაწლით აქებს და ადიდებს მეუფეს (ფსალ. 148,3; ეკლ. 49, 2; დან.3,62). რომელნი ხედავენ მზეს, არიან ცოცხალნი (ეკლ. 7,12); ვერ იხილო მზე, ნიშნავს: არ დაიბადო (ფსალ. 57,9; ეკლ. 6,5), ან იყო ბრმა (საქმენი 13,11). მზე ნელდება მოხუცთათვის, რომელთა მზერა სუსტდება (ეკლ. 12,1). მზე ჩადის მათთვის, რომელნი კვდებიან (იერენ. 195, 9), ან ვისაც ღმერთის შემწეობა და წყალობა აღარა აქვთ. (მიხ. 3,6). (ნოზაძე)

ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანში სწორად არაა ნათარგმნი ის ადგილი, რომელიც ამბობს: – ღმერთი არის მზე და ფარიო. ეს ადგილი არის ფსალმუნში და იგი ნათარგმნია ქართულად ასე: ***„რამეთუ წყალობა და ჭეშმარიტება უყვარს უფალსა, მადლი და დიდება მოსცეს ღმერთმან, უფალმან არა მოაკლოს კეთილი, რომელი ვლენან უბიწოდ“*** (83,11). ბიბლიაში ნათქვამია: – რამეთუ უფალი ღმერთი არს მზე და ფარი; გერმანულ ბიბლიაში: ***Denn Gott der HERR ist Sonne und Schild; der HERR gibt Gnade und Ehre: er wird kein Gutes mangeln lassen den Frommen***. ფრანგულში: ***Car l`Éternel Dieu est un soleil et un bouclier, L`Éternel donne la grâce et la gloire, Il ne refuse aucun bien à ceux qui marchent dans l`intégrité***, ინგლისურში ***The Lord God is our sun and our strength: the Lord will give grace and glory: he will not keep back any good thing from those whose ways are upright***., რუსულში - ***Ибо Господь Бог есть солнце и щит, Господь дает благодать и славу; ходящих в непорочности Он не лишает благ***, ივრითში -

,:כִּי שֶׁמֶשׁ | וּמָגֵן יְהוָה אֱלֹהִים חֵן כָּבוֹד יִתֵּן יְהוָה לֹא יִמְנַע־טוֹב לַהֹלְכִים בְּתָמִים. რატომ არის გამოტოვებული „მზე და ფარი“ ძველ თარგმანში, გაურკვეველია. თუმცა ეს შეცდომა გამოსწორებულია ახალი თარგმანში და ფრაზა ასე ჟღერს: „რადგან მზე და ფარია უფალი ღმერთი. მადლსა და ღირსებას მისცემს უფალი, სიკეთეს არ მოაკლებს უბიწოდ მოარულთ“.

ბერძნულ სეპტუაგინტის ძველ აღთქმაში სიტყვა მზე - ηλιος (ჰელიოსი) მამრობითი სქესისაა. შესაბამისად ბევრ თარგმანში მზეს მამრობითი ფორმა აქვს, რაც აჩვენებს მზის უძველეს აღქმას და ხაზს უსვამს მისპერსონიფიკაციას, როგორც მამრობითი სქესის არსების.

თავდანვე, დიდი ქრისტიანი მამები, ისეთი როგორიცაა ტერტულიანე, იძულებულები იყვნენ ეპასუხათ იმ ბრალდებებს, რომ ქრისტიანობა წარმართული კულტის გაგრძელება იყო და ხშირად იყენებდნენ ფრაზას: „თქვენ ამბობთ ჩვენ მზეს ვცემთ თაყვანს. იგივეს აკეთებთ თქვენც.“[12] თავის ნაშრომში „წარმართების მიმართ“ (Ad Nationes) ტერტულიანე ეხმაურება და უარყოფს კონცეფციას, რომ ქრისტიანები კიდევ ერთი მზის თაყვანისმცემლების სექტის წარმომადგენლები არიან: „ ზოგი... თვლის, რომ მზე არის ღმერთი ქრისტიანებისთვის, იმიტომ რომ კარგად ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენ აღმოსავლეთით ვლოცულობთ ან იმიტომ რომ კვირაა ჩვენთვის დღესასწაულის დღე. და რა მერე? თქვენ რა, ამაზე ნაკლებს აკეთებთ? თვქენ იგივე მიმართვით ხოლმე არ სცემთ თქყვანს ციურ სხეულებს, არ ამოძრავებთ ტუჩებს მზის ამოსვლის მიმართულებით? და თქვენ ხართ ისინი, ვინც მზე კვირის კალენდარში დაამატეთ და თქვენ აირჩიეთ მისი დღე ...“ [13]

ტერტულიანე ასევე აღიარებს, რომ ქრისტიანები აღმოსავლეთით ლოცულობენ; სინამდვილეში საუკუნეების განმავლობასი ქრისტიანები ამომავალ მზეს ეთაყვანებოდნენ, სანამ შევიდოდნენ ეკლესიაში. მიუხედავად პროტესტისა, თავის ნაშრომში „ხორცის აღდგომის შესახებ“ ის ეხმაურება ვალის კომენტარს 1 კორინთელთა მიმართ, 15:41 (სხუაჲ დიდებაჲ არს მზისაჲ და სხუა დიდებაჲ არს მთოვარისაჲ და სხუაჲ დიდებაჲ არს ვარსკულავთაჲ; რამეთუ ვითარცა-იგი ვარსკულავი ვარსკულავსა ჰმატს დიდებითა) დ ა „დიდებაჲ მზისაჲ“ ადარებს ქრისტეს: „ მე მომწონს მანერა თუ როგორ ახსენებს ის (პავლე) ციურ სხეულებს:

[12] www.newadvent.org/carthen/14520c.html
[13] www.ccel.org/fathers2/ANF-03/anf03-15.html#P1457_561810

„სხვაა დიდება მზისა“ (ეს ქრისტეა) და „სხვაა დიდება მთვარესა“ (ეს კი ეკლესიაა), „სხვაა - ვარსკვლავებისა“ (სხვანაირად რო ვთვათ, აბრაამის შთამომავლობის). [14]

ისვევე, როგორც ბევრი უძველესი ღმერთი, ქრისტე პრინციპულადაა მზის პერსონიფიკაცია, ის წაარმოადგენს ნათელს და უკვდავებას და გვაჩვენებს უამრავ ბმას მის ცხოვრებასა და სხვა სოლარული გმირების ცხოვრებებს შორის. ეს ფაქტი ასევე მარტივად დასტურდება იკონოგრაფიით. ძველი აღთქმის ბოლო წიგნის ბოლო თავში მალაქია წინასწარმეტყველი ამბობს: „და აღმოგიბრწყინდეს თქუენ მოშიშთა სახელისა ჩემისათა მზე სიმართლისა და კურნებაჲ შორის ფრთეთა მისთა.“ (მალაქია, 4:2)

„მზე სიმართლისა“ არის იესო - და ის ასევე „შამაშია“, სიტყვა, რომელსაც მალაქია ორიგინალში იყენებს. შამაში, სამასი, ბაბილონური მზის ღმერთი, ფრთიანი სიმართლის მზე, იგივეა, რაც ფრთიანი სოლარული დისკოს გამოსახულება ასურეთში, ბაბილონში, ეგვიპტეში და სხვაგან.

[14] www.ccel.org/fathers2/ANF-03/anf03-41/html#P9676_2650295



- იესო-ჰელიოსი ზოდიაქოს ნიშნებთან ერთად. გარე წრეში წელიწადის ოთხი წელია განსახიერებული. XI საუკუნის ნახატი.

კიდევ ერთი მინიშნება შეიძლება ვნახოთ იოანეს გამოცხადებაში, სადაც იესო აღწერს საკუთარ თავს, როგორც „ამენს“ (ამინს): „და ანგელოზსა ლავდიკიისა ეკლესიისასა მიუწერე, ვითარმედ: ამას იტყჳს ამინ, მოწამე იგი სარწმუნოჲ და ჭეშმარიტი, დასაბამი დაბადებულთა ღმრთისათაჲ» (გამოცხადება, 3:14).“

ამგვარად, იესო აიგივებს საკუთარ თავს ამენთან, ამენ რასთან და მიჰყვება მზის ტრაექტორიას ცაში. ეს მაგალითი მეორდება იგივე გამოცხადებაში: „და რომელი

ცხოველ ვარ; და ვიქმენ მკუდარ და, აჰა ესერა ცხოველ ვარ უკუნითი უკუნისამდე, ამინ. და მქონან კლიტენი სიკუდილისა და ჯოჯოხეთისანი (გამოცხადება, 1:18).“ ამენ, ამინ ეხმაურება ამონს, მზეს ვერძის ნიშანში. იესოს როლი, როგორს „ამონის“ უკვე გასაგებია, ეს იგივეა, რაც ოსირისის იდენტიფიკაცია ამონთან, ოსირისის, ვისთანაც ასე ბევრი საერთო აქვს ქრისტეს.

ამასთან ერთად, წარმართები და ერეტიკოსები, ადრინდელი ქრისტიანები იესოს უწოდებდნენ „ნამდვილ მზეს“, „სიმართლის მზეს“, „ჩვენს მზეს“.

ამაზე ნათლად სოლარული სახის წარმოჩენა შეუძლებელია, იესო არის მკვდრეთით აღდგომის მზე, რომელიც ყოველ საღამოს კვდება და ყოველი დილით ისევ ცოცხლდება. თავის წერილში „ავტოლიკუსისი მიმართ“ (Autolycus) ანტიოქიის ეპისკოპოსი თეოფილუსი, ვისაც ლუკა უძღვნის თავის სახარებას, აღწერს მზეს, როგორც „ღმერთის სახეობას“: ... რადგან მზე არის ღმერთის სახეობა და მთვარე - ადამიანის. და მზე უსწრებს მთვარეს ნათებაში და დიდებაში. და მზე ყოველთვის სავსე რჩება და არასდროს იკლებს, ასევე ღმერთი ყოველთვის იდეალური რჩება, სავსე ძალით, გაგებით, სიბრძნით, უკვდავებითა და ყველაფერი კარგით. მაგრამ მთვარე ყოველ თვიურად ქრება, და თითქოს კვდება, როგორც ადამიანი; მაგრამ ისევ იბადება, მომავალი აღდგომისთვის.“[15]

ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ქარისტესა და სხვა მზის ღმერთების შორის არის ის, რომ ქრისტე დადიოდა დედამიწაზე, არსებობდა იუდეის სამყაროში. ორიგენე Contra Celsusში წერს:“ამგვარად, არ იყო საჭირო, რომ ყველგან არსებულიყო ბევრი სხეული და ბევრი სული იესოს მსგავსი, რადგან ადმიანების მთელი სამყარო განათებული და განათლებული იქნებოდა ღვთის სიტყვით. მაგრამ ერთი სიტყვა საკმარისი იყო , მან აღადგინა „მზე სიმართლისა“ და გააგზავნა იუდეაში მისი სხივები, ყველა სულში, რომელიც მზად იყო მის მისაღებად.“[16]

როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, იესო ქრისტეს ბევრი „ფორმა არსებობს“. ჩვენ არ ვსაუბრობთ აქ ისტორიულ პიროვნებაზე, მარიასა და იოსებ ფლავიუსის

[15] www.newadvent.org/fathers/02042.htm)
[16] www.ccel.org/fathers2/ANF-04/anf04-61.htm#P10823_2891900

„იუდეველთა სიძველენის“ გადაწერის მეამბოხის შვილზე, ისტორილ პიროვნებაზე, სახელად იესო, რომელიც იუდეის მიწაზე დადიოდა. ჩვენ საუბარი გვაქვს მითოლოგიურ ქრისტეზე, გმირზე, პერსონაჟზე, რომელიც ისტორის განმავლობაში იცვლებოდა, მას ემატებოდა უფრო მეტი და მეტი თვისება და საბოლოოდ ისე დაშორდა „ორიგინალს“, რომ აბსოლუტურად სხვაგვარი გავლენა მოახდინა მის ირგვლივ დაფუძნებულ რელიგიაზე.

ალბათ, არ იქნებოდა ამ საკითხის ირგვლივ ამდენი მსჯელობა და კამათი, მეინსტრიმული ისტორია იესოს შესახებ სიმართლე რომ ყოფილიყო. ფაქტია, რომ ადრეულ ქრისტიანებს არ შეეძლოთ აეხსნათ თუ რატომ მოიპოვებოდა იესოს ძირითადი ისტორია ყველა სხვა კულტურაში, ქრისტიანობის გაჩენამდე დიდი ხნით ადრე. მათ ხშირად ადანაშაულებდნენ პლაგიატსა და თაღლითობაში. ფაქტიურად, ასეც იყო, მიუხედავად იმისა თუ რა გამართლება ჰქონდათ, უბრალოდ იმ ფაქტს ვერ გაექცეოდნენ, რომ სახარებისეული ამბები ტრიალებდა მზის ირგვლივ და ნებით თუ უნებლიეთ ისინი მზის თაყვანისცემის კულტში იყვნენ ჩართულები. საკითხი თუ რატომ უარყოფდნენ ისი მზის თაყვანისცემას და ამტკიცებდნენ. რომ რეალური ადამიანის თაყვანისცემის მიმდევრები არიან, საჭიროებს დიდ ყურადღებას და შესწავლას. მით უმეტს, სხვა ღმერთების თაყვანისმცემლებსაც, რომაული, ბერძნული, ინდური, ეგვიპტური, ამერიკული, სლავური - ყველას ჰქონდა პრეტენზია იმისა, რომ მათი ღმერთი ნამდვილად არსებობდა და მოკვდავ ადამიანთა შორის დადიოდა დედამიწაზე. თუმცა, როგორც უკვე ავღვნიშნეთ, სრულიად შესაძლებელია, ოსირისის კულტის უკან არსებობდეს ნამდვილი ადამიანის ცხივრების ისტორია. საინტერესოა, რომ „ადამიანი-ოსირისი“ მიჩნეულია იმ დროისთვის დიდ მოგზაურად, რადგან, შესაძლოა, მას ეგვიპტედან ემოგზაურა ინდოეთში. მეტიც, თანამედროვე მეცნიერები ამტკიცებენ და მუშაობენ იმ თეორიის დასამტკიცებლად, რომ რეალური, ისტორიული იესოც (რომლის შესახებ ზრდასრულ ასაკამდე არავითარი ინფორმაცია არ მოიპოვება ბიბლიაში) მოგზაურობდა, კერძიდ, ძველი იუდეიდან ტიბეტ-ინდოეთში. რა თქმა უნდა, ჯერ-ჯერობით ამ თეორიას მყარი საფუძველი არ აქვს, თუმცა საინტერესოა აქაც ორი პერსონაჟის, ან ისტორიული

პიროვნების აბსოლუტურად იდენტური ხაზი, იქნებოდა ეს მითოლოგიური პერსონაჟი თუ რეალური ადამიანი.

რა თქმა უნდა, იესოს სოლარული ბუნების განხილვისას შეუძლებელია არ ვახსენოთ აღდგომა. იესოს მკვდრეთით აღდგომა - მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნიობასთან, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქრისტეს სოლარობას. ის ფაქტი, რომ აღდგომის დღესასწაული მზის აღდგომას ნიშნავს კარგად ცნობილია, ისევე როგორც მხსნელის დაბადება უკავშირდება ზამთრის ბუინობას და კიდევ ერთ სოლარულ მოტივს წარმოადგენს. კიდევ ერთი ფაქტი არის ის რომ, ქრისტეს დღე, „ღვთის დღე“, მისი აღდგომის დღე არის კვირა, ბევრ ენაში დაკავშირებულია მზესთან (Sunday, Sonntag). აღსანიშნავია, რომ ამ დღის დასახელების ეტიმოლოგიაზე იმოქმედა მითოლოგიამ და ასტროლოგიამ და არა ქრისტიანობამ. მეტიც, სრულიად შესაძლებელია რომ ქრისტიანული მითოლოგია უბრალოდ მოერგო მანამდე არსებულს და ასევე ქრისტეს ‘აღდგომა’ კვირას მოარგეს, რადგან პირველწყაროს მიხედვით დღეები ერთმანეთს არ ემთხვევა. ბიბლიაში არსადაა ნათქვამი, რომ იესო კვირას დილით აღსდგა მკვდრეთით. ბიბლიაში ნახსენებია, რომ იესო მოკვდა და მკვდრეთით აღსდგა, თუმცა რაიმე კონკრეტული დღეები და თარიღები, რა თქმა უნდა, მითითებული არ არის. მაგრამ ბევრი მინიშნება არსებობს, რის საფუძველზეც შეიძლება გავაკეთოთ კონკრეტული დასკვნები. ყველამ კარგად ვიცით „წითელი პარასკევი“, მძიმე დღე, როცა იესო აწამეს და ჯვარს აცვეს. ბევრისთვის ეს ფაქტია, მაგრამ ბიბლიაში არაა ნახსენები არც სიტყვა „პარასკევი“ და არც სიტყვა „კვირა“. კარგად რო დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ წმინდა წერილში არსებობს მინიშნებები იესოს გარდაცვალების დღეზე.

ანტიკურ სამყაროში კვირის დღეების უმეტესობას არ ჰქონდა სახელი და მათ უბრალოდ რიცხვებით აღნიშნავდნენ. ბიბლიაშიც სამყაროს შექმნა ასეა აღწერილი:“და უწოდა ღმერთმან ნათელსა დღე და ბნელსა უწოდა ღამე. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე ერთი (დაბადება, 1:5)“, „და უწოდა ღმერთმან სამყაროსა ცაჲ და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ. და იქმნა მწუხრი დ"ა იქმნა განთიად დღე მეორე.“ (დაბადება, 1:8)“, „და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე მესამე (დაბადება 1:13).“

ერთადერთ დღეს ჰქონდა განსაკუთრებული სახელი . שַׁבָּת - დასვენების დღე. ის ჩვენ შაბათს ემთხვევა: „ და განასრულა ღმერთმან დღესა მეექუსესა საქმენი მისნი, რომელნი ქმნნა. და დასცხრა დღესა მეშვიდესა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომელნი ქმნნა. და აკურთხა ღმერთმან დღე მეშჯდე და წმიდა-ყო იგი, რამეთუ მას შინა დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომელთა იწყო ღმერთმან ქმნად (დაბადება, 2:2-3).“

ეს არ არის უბრალო ხსენება პირველი კვირის, რომელიც შეიქმნა. გამოსვლაში შაბათი დაწვრილებითაა განხილული: „მოიჯსენე დღე შაბათთა წმიდა-ყოფად მისსა. ექუსთა დღეთა იქმოდე და ჰქმნე ყოველნი საქმენი. ხოლო დღე მეშჯდე შაბათი არს უფლისა, ღმრთისა შენისა, არა ჰქმნე მას შინა ყოველი საქმე შენ და ძემან შენმან და ასულმან შენმან და მონამან შენმან და მჯევალმან შენმან, ჯარმან შენმან და კარაულმან შენმან და ყოველმან საცხოვარმან შენმან და მწირმან, რომელი მკჯდრ არს შენ შორის. რამეთუ ექუსთა დღეთა შინა შექმნა უფალმან ცა და ქუეყანაჲ და ზღუაჲ და ყოველნი მას შინანი და განისუენა დღესა მეშჯდესა. ამისთჯს აკურთხა უფალმან დღე მეშვიდე და წმიდა-ყო იგი (გამოსვლა, 20:8-11).“

საუკუნეების განმავლობაში „ღვთის ხალხი“, მათ შორის იესოც, იცავდნენ ამ მცნებას და თავს იკავებდნენ შაბათს მუშაობისგან. გარდა ამისა, ბევრ ენაში სიტყვა შაბათი ებრაული שַׁבָּת გამოძახილია: Σάββατο,sabato, szombat, sobota, суббота.

ქრისტე პარასკევს მოკლეს? ყველაზე მარტივი პასუხია: იმიტომ რომ შაბათამდე პარასკევი მოდის და ბიბლიაში ნათქვამია: „და ვითარცა შემწუხრდებოდა, – რამეთუ პარასკევი იყო, რომელ არს უწინარეს შაბათისა (მარკოზი, 15;42)“, „და დღე იგი იყო პარასკევი, შაბათად განთენდებოდა (ლუკა, 23:54).“

ჯვარზე ექვსი საათის გატარების მერე იესო, მარკოზის და მათეს თანახმად, მე-9 საათზე გარდაიცვალა. ამგვარად, თითქოს და იესო გარდაიცვალა პარასკევს დაახლოებით დღის სამ საათზე. მაგრამ პარასკევის თეორია რამოდენიმე სადაო კითხვას ბადებს. პირველი ისაა, რომ ახალი აღთქმის თანახმად, იესოს გარდაცვალების კვირაში ორი შაბათი დღე იყო. იოანეს სახარებაში ნახსენებია ეს დასვენების დღე, რომელიც ჩვეულებრივი შაბათისგან განსხვავდება: „ და ოდეს

მიიღო ძმარი იგი იესუ, თქუა: ესეცა წერილი აღსრულებულ არს. და მიიდრიკა თავი და განუტევა სული. ხოლო ჰურიათა მათ, რამეთუ პარასკევი იყო, რაჲთა არა დაადგრეს გუამი მისი ჯუარსა ზედა შაბათადმდე, რამეთუ იყო დიდ დღე იგი შაბათისაჲ მის, ჰკითხეს პილატეს, რაჲთა წჯვნი მათნი განუტეხნენ და გარდამოიხუნენ (იოანე, 19:30-31).“ იოანე რემარკას აკეთებს, იმისთის რომ მკითხველს აჩვენოს, რომ იყო „დიდი დღე“. გამოთქმა „დიდი დღე'' მიუთითებს დღესასწაულებზე, რომლებიც ძველ აღთქმაშია ნახსენები. ეს დამატებითი დღესასწაულები ჩვეულებრივ შაბათს ემატება, მაგალითად: განწმენდის დღე (ლევიანნი 16:30) და პესახი (გამოსვლა 12:17). რა თქმა უნდა, არსებობს ალბათობა რომ ეს დღესასწაულები შეიძლება ჩვეულებრივ შაბათს დაემთხვეს, მაგრამ უფრო ხშირად ისინი კვირის ნებისმიერ სხვა დღეს ემთხვევა. თვითონ იესო ახსენებს „დიდ დღეს“: „და მოახლებულ იყო დღესასწაული იგი უცომოებისაჲ, რომელსა ჰრქჯან პასქაჲ (ლუკა, 22:1)“; „ და წარვიდეს და პოვეს ეგრე, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ, და მოუმზადეს პასქაჲ იგი. და ოდეს იყო ჟამი, დაჯდა, და ათორმეტნი მოციქულნი მის თანა. და ჰრქუა მათ: გულის-სიტყჯთ გული-მითქუმიდა პასექსა ამას ჭამად თქუენ თანა ვიდრე ვნებადმდე ჩემდა (ლუკა, 22:13-15).“ ამგვარად, გამოდის რომ საიდუმლო სერობა პესახის სუფრა იყო. ბევრი წლის შემდეგაც პავლე იესოს ებრაულ პესახთან აიგივებს: „მაშ, გაწმინდეთ ძველი საფუარი, რათა იყოთ ახალი ცომი, ვინაიდან უფუარნი ხართ; რაკიღა ჩვენი პასექი, ქრისტე, ჩვენთვის დაიკლა (1 კორინთელთა, 5:7).“ ესე იგი იესო იყოპ ჯვარცმული „დიდი დღის“ წინ და სულაც არ არის აუცილებელი ეს პარასკევი ყოფილიყო.

ამის უფრო კარგი დასტურიც არსებობს. მათეს სახარებაში იესო იმის დასამტკიცებლად, რომ ის მესიაა, წინასწარმეტყველებს თუ რამდენ ხანს ის იქნება მკვდარი: „რამეთუ ვითარცა-იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე, ეგრეთ იყოს ძე კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე (მათე, 12:40).“

ისევე როგორც ქართულ თარგმანში, ბევრგან არის ნახსენები „სამი დღე და სამი ღამე“ . მაშინ ჩნდება კითხვა: თუ იესო გარდაიცვალა პარასკევს დღისით და მკვდრეთით აღსდგა კვირას დილით, მაშ როგორ გამოდის სამი დღე და სამი ღამე?

პარასკევის ღამე და შაბათის ღამე მხოლოდ ორი ღამეა, შაბათი - მხოლოდ ერთი დღე. ქრონოლოგიას თუ დავუჯერებთ საჭირო დროის მხოლოდ ნახევარი გამოგვდის.

კვირას დილით ადრე იესომ უკვე დატოვა საფლავი. ზოგი მკვლევარე ამტკიცებს, რომ სამი დღე-ღამის სიტყვები სინამდვილეში ბერძნული იდეომა იყო. მაგრამ იესო იონას წიგნს ციტირებდა, რომელიც ივრითზეა დაწერილი: „და უბრძანა უფალმან ვეშაპსა დიდსა შთანთქმად იონა და იყო იონა მუცელსა შინა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე (იონა, 2:1).“ ამგვარად, გამოდის, რომ იესო ან შუა კვირაში გარდაიცვალა, კვირიდან თუ დავთვლით გამოდის ოთხშაბათი, ანდა სხვა დღეს „აღსდგა“ და დროთა განმავლობაში მისი ისტორიის სოლარიზაციასთან ერთად აღდგომა კვირას მოარგეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ქრისტიანებისთვის შაბათი კვირამ, „აღდგომის დღემ“, მზის დღემ შეანაცვლა.

აღდგომის დღესასწაულის კალკულაცია ბევრს უცდია, მათ შორის მე-7 საუკუნის „ალექსანდრიის ქრონიკების“ ავტორს, რომელმაც აღდგომის დღესასწაულად 21 მარტი და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას 25 მარტი დაასახელა (ან, უფრო სწორად, 24 მარტის შუაღამე, როცა ბუინობა იწყება). ამ კალკულაციებში ქრონიკების ავტორი განიხილავს სოლარულ და ლუნარულ ციკლებს, რომლის მიხედვით ის ითვლის ჯვარცმებსა და აღდგომებს და ასკვნის, რომ ქრისტეს სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა არის დაფუძნებული ასტროთეოლოგიაზე. „ქრონიკების“ ავტორი, მოგვიანებით ამბობს, რომ ქრისტიანობა არის უძველესი წარმართული რელიგიის გაგრძელება და ამტკიცებს, რომ მარიამის ხარებაც 25 მარტს მოხდა, ბუინობისას, ზუსტად 9 თვით ადრე 25 დეკემბრამდე.

კიდევ ერთი სოლარული მოტივი, რომელიც მოიპოვება ბევრი კულტურის მითებსა და ზღაპრებშ არის წყალზე სიარული. ბუდას მოსწავლეები, ლეგენდის თანახმად, წყალზე დადიოდნენ, რაც ხაზს უსვამდა მათ წმინდა ბუნებას. ზოგადად, მზეზე ამბობდნენ, რომ ის წყალზე დადოდა, როცა აღწერდნენ მის ანარეკლს წყალზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა - ჯვარცმა, ჯვარი. თვითონ ჯვარცმა უძველესი, პრე-ქრისტიანული მოტივია, რომელიც ასახავს წმინდა სამეფო-ადამიანური მსხვერპლშეწირვის რიტუალს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას ბევრჯერ

მომხდარა. ეს რიტუალი, ან მოტივი არა მარტო ფიზიკურია, არამედ მეტაფიზიკურიც, „სულიერი“ ან ალეგორიული, რადგან ისიც ასტროთეოლოგიურ კონცეპტს წარმოადგენს.

თვითონ ჯვრის კონცეფცია ადრეულ ქრისტიანებს, როგორც ჩანს, ჯერ არ ჰქონდათ, რადგან მათთან ღუზის გარდა ვერც ერთ ჯვარს ვპოულობთ.

თუმცა შემდეგ ჩვენ ვნახავთ, რომ ჯვრის კონცეფცია ქრისტიანობაში საკმაოდ გვიან გაჩვნდა.

დასაწყისისთვის გავიხსენოთ იესო ქრისტეს „ცხოვრების“ მოკლე აღწერა: ის 25 დეკემბერს (7 იანვარს) დაიბადა ქალწული მარიამისგან ბეთლემში, აღმოსავლეთის ვარსკვლავის ქვეშ, რომელსაც მასთან მოსასვლელად წამოსული 3 მოგვი მიჰყვებოდა, ის ადამიანებს ასწავლიდა, სასწაულებს ქმნიდა და ჯვარს აცვეს, სამი დღის შემდეგ ის აღსდგა, ჩავიდა ჯოჯოხეთში, სადაც დაამარცხა ბოროტება, გამოიყვანა იქედაან სულები და ამაღლდა.

უმეტესად, ქრისტეს ადარებენ ბუდასთან, რომელიც ქალწულ მაიასგან იშვა, რომელიც ბუდასა სულით იყო შერჩეული, რომელსაც სპილო გამოეცხადა და იწინასწარმეტყველა დიდი მესიის დაბადება, ისევე, როგორც გაბრიელი, რომელიც მარიამს გამოეცხადა. ბუდას ყავდა მოწაფეები, შემდეგ მას დემონი მარა ცდუნებდა, ისევე როგორც უდაბნოში სატანა იესოს, და თავისი ცხოვრების ბოლოს ბუდა ნირვანას შეუერთდა.

თუმცა პარალელი ბუდასთან - მხოლოდ მცირე წვეთია მსგავსებების იმ ზღვაში, რომელშიც ჩვენ შევდივართ, როდესაც იესოს და სხვა, ქარისტიანობამდე არსებული ღმერთების შედარებას ვიწყებთ.

ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ იესოს ალტერ ეგო მზის ღმერთები:

- ასირიის ადადი და მარდუკი
- საბერძნეთის ადონისი, აპოლო.დიონისე, ჰერკულესი და ზევსი
- ბაბილონის/ფინიკიის ბაალი ან ბალი
- სკანდინავიის ბალდერი და ფრეი

- ავღანეთის ბალი
- იაპონიის ბედრუ
- ინდოეთის ბუდა და კრიშნა
- ირლანდიის ჩუ ჩულანი
- სიამის კოდომი და დევა ტატი
- სლავების დაჟბოგი
- შუმერეთის დუმუზი
- დრუიდების ჰესუსი
- ეგვიპტეს ოსირისი და ჰორუსი
- ტიბეტის ინდრა
- ნეპალის იაო
- რომის იუპიტერი
- სპარსეთის/ინდოეთის მითრა
- კავკასიის/საბერძნეთის პრომეთე
- მექსიკის ქითცალკოატლი
- სირიის თამუზი
- სიბილების უნივერსალური მონარქი
- სპარსეთის ზარატუსტრა/ზოროასტრი და სხვ.

რა თქმა უნდა, ეს სია არ არის სრული . და რა თქმა უნდა იესო არ არის ამ ყველა „გმირის'' იდენტური, თუმცა მათ აქვთ ბევრი საერთო მოტივი ან თვისება (სეთი, როგორც ქალწულისგან დაბადება, 12 მოწაფის ყოლა, ტანჯვითი სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა).

ჩვენ უკვე განვიხილეთ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მზის ღმერთების კონცეფციები, რომლებმაც პირდაპირი გავლენა მოახდინეს ქრისტიანულ კულტურისა და მითოლოგიური იესოს სახის ჩამოყალიბებაზე. აღსანიშნავია, რომ როდესღაც ამ სიის ბევრი „გმირიც“ ცოცხალ ადამიანად მიიჩნეოდა, რომელიც დედამიწაზე დადიოდა და სასწაულებს ქმნიდა, თუმცა დღეს ეს უკვე არ არის აქტუალური.

ამჯერად, ჩვენ გვსურს განვიხილოთ იესო ყველა იმ მზის ღმერთის კონტექსტში, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

რადგან ჩვენ საკმაოდ ღრმად განვიხილეთ ეგვიპტური და ბერძნულ-რომაული კულტურა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა იუდაიზმზე და შესაბამისად, ქრისტიანობაზე, ჩვენ, პირველ რიგში მითრაიზმს შევეხებით.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მითრაიზმი სერიოზულ კონკურენციას უწევდა წრისტიანობას, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, მითრა აღიქმებოდა მხსნელად, რომელიც ადამიანებს მარადიული ცხოვრებისკენ გზას ასწავლის. ბევრი მკვლევარე თვლის, რომ მითრას დაბადების დღე - 25 დეკემბერი - იესოს დაბადების დღედ იქცა ზუსტად ორი უძლიერესი რელიგიური კულტის პარალელური არსებობის შედეგად.

დღეს, ალბათ უკვე არავინ უარყოფს ზოროასტრიზმის ქრისტიანობაზე გავლენის მნიშვნელობას. ქრისტიანობაში გამოსულ მითრაისტულ იდეებს შორის შეგვიძლია აღნიშნოთ კაცად შობილი ღმერთის ლეგენდა, მწყემსები, რომელიც მასთან მოვიდნენ, წმინდა წყლით განბანა, კვირა დღის ზეიმი, როგორც ღმერის მიერ მიძღვნილი დღის და ბევრი სხვა. თავდაპირველად იესოს რელიგიას ბევრი საერთო ჰქონდა მითრაიზმთან და ზოროასტრიზმთან , მაგრამ მოგვიანებით, როდესაც ის რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, დაიწყო აღმოსავლური იდეების შეცვლის პროცესი, რომლებიც პირველ ეტაპზე ადრექრისტიანული დოქტრინის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა. ზუსტად ამ დროიდან დაიწყო მოგვების, რომლებიც მოვიდნენ იმ ბავშვის დასალოცად, რომლის გაჩენა ზარატუშტრას მიერ იყო ნაწინასწარმეტყველი, ყველანაირი ხსენების განადგურება. სახარებები, რომლებშიც ზოროასტრის სახელი იყო ნახსენები არაკანონიკურად აღიარეს დააპოქრიფებში მოხვდნენ. მეოტხე საუკუნიდან ქრისტიანობა სასტიკი შინაგანი უთანხმოებების და ევანგელური ჭეშმარიტების ტრაქტირების მონოპოლიისთვის ბრძოლის ეტაპზე გადავიდა.

სპარსული ტრადიციის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა პოლიტიკური ამბავი იყო, რადგან ქრისტიანობის, როგორც ზოროასტრიზმის შვილობილი რელიგიის

აღარება, რომის პოლიტიკური იდეოლოგიის კრახს ნიშნავდა. ამის დაშვება შეუძლებელი, იყო, რადგან ამ შემთხვევაში ქრისტიანობა არაფრით იქნებოდა მათ მიერ დამარხული მითრაიზმისან განსხვავებული.

ქრისტიანობა, როგორც ფენომენი, გავრცელდა და აყვავდა იმიტომ, რომ რომის იმპერია გამუდმივ ომს აწარმოებდა სპარსეთთან და მას სჭირდებოდა სახელმწიფო იდეოლოგია, რომელიც თავისუფალი იქნებოდა სპარსეთის ყოველგვარი გავლენისგან.

მითრაიზმმა კოლოსალური გავლენა მოახდინა ქრისტიანობაზე, მაგრამ მისი წასვლა მსოფლიო ისტორიის სცენიდან გადაწყვეტილი ამბავი იყო. მითრას რელიგია განწირული იყო სამი მიზეზის გამო: იდეოლოგიურად, ისტორიულად და პოლიტიკურად ქრიტიანობა ამ დროისთვის მითრაიზმზე მაღლა იდგა.

მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა ბევრ რაღაცაში, ესე ვთქვათ, ვალშია მითრაიზმთან, რადგან ზუსტად მითრაიზმის საშუალებით ის ჩამოყალიბებულ რელიგიად იქცა. მაგრამ ჰქონდა ამას მხოლოდ პოლიტიკური და კულტურული მიზეზი? რა თქმა უნდა არა.

პოლიტიკური და კულტურული მიზეზების გარდა ამ რელიგიების, ისევე როგორც სხვა პრე-ქრისტიანული რელიგიების მსგავსება სხვა რაღაცითაა განპირობებული.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ უძველესი ხალხი ძალიან დიდ მნიშვნელობას აქცევდა ციურ სხეულებს და ასტრონომიას, რომელიც შემდგომ ასტროთეოლოგიაში გადაიზარდა. ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ასტროთეოლოგია ყველა რელიგიას თან დაჰყვებოდა, მაგრამ, რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, ყველაზე დიდი განვიტარება და პოპულარობა ქრისტიანულ რელიგიაში მოიპოვა. ბიბლია, რომელიც სავსეა სიმბოლოებით და მეტაფორებით, თვითონაც ასტროთეოლოგიაზეა დაფუძნებული და რთულია მისი ამოცანის გასაღების პოვნა თუ ამას არ გავითვალისწინებთ.

თეორია მზის შესახებ ამბობს, რომ იესო არის უამრავი უძველესი ღმერთის კრებითი სახე-სიმბოლო და მზეს წარმოადგენს. ჩვენ ცოტა სხვანაირად ვიტყოდით: იესო

ხალხისთვის მნიშვნელოვანი მზის არქეტიპის გამოვლენაა, რომელიც ჩვენ არაცნობიერში უძველესი დროიდან ინახება.

ამის ბევრ დასტურს თვითონ ბიბლიაში ვპოულობთ: „...მე ვარ ნათელი სოფლისაჲ (იოანე 8:12).»

„ვიდრემდე ვარ სოფელსა შინა, ნათელი ვარ სოფლისაჲ (იოანე 9:5).“

როგორც უკვე ვნახეთ, ჩვენ წელთაღრიცვამდე ათასობით წლით ადრე არსებობს მზის თაყვანის ცემის მაგალითები. და, რა თქმა უნდა, გასაგებია რატომ. ყოველდღე მზე ამოდის და მოაქვს სინათლე, სითბო. ყველა არსებული ცივილიზაცია იაზრებდა რომ მის გარეშე არ იქნება მოსავალი და სიცოცლე დედამიწაზე გაქრება. ეს გაგება იმდენად ძველია, რომ ადამიანის არაცნობიერი ნაწლად იქცა და მზის არქეტიპი თაობიდან თაობაში, საუკუნიდან საუკუნეში გადადის, რაც ყველაზე კარგად რელიგიებში აისახება.

3.2 სოლარული მეტაფორები და ალეგორიები და მათი ასტროთეოლოგიური მნიშვნელობა

როგორც უკვე აღნიშნეთ, მზე ძალიან მნიშვნელოვანი იყო უძველესი ხალხისთვის: მისთვის აშენებდნენ ტაძრებსა და მონუმენტებს, მზის კულტის ირგვლივ იქმნებოდა რელიგიები და ცივილიზაციები. ზუსტად ამ რელიგიებში ინახება ყოვლისმომცველი და უნივერსალური მითოსი, თარგი, არქეტიპული ამბავი, რომელიც ახდენს დედამიწისა და ცის პერსონიფიკაციას; ზღაპრებისგან განსხვავებით, რომლებიც გართობისთვის ან რაღაცის სწავლებისთვის იქმნება, ეს მითოსი თაობიდან თაობაში ქვეცნობიერში, მეტიც, არაცნობიერში გადადის და შეიცავს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას, ამგვარად ადამიანისთვის არ დგას ამ ინფორმაციის თავიდან შესწავლის საჭიროება, არა მხოლოდ მისი გაუმჯობესება და განვითარება. შეიძლება ითქვას ამ ცოდნის, ამ გნოზისის გარეშე კაცობრიობა ვერ განვითარდებოდა.

ციური სხეულების მითოსი საკმაოდ რთულია და მრავლისშემცველი, რადგან სოლარული მითი გადაიკვეთება ლუნარულთან, სტელარულთან და ტერასტრიულთან. ამასთან ერთად, ზოგი ციური სხეული უბრო გვიან გამოვიდა 'არენაზე', ვიდრე დანარჩენები, რამაც მათი გამეორება და ერთმანეთში არევა გამოიწვია ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ადამიანი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯს სწავლობდა მის ირგვლივ არსებულ სამყაროს. მეტიც, ციური სხეულების ჩვენი ცოდნა დღესაც, ტექნოლოგიურად განვითარებულ ეპოქაში არ არის სრულყოფილი. ბევრ ციურ სხეულს სხვადასხვა დატვირთვა ენიჭებოდა სხვადასხვა დროს, როცა მზე და მთვარე მოწინავ პოზიციებზე ერთმანეთს ანაცვლებდა. მაგალითად, იგივე

ჰორუსი, რომელზეც უკვე ვილაპარაკეთ, როგორც ოსირისის შვილ-ავატარზე, არამხოლოდ მზეს წარმოადგენდა, არამედ ჩრდილოეთ პოლუსის ვარსკვლავს, და მისი ტყუფის ცალი ძმა, სეტი, არა მხოლოდ წყვდიადის წარმომადგენელი იყო, არამედ სამხრეთის პოლუსის ვარსკვლავს წარმოადგენდა.

დროთა განმავლობაში, როცა ცა იცვლება და მასთან ერთან იცვლება ბუნიაობის პრეცესია და მზის მოძრაობა ზოდიაქებში, იცვლება თვითონ მითოსიც, მითებს ახალი ღმერთები ემატება დააკლდება, თუმცა ბირთვი იგივე რჩება: მზე მთავარი გმირია, მთავარი ღმერთი, სიცოცხლის მომცემი და, ამავე დროს, წამრთველი. თვითონ მზის მითები, რომლებიც შენარჩუნდა და ჩვენამდე ან უცვლელი, ან არამნიშვნელოვნად სახეცვლილი მოვიდა, ძალიან კარგად ასახავს საზოგადოების ფორმირების ეტაპებს და მნიშვნელოვან მომენტებს. მხოლოდ ის კმარა ასტროთეოლოგიური მითის მნიშვნელობის გასაგებას, თუ დავაკვირდებით მზის და მთვარის პერსონიფიკაციების შეცვლას. ჩვენ უკვე ვთქვით, თავდაპირველად, უძველეს დროში, მზე მდედრობითი სქესის იყო, მთვარე კი მამრობითის. ეს პატრიარქალურ წყობასთან ერთად შეიცვალა, სადაც ქურუმები (მამრობითი სქესის ქურუმები) მზეს მამაკაცად წარადგენდნენ, მთვარეს კი ქალად. პოპულარული ევროპული ტრადიციაც ამას აგრძელებს, რათა გაამახვილოს ყურადღება იმაზე, რომ მზე მთვარეზე უფრო კარგად ანათებს და უფრო კაშკაშაა, ამით კი პატრიარქალურ საზიგადოებაში ქალის ადგილის არაპირდაპირი დეფირენსირება ხდება.

რაც უფრო ვითარდებოდა მითოსი, მით უფრო ემსგავსებოდა ეს ყველაფერი ზღაპარს ან პიესას, სადაც ღმერთების გუნდი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა: ღმერთები ემატებოდა და იცვლიდნენ პოზიციბს. რაღაც ეტაპზე ზოდიაწოს 12 ნიშანიც დაემატა ამ გუნდს. რა თქმა უნდა, იმ დროინდელი ხალხისთვის ის კი არ იყო მნიშვნელოვანი, თუ როგორ გამოიყურებოდა თანავარსკვლავედები, არამედ მათი პროეცირება ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამგვარად, უძველეს ხალხს შეეძლო ამ ციური სხეულების ჩართვა მითებში და მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენ ძალიან არ ჩავუღრმავდებით ასტროთეოლოგიის სხვადასხვა ასპექტს, სადაც ჩანს თუ როგორ იცვლებოდა, მაგაითად მორიელის ზოდიაქო, მორიელის თანავარსკვალვედი, არქივით და პირიქით. თუმცა აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ცის

ისტორია, ციური სხეულების ამბავი უმნიშვნელოვანესი იყო ამ ხალხისთვის და უდიდეს როლს ახდენდა მათ ცხოვრებაზე.

ცა და ციური სხეულები მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ წარმართებისთვის, არამედ ბიბლიური ხალხისთვის, მათ შორის ისრაელიტებისთვის, ვისი ელოჰიმი და ღმერთის სახელები სხვადასხვა ვარსკვლავის ირგვლივ ტრიალებდა. საერთოდ, ალბათ ძალიან რთულია ბიბლიაზე უფრო ასტროთეოლოგიური წიგნის მოძებნა, იქნება ეს ძველი აღთქმა თუ ახალი. შეუძლებელია ბიბლიის გაგება და გააზრება ასტროლოგიისა და მითოლოგიის ღრმა ცოდნის გარეშე, რადგან ყველაფერი ზემოთაღნიშნული მჭიდრო კავშირშია და ერთი კომპონენტის გამოკლებით იკარგება მთლიანი სურათი.

ბიბლიაში, როგორც ჩვენ ვნახეთ ძველ ებრაელებთან და ქრისტეს მიმდევრებთანაც, მზის თაყვანისცემა უამრავ ფორმაში ხდება. ფსალმუნში ნათქვამია: „მზისა აღმოსავალითგან ვიდრე დასავალადმდე ქებულ არს სახელი უფლისა (ფსალმუნნი, 112:3)“; „ჭეშმარიტებაჲ ქუეყანით აღმოსცენდა და სიმართლე ზეცით გამოჩნდა (ფსალმუნნი, 84:12)“; „რადგან მზე და ფარია უფალი ღმერთი... (ფსალმუნნი, 83:12).“ 72-ე ფსალმუნში კი ნათქვამია: „იყოს სახელი მისი კურთხეულ უკუნისამდე; უწინარეს მზისა ეგოს სახელი მისი; მისა მიმართ იკურთხეოდიან ყოველნი ტომნი ქუეყანისანი, და ყოველი თესლები ჰნატრიდეს მას (ფსალმუნნი 71:17)“, მალაქიასთან კი ვკითხულობთ: „მით, რამეთუ აღმოსავალთაჲთგან მზისათაჲთ და ვიდრე დასავალთამდე სახელი ჩემი დიდებულ არს წარმართთა შორის და ყოველსა ადგილსა საკუმეველი მოერთუმის სახელსა ჩემსა და მსხუერპლი წმიდაჲ; და მით, რამეთუ დიდ არს სახელი ჩემი წარმართთა შორის, - იტყჳს უფალი, ყოვლისა მპყრობელი (მალაქია წინასწარმეტყველი, 1:7).“

როგორც ვხედავთ აქ ნათქვამია, რომ უფალი დიდებულია „ვიდრე დასავალეთამდე“, ანუ მზის ჩასვლის შემდეგ ეს დიდება არ ვრცელდება, რაადგან თვითონ არის მზე. ამგვარად, მზის როლი ძველი ებრაელებისთვის ნათელია, სოლარული გმირი და მოტივი მოიპოვება ბევრ ადგილას ძველ აღთქმაში, მაგრამ ეს მოტივები იკარგება სხვადასხვა ინტერპრეტაციის დროს. თუმცა, მზე მაინც იმდენად ნიშვნელოვანი იყო

ძელი ხალხისთვის, ისრაელიტებისთვის, რომ მათ შექმნეს „მზის წიგნი“, ან „Helio Biblio”, წმინდა ბიბლია; რომლის ორიგინალი ვერისა, მითები, მოიპოვება სხვადასხვა ხალხის მითოლოგიაში, ზღაპრებში, ნახატებში, ქანდაკებებში მსოფლიოს ირგვიც იუდო-ქრისტიანული ბიბლიის შექმნამდე ათასწლეულობით ადრე.

თვითონ სიტყვა ‘ბიბლია’ მოდის დიდი დედის ქალაქიდან.როგორც ბ. უოლკერი აღნიშნავს:“ ბიბლიებს მისი სახელი ერქვა, რადგან ყველაზე ადრინდელი ბიბლიოთეკები მის ტაძძარს უკავშირდებოდა (Walker, 1983; 127).“ როგორც ავღნიშნეთ, იუდო-ქრისტიანული ბიბლია ბევრის მიერ იყო გადაწერილი, შესწორებული, უამრავჯერ არის გადაწერილი და ნათარგმნი და შეიცავს ძალიან ბევრ უზუსტობას. „ამგვარად, - ამბობს ლ. გრეჰამი, - ბიბლია არის ‘გამოცხადებული სიმართლე’ - სხვა ხალხების მითოლოგია, რომელსაც კოსმოლოგია უდევს საფუძვლად (Graham, 1991; 74).“ საუკუნეების განმავლობაში კოსმოლოგია, ან ციური მითოსი იმალებოდა ფართო მასებისგან და მმართველი ელიტის მანიპულაცის წყაროდ იყო ქცეული.

ამგვარად, მზის წიგნის, ან წმინდა ბიბლიის ყველაზე კონსოლიდირებული ვერსია დღემდე წარმოადგენს „ღმერთის შვილის“ ისტორიას დედამიწაზე. ჩვენ უკვე ავღვნიშნეთ, რომ საუბარი გვაქვს არა ისტორიულ პერსონაზე, არამედ კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნის მითური პერსონაჟის, იესოს ცხოვრებაზე. უპირველეს ყოვლისა, ანტიკური, ეგვიპტური, სემიტური და მითრაისტული რელიგიებისა და ტრადიციების განხილვისას ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ „ღმერთი“ არის მზე. იობთან კი, მაგალითად, ვარსკვლავები ღვთის შვილები გამოდიან, „ვისისა მუცლისაგან გამოვალს მყინვარი? ანუ ნეფხუაᲘ ცასა ქუეშე ვინ შვა? (იობი, 38:29)“, ანუ თითო ვარსკვლავი „ღვთის შვილია“, ისევე როგორც „მზის შვილი“. სოლარული მითოსი, ფაქტიურად, ხსნის იმ ამბავს, თუ რატომ არის ასეთი ერთანაირი ღმერთის შვილების ნარატივები, რომელზეც აქამდე ვისაუბრეთ, და რატომ არის ყველა მათგანში ადამიანი (ადამიანისგან შობილი, განკაცებული), რომელსაც ჯვარზე აკრავენ და მკვდრეთით დგება, რომელიც სასწაულებს ახდენს, თან დაჰყვება 12 მოწაფე და ა.შ. სინამდვილეში, ყველა ეს ამბავი დაფუძნებულია მზის მოძრაობაზე ცაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იესო და იესომდე არსებული ყველა მთავარი ღმერთი

სხვა არაფერია თუ არა მზის პერსონიფიკაცია, ევანგელისტური ამბავი მითოლოგიური ფორმულის კიდევ ერთი გამეორებაა.

მაგალითად, ავიღოთ ყველაზე მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივი მოვლენა ქრისტიანობაში - იესოს დაბადება. მსოფლიოს ბევრი ჯვარცმული ღმერთის შვილი დაიბადა რატომღაც 25 დეკემბერს. რა თქმა უნდა ეს არ არის უბრალო დამთხვევა. ეს თარიღი იმიტომ იყო არჩეული, რომ გეოცენტრული პერსპექტივიდან ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მზე ყოველწლიურად ჩადის სამხრეთისკენ მანამ, სანამ 21 დეკემბრის შუაღამეს არ მოხდება ზამთრის ბუნიაობა, როცა მზე წყვეტს მოძრაობას სამი დღით და შემდეგ ისევ იწყებს მოძრაობას ჩრდილოეთით. უძველესი ხალხი ამ დროს ამბობდა, რომ „ღმერთი გარდაიცვალა სამი დღით“ და დეკემბრის 24ში, შუაღამით ისევ დაიბადა. ამგვარად, ბევრი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი დიდი სიხარულით აღნიშნავდა ღმერთის დაბადებას 25 დეკემბერს. მზე-ღმერთს აქვს რამოდენიმე მთავარი ქარაქტერისტიკა, რაც იკვლევა სხვადასხვა მთავარი ღვთაების, ღმერთის (მზის ღმერთის) პარალელური ანალიზის დროს. ჩვენ გვსურვს განვიხილოთ რამოდენიმე ყველაზე ცნობილი მეტაფორა, რომელიც იესო ქრისტესთნ არის დაკავშირებული; მაგრამ დღევანდელი კანონიკურო ბიბლიის ინტერპრეტაციის დროს საკმაოდ არასწორად არის გაგებული. ყველა იმ მეტაფორას, რომელშიც იმალება მითური ქრისტეს ნამდვილი ბუნება. გააჩნია ასტროთეოლოგიური და კოსმიურ კონტექსტი, რომლის უარყოფა უბრალოდ შეუძლებელია:

- მზე სამი დღით „კვდება“ იმისთვის, რომ 25 დეკემბერს თავიდან დაიბადოს, ზამთრის ბუნიაობის დროს;
- მზე-ღმერთი დაბადებულია ‘ქალწულისგან’, რომელიც ერთის მხრივ შეიძლება მაგ დროის ახალი მთვარის აღმნიშვნელი იყოს, მეორეს მხრივ კი ქალწულის თანავარსკვლავედს (ზოდიაქოს) აღნიშნავს;
- მზის დაბადება აღინიშნება კაშკაშა ვარსკვლავით, რომელიც სავარაუდოდ ოსირისია ან ვენერა (ან ორივე) და „სამი მეფე“ სვხა არაფერია თუ ორიონის სარტყელის სამი ვარსკვლავი. ამ რუკაზე ზემოდან ჩანს ორიონის სარტყელი, შემდეგ სირიუსი. მარჯვნივ დიდი ჯვრის თანავარსკლავედი მზის ამოსვის ადგილს აჩვენებს (ლურჯი ზლით მზის ეკლიპტიკაა ნაჩვენები).

- ზოგადად, მზე ზენიტშია შუადღის 12 საათზე, ცის ტაძრის სახლში; ამგვარად ის იწყებს მამამისის საქმის გაგრძელებას 12 წლის ასაკში. მაქსველი აღნიშნავდა: „მაგ დროს ყველა ეგვიპტელი „უმაღლესის“ მიმართ ლოცულობდა“ (Leedom 1993; 23);
- მზე ყველა ზოდიაქოს ნიშანთან 30° შედის; ასევე „ღვთისშვილი“ თავის ქადაგებას 30 წლის ასაკში იწყებს. ჰეიზელრიგის მიხედვით:“... ცაზე მზე 30° ჩრდილოეთისკენ იხრება და მერწყულის კართან დგას, წყლის მატარებელი ან იოანე ნათლისმცემელი, და აქ ის იწყებს თავის მისტიურ ქადაგებას პალესტინაში(Hazerligg, 1971: 163)“;
- მზე არის „დურგალი“, რომელიც აშენებს თავის ყოველდღიურ „სახლებს“, ან 12 საათიან დაყოფას;
- მზის მიმდევრები, ან „მოწაფეები“ არიან ზოდიაქოს 12 ნიშანი, რომლებსაც გაივლის მზე;
- მზე „წყალს აქცევს ღვინოდ“, რადგან წმნის წვიმას, რომელიც ამწიფებს ყურძენს ვაზზე და ყურძნის წვენის ფერმენტაცია ხდება;
- მზე „წყალზე დადის“ თუ შევხედავთ მის ანარეკლს წყალზე (Massey, 21);
- მზე „ვირზე ამხედრებული“ შედის „მშვიდობის ქალაქშ“, როცა კირჩხიბის ნიშანშ შედის, რომელიც შეიცავს ორ ვარსკვლავს, რომლებსაც „პატარა ვირები“ ქვია;
- მზე „ჯვარზე არის გაკრული“ ორ ქურდ შორის: მშვილდოსანსა და თხის რქას შორის;
- მზე ჯვარზე კიდია, რომელიც ბუნიაობებს წარმოადგენს;
- მზე ჩვენთან ყოველთვისაა, „ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა” (მათე, 28:20);
- ყოველი დილით, როცა მზე თავიდან დგება, ის მთელი სამყაროს „მხსნელია“;
- მზეს სხვადასხვა დროს, სხვადსხვა კულტურაში უწოდებდნენ „ღმერთს“, „ცის შვილს“, „ყოვლისშემძლეს“, „სამყაროს მბრძანებელს“, „სიცოცხლის მომნიჭებელს“.

ჰ. მესი გვთავაზობს მითოსის კიდევ ერთ ინტერპრეტაციას, რომელიც ეხება ჰორუსს, რომელიც, ბაალი მსგავსად, წარმოადგენდა მზეს კუროს ერაში: „...პატარა ჰორუსი ჩავიდა ჰადესში, როგორც დატანჯული მზე, რომ გარდაცვლილიყო ზამთრის ბუნიაობის დროს და გარდაქმნილიყო და თავიდან დაბადებულიყო და დაბრუნებულიყო მთელი თავისი დიდებით ბუნიაობის დროს უკვე აღდგომისას (Massey, 1985; 50)“.

როგორც უკვე დავინახეთ, იესოს ისტორია, პრაქტიკულად იგივე ჰრუსის ისტორიაა, იგივე ბახუსის, ყველა დანარჩენი სოლარული ღმერთის. გ. ჰიგენსი ძალიან კარგად აყალიბებს ამ აზრს: „მზის ისტორია არის იესო ქრისტეს ისტორია. მზე 25 დეკემბერს იმადება, იესო ქრისტეს დაბადების დღეს. იესოს პირველი და უდიდესი საგმირო საქმე არის მისი გამარჯვება გველზე, ბოროტებაზე, ან ეშმაკზე. მის პირველ საგმირო საქმეში ჰერაკლემ გველს სძლია, ისევე როგორც ბახუსმა და ბევრმა სხვამ. ეს არის მზე, რომელიც ტრიუმფალურად იმარჯვებს წყვდიადზე, ბოროტებაზე; და რაც უფრო იმატებს, მით უფრო ძლიერდება, მანამ, სანამ ჯვარზე არ გაკრავენ ცაში, იმისთვის რომ ისევ დაიბადოს გაზაფხულის ბუნიაობის დროს (Higgins,1992; 144).“

მალაქიასთან იაჰვე ამბობს: „ და აღმოგიბრწყინდეს თქუენ მოშიშთა სახელისა ჩემისათა მზე სიმართლისა და კურნებაჲ შორის ფრთეთა მისთა. და გამოხჳდეთ და სტულობდეთ და ჰკრთებოდით, ვითარცა ზუარაკნი ჴსნილნი საკრველთაგან (მალაქია წინასქარმეტყველი, 4:2).“ და ვინ არის „მზე სიმართლისა“? მალაქიას წიგნი ძველი აღთქმის ბოლო წიგნია და ეს წიგნი პირდაპირ იესოს ისტორიასთან მიდის, მისი წინასამზადისია, იესოსთან, რომელსაც ეკლესიის მამები უძახოდნენ და დღესაც უძახიან „მზე სიმართლისა“. მალაქიას სიმართლის მზე „კურნებაჲ შორის ფრთეთა მისთა“, ანუ კურნებით თავის ფრთებზე, არის სხვა არაფერი თუ მხსნელი სინათლე, რომელიც ღამის წყვდიადს ბოლოს უგებს. მზის ამოსვლის ყოველდღიური აღდგომა, და ახალი ეპოქის მანიშნებელი მზე, რომელის იესო ქრისტედ იქცა. ჩვენი არაერთხელ ნახსენები „შამაშივით“, მალაქიას სიმართლის მზე ასევე არის სოლომონის მოაბიტელი ღმერთი შემოში, რამდენადაც ირონიული არ უნდა იყოს, მოგვიანებით ქრისტიანების მიმართ დემონიზირებული.

თუმცა, თუ ჩვენ მთლიანად ვაღიარებთ, რომ ქრისტეს, როგორც მითოლოგიური პერსონაშის, ჯვარცმა რეალურ დროში და სივრცეში არ მომხდარა და ეს ყველაფერი უბრალოდ მზის თაყვანისცემის კიდევ ერთი ალეგორიული გადმოცემაა, მაშინ ძალიან მარტივი ხდება ფართო სურათის დანახვა.

იოანეს სახარებაში იესო ამბობს: „დაჰ3სენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო ეგე (იოანე, 2:19).“ ამით იესო აღწერს საკუთარ სოლარულ აღდგომას, და არა მატერიალური ტაძრის აღდგენას.

იესო ქრისტეს სოლარული ბუნება იმაშიც ჩანს, რომ არავინ იცის თუ როგორ გამოყურებოდა ის. ჰ. ბიდერმანი ამბობს: „იკონოგრაფიაში მზე, რომელიც ისევ და ისევ ამოდის აღმოსავლეთზე, არის უკვდავებისა და აღდგომის სიმბოლო. არსებობს მეოთხე საუკუნის მოზაიკები, სადაც ქრისტე ნაჩვენებია, როგორც ჰელიოსის სახე, სოლარულ ეტლში და სოლარული სხივებით ან სოლარული ნიბოთი. რადგან ქრისტე ქრონოკრატორიცაა, ის ხშირად ასოცირდება მზესთან რომაულ ხელოვნებაში (Biedermann, 1992; 330).“

სიტყვა ‘ასოცირდება’ ამ შემთხვევაში არ არის ზუსტი, რადგან ქრისტე თვითონ არის მზე, რაც ქრისტიანმა მხატვრებმა ნამდვილად იცოდნენ. ამიტომაც ყველა ხატზე და ნახატზე იესო გამოსახულია მაღალ, ღია ფერის კანისა და თმის, ხშირაც ცისფერი თვალების მქონე მამაკაცად.

3.3 მზის კულტი საქართველოში.

საქართველოს უძველესი მართლმადიდებლური ტრადიცია გააჩნია - ამაზე მეტყველებს ყველაფერი: ტაძრები, ხუროთმოძვრება, უძველესი ტექსტები და დღემდე შემორჩენილი ტრადიციები. თუმცა, არის ამ ტრადიციებში რაღაც უფრო ძველი, პირველყოფილი, დავიწყებული. სამწუხაროდ, ცოტა რამ არის ცნობილი პრექრისტიანულ საქართველოზე. თითქმის საერთოდ განადგურებულია იმდროინდელი ყველა ძეგლი, ისტორია, მითი. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ქართული წარმართობის ისტორიას დაემართა იგივე, რაც მითრას კულტს: ქრისტიანობამ სცადა ყველა მისი ხსენების განადგურება. თუმცა, მაინც არსებობს დადასტურება იმისა, რომ ძველ დროში თანამედროვე საქართველოს ადგილას ძალიან განვითარებული ცივილიზაცია არსებობდა, რომელიც მზეს სცემდა თაყვანს. ამაზე მეტყველებს ყველაფერი: მზის სიმბოლიკა, ვაზის კულტურა.

ქართული წარმართული პანთეონი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა და სხვადასხვა დროს 7 ასტრალური ღვთაებისაგან შედგებოდა: „მზე, მთვარე და ვარსკვლავნი ხუთნი". ქართველებიც, სხვა ხალხის მსგავსად, თაყვანს სცემდნენ და აღმერთებდნენ ბუნების ძალებსა და მოვლენებს. მეტიც, საქართველოში "მამაო ჩვენომდე" არსებობდა ასეთი ლოცვა:

„დიდო დედაო, ცაო მშვენიერო, მომცველო ყოველივესი, შემქმნელო და დამბადებელო უსასრულო სამყაროში, დაუტეველო, უმცირესში ჩატეულო, უწონ-

უმანძილოვ, ცარიელა და სავსევ, უჟამო, უძრაო, წყვდიადო ცაო, სივრცეში, დროში ნათლით გამოვლენილო, ერთა და ერთთა ერთობაო, მომეც უფლება უფლებათა, დავრჩე მართალი ჩემ თავ-უფალთან და სამართლიანი სხვათა მიმართ, რათა დავიცვა ცის სიწმინდე და ვიყო თავისუფალი, ვითარცა შენ, ცაო თავნებაო".

3000 წლის წინ ბორჯომთან ახლოს მზის კულტის მსახური ქალების ცენტრი ფუნქციონირებდა. სოფელ მზეთამზეში ქართველმა არქეოლოგებმა 70იან წლებში უნიკალური აღმოჩენა გააკეთეს. მეცნიერებმა იპოვეს სამარხი, სადაც ქალები იყვნენ დაკრძალული. მათ მუცლებზე უზარმაზარი ბრინჯაოს მზის დისკოები ედოთ. ეს დისკოები ძველი წელთაღრიცხვის XVI-XIV საუკუნეებით თარიღდება. საინტერესოა, რომ ეს ის დროა, როცა ეგვიპტეში ტახტზე იჯდა ფარაონი ამენხოტეპ II.

ხელოვნებათმცოდნე ანა კლდიაშვილის აზრით „სვა ქვეყნებისა და საქართველოს სხვა კუთხეებში მიკვლეული პარალელური მასალის არსებობის მიუხედავად, ასეთი დიდი ზომის და ამგვარი ორნამენტაციის მქონე დისკოები მხოლოდ ბორჯომისთვისაა დამახასიათებელი“ [17]

[17] http://www.amsi.ge/academia/0102/acad_2_8.pdf

- ბრინჯაოს დისკო ბორნიღელეს სამაროვნიდან

- ბრინჯაოს დისკო ბორნიღელეს სამაროვნიდან

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სავარაუდო მზის ქურუმები ქალები იყვნენ. ეს მიუთითებს მზის თაყვანისცემის უაღრესად ადრეულ ფორმაზე, როცა მზე ასოცირდებოდა ქალურ საწყისთან, მამაკაცი კი მთავრესთან. შემდეგ ყველაფერი შეიცვალა; მთავარი ღვთაება - მზე - მამაკაცი გახდა. ეს ყველაფერი კი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს მზის თაყვანისცემის იმეზე უფრო უძველესი ტრადიცია გააჩნია, ვიდრე დადასტურებულია. სამწუხაროდ არასაკმარისი მასალის და შენარჩუნებული ნაწერების არარსებობის გამო რთულია მსჯელობა თუ რა ახდენდა გავლენას ქართული მზის კულტის განვითარებაზე, როგორი იყო ის, რომელ მზის ღმერთს სცემდნენ თაყვანს ქართველი ქურუმი ქალები. მზეთამზეს გათხრები შეწყდა არასაკმარისი სახსრების გამო და, სამწყხაროდ, დღემდე არ განახლებულა.

ჩვენ შეგვიძლია ქართულ მზის სიმბოლიკაზე, ბორჯღალზე, სვასტიკაზე, ვერძის მიოტივზე, რომელიც ყველა დიდ თუ პატარა სამარხში გვხვდება, ჭურჭელზე, სამკაულებზე, ორნამენტში. მაგრამ დაზუსტებით რთულია იმის დადგენა, თუ საიდან წამოვიდა ქართული მზის კულტი, როგორი იყო და რამ განაპირობა მისი გაჩენა.

თუმცა, არსებობს მზის სიმბოლიკა, რომელიც დღემდე შომორჩა და ძალიან დიდი როლი უჭირავს ქართულ მართლმადიდებლობაში - ვაზი.

ყველამ კარგად იცის თუ როგორი მნიშვნელოვანია ქართული კულტურისთვის ღვინო და ვაზი. ზოგადად ყურძენი არის ნაყოფიერებისა და სიმდიდრის ერთ-ერთი უძველესი სიმბოლო. ქრისტიანულ ტრადიციაში კი ვაზი არის სულიერი სიცოცხლის სიმბოლო, გადარჩენის და აღორძინებას. მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ტრადიციაში ვაზი ადამიანის ღმერთთან ერთობის სიმბოლოა. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ ღვინო ლიტურგიის დროს ქრისტეს სისხლს აღნიშნავს.

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონში ვაზის ასეთ განმარტებას ვკითხულობთ: „ქვის ძეგლებზე გამოსახული ვაზი, ქართველთა წარმართული რელიგიისა და ქრისტიანობის ერთი უდიდესი სიმბოლო. ქართველებისათვის, როგორც უძველესი სამიწათმოქმედო ერისათვის, ვაზი ოდითგანვე შეადგენდა თაყვანისცემის სიმბოლოს. ვაზისა და მტევნის გამოხატვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საყოფაცხოვრებო ხასიათის საგნებზე, მემორიალური კულტურის ძეგლებსა და საეკლესიო არქიტექტურაში. ვაზისა და მტევნის გამოსახულება გვხვდება როგორც ამოკაწვრის წესით, ასევე მაღალი რელიეფით გამოყვანილი. ზოგჯერ საფლავის ლოდზე გამოსახული მიცვალებული ვაზის ლერწებშია გახვეული. ქრისტიანობამ კიდევ უფრო გააღრმავა ამ მცენარის სიმბოლური ხასიათი, რასაც განაპირობებდა ვაზის სახარებისეული განმარტება: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი და მამაჩემი მევენახეა“, „მე ვარ ვაზი, ხოლო თქვენ ლერწები ხართ“, „ამით იდიდება მამაჩემი თუ გამოიღებთ უხვ ნაყოფს“ (იოანე: 15;1,2,5,7,8), არა მხოლოდ ქრისტე, არამედ მოკვდავი ადამიანებიც ხშირად გაიგივებული იყვნენ ვაზთან „დანერგულიცა ვართ, ვითარცა ვენახნი საყურძნესსა ქრისტესა, რამეთუ იგი თავად არის ვენახი ჭეშმარიტი“. ქრისტიანებისათვის ვაზის გამოსახულებას უნდა ვუცქერდეთ, როგორც ზიარების სიმბოლურ გამოხატულებას. საფლავის ქვებზე ვაზისა და მტევნის გამოსახულება ნიშნავს ზიარებას ქრისტესთან,

იგია მუდმივობის გარანტია და ასახავს მიცვალებულთა კავშირს ცათა სასუფეველთან.[18]

აღსანიშნავია, რომ ძველ ეგვიპტეში ყურძენი და ვაზი სიცოცხლის სიმბოლო იყო და მას ოსირისს უკავშირდებოდნენ, ისევე, როგორც ქრისტეს. თუმცა, თავდაპირველად ყურძენი და ვაზი ისევ და ისევ მზის სიმბოლო იყო. ყურძენი მწიფდებოდა მზეზე; მზეზე დამწიფებული ყურძნისგან კეთდებოდა ღვინო. თვითონ ვაზიც მზის სიმბოლოა, მზისკენ მიისწრაფის, ღვთაებრივისკენ. ასევე მზეზე დამწიფებული ყურძნის წვენი (ღვინო), რომელსაც იყენებდნენ მისტერიებში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას, ზუსტად ამიტომ იყო და არის ღმერთთან ერთობის სიმბოლო.

შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისთვის ავიღოთ შუასაუკუნეების ქართული გალობა „შენ ხარ ვენახი“, რომელიც საქართველოს მეფეს დემეტრე I მიერ არის დაწერილი. თუმცა მისი კომპოზიტორი უცნობია და ხალხურადაა მიჩნეული, ამგვარად სრულიად შესაძლებელია საგალობელი არ იყოს მეფის მიერ დაწერილი, არამედ აღდგენილი ან სახეცვლილი. სრულიად შესაძლებელია ის ცხალხური საგალობელი ყოფილიყო და თავდაპირველად მზის გალობისთვის გამოეყენებინათ.

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
ნორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული,

ალვა სულნელი, სამოთხესა მოსრული,

ღმერთმან შეგამკო, ვერავინა გჯობს ქებული,

და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ქართველი ტომების ასტრალური რელიგია ძალიან კომპლექსური იყო, რაც დღემდე დიდ პრობლემას ქმნის ყველა მკვლევარისთვის, განსაკუთრებითთ პირველწყაოების არქონის ფონზე. თუმცა, მაინც, ხელთ გვაქვს მწირი ხელშესაჭიდი მასალა, რომლის საფუძველზე შეგვიძლია დასკვნების გაკეთება და ჰიპოტეზების შექმნა. პირველ რიგში, როგორც ავღვინიშნეთ, ეს არის უდიდესი არქეოლოგიური მასალა, რომელიც საქართველოს არქივებში

[18] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=1323

ინახება, სადაც ნათლად ჩანს მზისა და მთვარის სიმბოლიკა. ამ მასალის ინტერპრეტაცია უსასრულოა, რადგან უმეტესად მას სხვა არავითარი ახსნა და დადასტურება არ მოჰყება. მაგრამ ამ შემთხვევაში გვეხმარება ანთროპოლოგია და ფოლკლორისტიკა - იკვეთება ბმები და პარალელები, რომლის საფუძველზე შეიძლება კონკრეტული დასკვნების გაკეთება.

ამ კუთხით ძალიან საინტერესოა სვანეთის რეგიონი, რადგან ბევრი ფაქტორის გამო სვანებმა (თუშებთან და ხევსურებთან ერთად) უფრო მეტად შეინარჩუნეს ავთენტურობა, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონის მაცხოვრებლებმა. რაც შეეხება თუშურ მითილოგიას და ასტროთეოლოგიას, ის უაღრესად მდიდარია და კიდევ უფრო წარმართული, კიდევ უფრო შორს დგას ქრისტიანობისგან, ვიდრე სვანური და ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის ხეობის მსგავსად, სვანეთის მზის კულტი იმდენად ძველია, რომ პრეპატრიარქალურ საზოგადოებაზე მიგვითითებს. პირველ რიგში ეს ნიშნები გვხვდება ახალი წლის ციკლის ორი დღეობის კვევრებში - აქ მზეც არის და მთვარეც. ვერა ბარდაველიძე ამბობს: „რიტუალური კვერი, რომელსაც ფარელები კანდას (ახალწელიწადს) აცხობდნენ, თხელი, მრგვალი და მრავალქიმიანი ლავაში იყო და მას მზის ღვთაების სახელი ქალ-ბაბარ ეწოდებოდა (ბარდაველიძე, 1939:83).“

ქრისტიანული ბარბერე ცნობილია, როგორც აღმოსავლური წმინდანი, მისი კულტი აღმოსავლეთში გაჩნდა და განვითარდა, შემდეგ კი დანარჩენ ქვეყნებშ გავრცელდა. მას თაყვანს სცემდნენ, როგორც სხვადასხვა სენისგან მკურნალს და ავადმყოფების მფარველს. თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე, კიდევ უფრო ადრე წმინდა ბარბარეს პროტოტიპი - ღვთაება ბარბალე არსებობდა. მის შესახებ ყველაზე კარგად ხალხური რიტუალებიდან და დღეობებიდან ვიგებთ. ბარბალეს სახელობის დღეობები ბევრ რეგიონს აქვს, მაგრამ ყველაზე კარგად შენახულია ეს რიტუალი სვანეთში. ბარბალეს, იგივე ბარბარეს სვანეთში ორი სახელით იცნობენ: ბარბოლ (ზემო სვანეთში) და ბარბალ (ქვემო სვანეთში). თავდაპირველად, რიტუალებით თუ ვიმსჯელებთ, ბარბალე უდავოდ ღვთაება უნდა ყოფილიყო, თუმცა ქრისტიანობის განვითრებასთან ერთად და რელიგიური სინკრეტიზმის ზეგავლენის მერე მან

ანგელოზის სახე შეიძინა. საინტერესოა, რომ ყველა დანარჩენ რეგიონში მას წმინდა ბარბარეს ეძახიან, სვანეთში კი „ბარბოლ ღერმეთ“, „ბარბოლ ფუსდ“ და „ბარბოლ ანგლეზ“დ მოიხსენიებენ. ბარბარობის დღესასწაულის აღნიშვნაში განსაკუთრებული როლი მსხვილ საქონელს, კონკრეტულად კი ძროხას ჰქონდა. ვერა ბარდაველიძესთან ვკითხულობთ: „...თუ ჩვენ ბალსქვემოურ ბარბალობას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ იგი მთელი თავისი რიტუალით და მასში ასახული რწმენა-წარმოდგენებით მსხვილფეხა საქონლის მეურნეობასთანაა დაკავშურებული და მსხვილფეხა საქონლის კულტს შეიცავს (ბარდაველიძე, 1941:7).“ საინტერესოა ეს ვერძის/კუროს კულტის გამოძახილი სვანურ ტომებში. თუმცა, ქართველ ტომებში ასევე გავრცელებული იყო შეხედულება ღვთაება ბარბალეზე, როგორც სინათლის მიმნიჭებელზე და თვალების ავადმყოფობის გამჩენზე. აქ ნათლად ჩანს მმისი ასტრალური ბუნება. ქაერთველ ხალხში მზესთან და მზერასთან დაკავშირებულ დამოკიდებულებასა და საკითხებს პირველ რიგში ენობრივი ფაქტები ამჟღავნებს. ქართული სიტყვა მზერა, ისევე როგორც სიტყვა მზე, თავდაპირველად მნათობთა ზოგადი თვისების - მზინვის, ბზინვის, ბრწყინვალების აღმნიშვნელი ყოფილა (ბარდაველიძე, 1941:54-55). ბარდაველიძესთან, ასევე ვკითხულობთ ასეთ ფრაზას:“უნდა ითქვას, რომ მზის მძლავრი კულტის არსებობა უმთავრესად ხალხის კულტუტული განვითარების მაღალ საფეხურზეა დამოწმებული (ბარდაველიძე, 1941 : 58). თავის დროზე ჯ. ფრაზერიც აღნშნავდა, რომ სოლარული რელიგია დამახასიათებელია მხოლოდ ისეთ ცივილიზაციებთან , რომლებიც განვითარების გარკვეულ მაღალ ეტაპს მიაღწიეს (მაგალითად ძველი ეგვიპტელების მსგავსად). მკვლევარები, მათ შორის ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, მიიჩნევენ, რომ ბარბალეს კულტი ქართველი ტომების მაღალ განვითარებაზე მეტყველებს მხოლოდ იმიტომ, რომ ბარბალეს თაყვანისცემა მსხვილფეხა საქონლის ყოლასთან და მარცვლეულის მოსავლიანობასთანაა დაკავშირებული. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი ქართველი ტომები განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, რადგან შეეძლოთ დაკვირვების წარმოება ციურ სხეულებზე და საკმაოდ კარგად იცოდნენ მზის, მთვარის და ვარსკვლავების მოძრაობის პრინციპები, რასაც შემდგომში დავადასტურებთ.

ბარბალე, მზის ღვთაება, ქართველ ტომებთან განუყრელად დაკავშირებულია თვალებთან, რაც თვითონ კულტშიც ჩანს. რიტუალის თანახმად. რიტუალის და ლოცვის დროს, ისინი მზის მხარეს დგანან და თვალები დახუჭული აქვთ. ისევ დავუბრუნდებით ვ. ბარდაველიძეს, რომელიც ამ საკითხის ყველაზე დიდი მკვლევარეა ამ დრომდე. ამასთან დაკავშირებით ის ამბობს: „გასაოცარი არქაულობით შემონახული ეს რიტუალი უთუოდ დამყარებული იყო ხალხის რწმენაზე ბარბალეს როგორც მზის ღვთაების შესახებ, რომლის მძლავრსა და მწველ სინათლე-სხივოსნობას ასამიანი თვალს ვერ უსწორებდა (ბარდაველიძე, 1941:59).“ მაგრამ რამდენად მეტაფორულია ეს „თვალის ვერ გასწორება“?

ჩვენ უკვე ვახსენეთ თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ძველი ადამიანებისთვის მზისა და მთავრის ციკლები და მზის ზამთრისა და ზაფხულის ბუინობა. ამგვარად, მზისკენ მიმართული სალოცავი ყოველთვის იგებოდა იმ კუთხით, რომ ბუნიაობისას ამომავალი მზე მოხვედროდა საკურთხეველს. ეს ქართული ტომების სალოცავებთანაც ასეა. მეტიც, დღემდე მართლმადიდებლური ტაძრების საკურთხევლები აღმოსავლეთითაა მიმართული, ამომავალ მზესთან და დღემდე, ყოველი ლოცვისას ჩვენ ამომავალ მზეზე ვლოცულობთ. ამგვარად, ბარბალეს კულტის მლოცველების თვალების დახუჭვა შეიძლება პირდაპირი გაგებით გამოწვეული ყოფილიყომზის ამოსვლის მკვეთრი ნათებით და უკვე შემდგომ ალეგორიული ხასიათი მიიღო და მზის ღვთაებასთან თვალების „ვერ გასწორებაში“ გადაიზარდა.

საკვლევი მასალის სიმწირის გამო შეუძლებელი ხდება რიგი საკითხების დადასტურება, ამიტომ გვრჩება მხოლოდ ჰიპოტეზები და ვარაუდი, რომლებიც, თავის მხრივ მაიმც დაფუძნებულია რეალურ პროტოტიპებზე. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე ავღვნიშნეთ, რელიგიური სენკრეტიზმის გამო ბევრი რამ განადგრდა და სამუდამოდ დაიკარგა, ჩვენ დაგვრჩა საკვლევად უდიდესი რამ - ქართული ანბანი. ისევე, როგორც სხვა უძველესი ცივილიზაციებისა და კულტურების ანბანი, ქართული უძველესი დამწერლობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებას არ წარმოადგენდა და ჰქონდა უფრო დიდი, საკრალური მნიშვნელობა. ასევე საინტერესოა მკვლევარე რამაზ პატარიძეს თეორია ქართული

ანბანის, კერძოდ ასომთავრულის ასტროლოგიური მნიშვნელობის შესახებ. სხვათაშორის, ზემოთაღნიშნული და განხილული ცივილიზაციების სოლარული ასპექტების შესახებ რ. პატარიძეს თეორია არც ისე თუ შეუძლებელი ჩანს.

ქართული ანბანური დამწერლობა უძველესია. ლეონტი მროველის ცნობით, ქართული ანბანი შემოღებულია ფარნავაზ მეფის დროს, ანუ IV-III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, თუმცა ბევრი მკვლევარე, მათ შორის ივანე ჯავახიშვილი ამტკიცებდა იმას, რომ ქართული დამწერლობა კიდევ უფრო ძველია და მისი სათავეები არა ძველ საბერძნეთში, არამედ ძველ აზიაში უნდა ვეძებოთ. ჩვენ გვსურს დავეთანხმოთ თუნდაც იგივე ივ. ჯავახიშვილს, რადგან თუ დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში კოლხიდაში ჩამოვიდა იასონი ოქროს საწმისისთვის (იმ საიდუმლოსთვის, რომელიც მაგ დროისთვის გააჩნდა კოლხიდას, უფრო განვითარებულ ცივილიზაციას, ვიდრე ძველ საბერძნეთს) ამ დროს კოლხიდას ადგილას მცხოვრებ ტომებს უკვე უნდა ჰქონოდათ დამწერლობა.

კონკრეტულ შემთხვევაში რ. პატარიძე ყურადღებას უთმობს ასომთავრულს, როგორც ქართული ანბანის უძველეს ფორმას. საინტერესოა, რომ ქართულ სამეცნიერო წრეებში რამაზ პატარიძეს თეორიას ბევრი მიმდევარე და გამოხმაურება არ აქვს. შესაძლოა ეს განპირობებული იყო მისი თეორის ცალმხრივი განხილვით, რადგან როცა მას კომპლექსურად და სისტემურად ვუდგებით,აბსოლუტურად სხვა სურათი ისახება და, ასე ვთქვათ. იკვრება ლოგიკური წრე. ჩვენ. არქეოასტრონომიის მნიშვნელობის განხილვისას უკვე განვიხილეთ ეგვიპტური კალენდარი და მისი კორელაცია მზესთან.

რ. პატარიძეს კვლევაში ვკითხულობთ: „ ქართული ანბანის 30 ასო-ნიშანს 30 კალენდარული დღე-ღამისა, ანუ ერთი თვის კალენდარული მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ 30 დღე-ღამე არა მარტო მთვარის კალენდარული თვის ხანგრძლივობაა, არამედ მზის კალენდარული თვის ხანგრძლივობაც არის (პატარიძე, 2018:101).“

ქართულ ასომთავრულ ანბანში მზის ეგვიპტური კალენდრის რიცხვები დასტურდება: 30 და 5. ასევე, განსაკუთრებული როლი აქვს ქართულ ასომთავრულ „ლას“ს. ასო-ნიშანი „ლას“, ასო-ნიშნების სახელდებს პრინციპის თვალსაზრისით,

ქართულ ანბანში ერთადერთი გამონაკლისია, რომელსაც უნიკალური სახელდება აქვს. ცნობილია, რომ მზე თავისი წლიური მოძრაობის ეკლიპტიკის გზაზე 12 თანავარსკვალვედს, ანუ 12 ზოდიაქოს ნიშანს გადის. ამიტომ მის კალენდარული იდეა უძველესი დროიდან დაკავშირებული იყო ზოდიაქურ ნიშნებთან. ვერძის ეპოქაში გაზაფხულის ბუნიობას მზე ვერძის ზოდიაქოში შედიოდა. ამიტომაც 12 თანავარსკვლავედის თანმიმდევრობა ამ გაზაფხულის თვის ზოდიაქოთი იწყებოდა (პატარიძე, 2018:104-105). ჩვენ უკვე ვიცით, რომ ვერძის ეპოქა ძალიან მნიშვნელოვანი იყო უძველესი ცივილიზაციებისთვის. ამ დროს დაიშალა ეგვიპტეს ძველი სამეფო და მოკლევადიანი შუა სამეფოს მერე ახალი სამეფოს პერიოდი დაიწყო. ყველაფერი ეს ხდებოდა დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის XXI-XVII საუკუნეებში. ამ დროს ეგვიპტური პანთეონის მთავარი ღმერთის ასოცირება ხართან იცვლებოდა, მას ამონი წარმოადგენდა, რომლის სიმბოლური ცხოველი ვერძი იყო. თუ ჩავთვლით, რომ ქართული მზის კალენდარი, რომელიც ასომთავრულშია დამალული. ვერძის ეპოქით იწყება, ნათელი ხდება რომ ქართული დამწერლობა კიდევ უფრო ძველია, ვიდრე დღეს ოფიციალურადაა დადასტურებული.

თავის წლიურ მიიმოქცევას მზე თევზის თანავარსკვლავედში, თევზის ზოდიაქოთი ასრულებდა. შემთხვევითი არაა მზის სიმბოლიკა ქრისტიანობაში და ჩვენ უკვე ვნახეთ თუ რამდენად მჭიდროდ არის გადაბმული ეს სიმბოლიზმი იესოს ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან. ამგვარად, თუ ქართულ ასომთავრულ ანბანში მზის კალენდარი იმალება, მზე თავის წლიურ მიმოქცევას ქართულ „ლას“-ზე ამთავრებს. პატარიძე ამბობს: სიტყვა „ლას“ თევზს უნდა ნიშნავდეს (პატარიძე, 2018:105).“ ჩვენ ვნახეთ, რომ თევზის ეპოქის დადგომასთან ერთად, იესოს გაჩენამდე უკვ ეარსებობდა თევზის სიმბოლიკა, რომელიც სხვადასხვა ღმერთთან იყო დაკავშირებული. ასე უნდა ყოფილიყო საქართველოშიც, უნდა არსებულიყო თევზის ღვთაების კულტი და ამ აზრს გ. ჩიტაიაც ანვითარებს (ჩიტაია, 1937).

ქართველი ხალხის კალენდარულ საწსჩვეულებო პრაქტიკაში მზე დიდ როლს ასრულებდა. მატი რიტუალები ძირითადად მზის მოძრაობას და ასტრონომიულ თარიღებს იყო მორგებული:

მზე ჩაღმა ჩამავალია,

ჩავა, ჩაჯდება ბუდესა,

ოქროსი კვერცხი დაუდევს,

ჭურჭელი მარგალიტისა.

ეს ლექსი გაზაფხულზე სრულდებოდა. ხალხის რწმენით, მზებუდობისას „მზე ისვენებს, ამ ადგილას არ მოსცილდება, მერე წავა აღმა“. ანალოგიური წარმოდგენები იყო გავრცელებული სხვა ხალხებშიც: “მზე სამი დღე თავის ბუდეშია, სამჯერ შეხტება, სამჯერ ჩაყვინთავს ზღვაში, ცეკვავს, ბრუნავს“ (გიორგაძე, 35).

აშკარაა რომ ქართველი ხალხი დიდ ასტროთეოლოგიურ ცოდნას ფლობდა. მ.გიორგაძე წერს:“ გაზაფხულის მზე, „დიდ და საოცარ გარდაქმნათა მიზეზი“, სიცოცხლის, სითბოს, სინათლის განსაცვიფრებელი წყარო იყო. „მოუღლელი მზის“ (sol invictus) საგაზაფხულო აღორძინების სიმბოლოდ ქართული მითოსურ აზროვნება მარადიული განჭაბუკების უნარის მქონე ორბს გვისახავს:

ორბი მოჯდა ორასი

ფრთა გაშალა სამასი,

კანჭი ათას ხუთასი (მზე) (გიორგაძე, 36).“

კიდევ ერთი საინეტერსო მომენტი ქართულ ფოლკლორში არის იესოს წარმოაგენა დემიურგად. როგორც ჩვენ უკვე ვნახეთ, სხვადასხვა კულტურაში მზე თვით დემიურგია, რადგან მზის არსებობით შეიქმა სამყარო. ქართულ ხხალხურ სიტყვიერებაში კი ბევრ მაგალითში გვხვდება იესო ქრისტე სამყაროს შემქმნელად. მაგალითად, თინა შიოლაშვილის მიხედვით, „ქვეყნის გამჩენად და წესრიგის გამრიგედ მოიხსენიება იესო მთიულურ ლექსში „ქვეყნის გაჩენა“... ამ ლექსის თანახმად, იესომ, კახეთი და დაღესტანი რომ გააჩინა, ურჯულოებს, ანუ დაღესტანელებს ალვის ტანი მისცა, ხოლო რჯულიანებს, ანუ ქართველებს - ხმალი და მათ შუა აღმოაცენა მთა:

პირველად ღმერთმა გააჩინა

კახეთი და დაღესტანი.

რჯულიანთა ხმალი მისცა,

ურჯულოთა - ალვის ტანი,

გარს ქვეყანა შემაარტყაა,

შუა დადვა დიდი მთანი... (შიოშვილი, 98-99)“

ასევე, ძალიან საინტერესო და ჩვენთვის მნიშვნელოვანი მიგნება გვხვდება თინა შიოშვილის ნაშრომში „იესო ქრისტე ქართულ ფოლკლორში“, სადაც ის ამბობს: „ქართული ხალხური კოლექტიური ცნობიერის მიერ საუკუნეთა განმავლობაში ნაძერწი მაცხოვრის ციკლის დახვეწილი ხალხური სიტყვიერება სრულყოფილად გადმოგვცემს ადამიანთა ცოდვების მტვირთველად მოვლენილი იესო ქრისტეს სულიერ განცდებს (შიოშვილი, 270).“ აქ ნათლად ჩანს თუ რამდენად მნიშვნელობანი იყო მაცხოვრის სახე ქართული ფოლკლორისთვის. რა საკვირველია, კანონიკასთან ერთად მან მანამდე არსებული ღემრთებისა და კულტბის თვისებებიც შეიძინა, რადგან მთლიანად ჩაანაცვლა ძველი.

ჩვენ საკმაოდ ცოტა რამ ვიცით ქართული მითოლოგიის შესაახებ არარსებული რესურსების გამო, სამაგიეროდ ჩვენამდე ძალიან კარგად მოაღწია ქართულმა ხალხურმა ზღაპრებმა, სადაც შესაძლებელი ხდება ყველა იმ კოლექტიური არაცნობიერის არქეტიპის ანალიზი, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის და არაცნობიერ დონეზე ნარჩუნდება. ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს, მზის თემატიკაც კარგადაა შენახული ზღაპრებში. ჩვენ ხშირად გვხვდება მზის მოტივები: მზეჭაბუკი, მზეთუნახავი, თავადდ მზე და, ასევე, ნაკლებად აშკარა მზის სიმბოლიკები: ბორბალი, ეტლი. რუსუდან ჩოლოყაშვილთან ვკითხულობთ: „...ერთი შეხედვით, ერთ ადგილას უძრავად მყოფი დევის დედა თუ დედაბერი თითის¬ტარით ხელში. (თუნდაც გერი, რომელსაც დედინაცვალი მატყლს ატანს დასართავად) მოქმედნი არიან და სწორედ მათ მოქმედებას მო-ყავს მოძრაობაში სხვებიც. ისინი ხომ ძაფის დართვით სხვათა ბედ-საც ართავენ და ბედის მწერლები არიან. ბორბალი იმთავითვე მზესთან არის ასოცირებული. ამიტომ არ არის

გასაკვირი მზის ეტლით სეირნობა. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ფაეტონი და ურემი, როგორც ჯადოსნური ზღაპრის გმირის გადაადგილების საშუალება. ფაეტონი გაფრინდა და ერეკლეს ქალის ცალი ფეხსაცმელი შერჩა მხოლოდ.” რა თქმა უნდა ეტლისა და ბორბლის მზის სიმბოლიკა არ არის ჩვენთვის ახალი: ის მანამდეც გვხვდება სხვა ხალხების ზღაპრებში. მეტიც, ეტლით მოსიარულე მზის ღმერთი რა გვხვდება ეგვიპტურ მითოლოგიაში, ბერძნულში - ჰელიოსი. უფრ4ო გვიან ბიბლიაშიც გვხვდება იახვეს სახე, გადმოცემული ასე: „და ვიხილე, და, აჰა, სული აღმღებელი მოვიდოდა ჩრდილოთ და ღრუბელი დიდი მას ზედა და ნათელი გარემოჲს მისსა, და ცეცხლი ელვარე; და საშუალ მისსა, ვითარცა ხილვაჲ ილეკტროჲსაჲ, საშუალ ცეცხლისა, და ნათელი მის შორის» (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 1:4). მზის სიმბოლიკის მსგავსება აშკარად ჩანს. და ისევ, ყველა ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაში გვაქვს საქმე ან გაცნობიერებულ მოტივების განმეორებასთან, რომელიც შესაძლებელია იმ შემთვევაში, თუ დავუშვებთ რომ ქართველურ ტომებს რაიმე შეხება და გადაკვეთა ჰქონდა ეგვიპტელებთან, რომლებმაც მოახდინეს ერთმანეთზე გავლენა, ან არაცნობიერ არქეტიპებთან.

დასკვნები

რელიგიების, რომლებიც მილიარდობით ხალხზე ახდენენ გავლენას მთელ მსოფლიოში, წარმოშობის შესწავლით ჩვენ ვხედავთ და ვიაზრებთ, რომ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად განსხვავებულადაა წარმოდგენილი ესა თუ ის რელიგია და კულტურა, ყველა მათგანს ძალიან ბევრი საერთო აქვს. ბევრი რელიგიის რეალური ბირთვი არის არა ღმერთი, მესია, წინასწარმეტყველი ან სხვა ანთრომორფული კონცეპტი, არამედ ერთი უსქესო, უერო და უფორმო წყარო, რომელსაც უძველესი რელიგიის შემქმნელები „ღვთაებრივ მეცნიერებას“ უწოდებდნენ. ამ მეცნიერების, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ცოდნის ფორმირება ბევრი საუკუნის წინ დაიწყო და უმთავრესად დაფუძნებული იყო ადამიანის მიერ მის ირგვლივ არსებული სამყაროს აღქმაზე, მზის, მთვარის, ვარსკვლავების, პლანეტებისა და ზოგადად ბუნების აღქმაზე. იმ დროს, როცა კაცობრიობა ქმნიდა კოსმოსის თავისებურ წარმოდგენას, ზოგი გაუგებარ მოვლენებს თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევდა და ქმნიდა ღმერთებისა და დემონების მისტიურ, მითიურ და მრავალფეროვან პანთეონს. ეს რელიგიური, მითოლოგიური, მეტაფიზიკური და მისტიური კონცეპტები იმდენად მრავალფეროვანია, რომ რთულია ახალი რაღაცის შექმნა. როგორც ამბობენ, არაფერია ახალი მზის ქვეშ და როცა მთავარი იდეოლოგიები განიხილება, აღმოჩნდება ხოლმე რომ ყველა მათგანი პირველად, პირველყოფილ შექმნის მითის ირგვლივ გაჩნდნენ. მითოლოგიისა და რელიგიების შესწავლა გვაჩვენებს, რამდენადაც განსხვავებული არ უნდა იყოს რელიგიები, რამდენად დაშორებული არ უნდა იყონ კულტურები და რელიგიები ერთმანეთისგან, იდეურად, გეოგრააფიულად - მათ უმეტესობას გააჩნია საერთო ფესვები და საერთო ასტრალური თაყვანისცემა. ფაქტობრივად, მსოფლიოს თითქმის ყველა რელიგია იყო და არის სტელარული, ლუნარული და სოლარული და აჩვენებს ასტროთეოლოგიას, ან ცისა და ასახავს ციური სხეულების თაყვანისცემას.

იმის მაგივრად, რომ რელიგიების დამაკავშირებელი საერთო თვისებები ენახათ, რელიგიების წარმომადგენლები და მიმდევრები ცდილობდნენ მათი რელიგიისგან განსხვავებული იდეოლოგიის დესკრიდიტირებასა და განადგურებას, რაც საფუძვლად ედებოდა ომებს, მკვლელობებს, მწუხარებასა და ცივილიზაციების განადგურებას. ცივილიზაციბის განადგურება და ადამიანის მკვლელობები რელიგიის, მეტიც, ამა თუ იმ ღმერთის სახელით ხდებოდა, განსაკუთრებით მთავარი და წამყვანი რელიგიების მიერ, რომლებიც შემდგომ ერთმანეთს ძალადობსა და დაუნდობლობაში ადანაშაულებდნენ. ადამიანების „წმინდა წიგნები“ სავსეა ხოცვით და ძალადობით, რომელიც ხშირად „რჩეულების“ მიერ ხდება, ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ღმერთის ან ღმერთების სახელით იმდენად ჩვეულებრივი და მიღებული ამბავი იყო ბევრ რელიგიაში, რომ თითქმის არსად დარჩა ადგილი, სადაც „ღმერთის სახელით“ არ დაღვრეულა სისხლი, დაწყებული უძველესი დროიდან და დღემდე მოყოლებული.

და ასეთ დროს ინდივიდი ხშირად ძალიან მონურ მდგომარეობაში, რადგან ესა თუ ის რელიგია ასწავლის მას ბრმად ენდოს „წმინდა წიგნებსა და წერილებს“. თუნდაც ძველ აღთქმაში ყველა სახის დანაშაულის მოპოვება შეიძლება.

როგორც ჩვენ არაერთხელ ავღნიშნეთ, ჩვენს ნაშრომში საუბარი იყო არამხოლოდ სხვადასხვა ღმერთზე და მათ პროტოტიპ მზეზე, არამედ, ამინც, ნაშრომის ძირითადი ფოკუსი გკეთდა იესო ქრისტეს ფიგურაზე. რაოდენ სამწუხარო არ უნდა იყოს, უამრავი მცდელობა იესოს იდენტობის დადგენისა დღემდე წარმუაებლად დასრულდა. რა თქმა უნდა, არსებობს რამოდენიმე ვერსია თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო იესო - ისტორიული პიროვნება, მაგრამ ამ ვერსიებს არ აქვს საკმარისი მტკიცებულება იმისთვის რომ იესოს იდენტობა ცნობილი გახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით სოლარული მითების ტრანსფორმაცია ქრისტიანულ კულტურაში აშკარაა და ძალიან მარტივი შეიძ□ება იყოს ამაზე საუბარი, ამ მოჩვენებითი სიმარტივის უკან განსაკუთრებით ღრმა და კომპლექსური საკითხები იმალება.

პირველ რიგში, ჩვენთვის, როგორც მკვლევარებისთვის, ძალიან საინტერესოა ის საერთო ხაზი, საერთო ღერძი, რომელიც ყველა კულტურის რელიგიურ ტრადიციაში ისახება. რა თქმა უნდა, ჩვენი კვლევის დაწყებამდე ძალიან დიდი ხნით ადრე უკვე ცნობილი იყო, რომ სხვადასხვა ხალხის, შეიძლება ითქვას მთელი კაცობრიობის ზღაპრებსა და ლეგენდებში ინახება ერთი და იგივე სახეები, არქეტიპები და მოტივები. თუ რატომ არის რადიკალურად განსხვავებული კულტურის წარმომადგენლების ზღაპრები ერთი სახე-სიმბოლოებისა და მოტივების მატარებელი, დღემდე ბოლომდე რთული ასახსნელია. გეოგრაფიულად და ისტორიულად დაშორებული ხალხების ზღაპრები და მითები ერთმანეთს ჰგავს, შევცვალოთ მთავარი გმირის სახელები, მოვარგოთ გარემოს და მივიღებთ აბსოლუტურად სხვა კულტურის ზღაპარს. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ზღაპრებისა და ლეგენდების 'ბირთვი' - არქეტიპები, უცვლელი რჩება.

მაგრამ რა ხდება როდესაც საქმე ეხება რელიგიას? რამდენად განსხვავდება რელიგიური სწავლება და რელიგიების მითოსი? როგორც ვხედავთ, აქაც იგივე სქემასთან გვაქვს საქმე. ის არქეტიპები, რომლებიც ადამიანს აქვს არაცნობიერ დონეზე, არ იცვლება, არ იკარგება, გენეტიკურ მეხსიერებაში გადადის და გამოვლინებას, ალბათ, ყველაზე კარგად და მყარად მის რელიგიურ ცხოვრებაში პოულობენ. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ჩვენ გადავწყვიტეთ მზის სიმბოლოს, მზის არქეტიოის, მეტიც - თვითონ მზის, აღქმის და ტრანსფორმაციის კვლევა იმიტომ, რომ მზე ადამიანის ცხოვრების ყველაზე არსებითი აატრიბუტია. მზე კეთილი ღმერთია, ხან გრძელთმიანი ლამაზმანი, ხან ახალგაზრდა ჭაბუკი, რომელიც გვჩუქნის სიცოცხლეს, საკვებს, სინათლეს; მაგრამ, ამავე დროს, მზე დესტრუქციული ანტაგონისტ-დემიურგია, მას შეუძლია ძალიან სასტიკი და შურისმძიებელი იყოს, დაწვას მოსავალი, გააშროს მდინარეები, წყურვილით დატანჯოს ადამიანები - ყველაფერი ძველი, ნაცნობი ძველი აღთქმის ტრადიციის თანახმად. უძველესი დროიდან მზე იმდენად დიდ როლს თამაშობდა და იმდენად მნიშვნელოვანი იყო ადამიანებისთვის, რომ მისი თაყვანისცემის „ჩვევა" ქვეცნობიერ დონეზე გადაინაცვლა. ცოტა ვინმე დაუფიქრდება იმას თუ რატომ ლოცულობს აღმოსავლეთით, რატომ იყენებს მზედ დალოცვად და წყევლად. მაგრამ ეს არქეტიპი

არსებობს და სავარაუდოდ უფრო მდგრადი და გამჯდარია, ვიდრე ყველა დანარჩენი. მეტიც, ბევრი სხვა არაცნობიერის არქეტიპი მისგან გამომდინარეობს.

მაგრამ რა ხდედება როცა ერთი რელიგია შთანთქავს ყველაზე გავრცელებულ და 'პოპულარულ' არქეტიპს? რამდენიც არ უნდა უარვყთ, რომ დღესაც ჩვენ უძველესი მზის თაყვანისცემის მიმდევრები ვართ და ვაგრძელებთ უძველეს ტრადიციას, კროსკულტუტული ანალიზი სხვა სურათს გვიჩვენებს.

იესო - მზე სიმართლისა, კრავი უმანკო, კაცობრიობისა და სიყვარულის ტრიუმფი. იესო ყველაფერია, რაზეც შეიძლება იოცნებოს კაცობრიობამ, ყველა ჩვენი იმედის, ნატვრისა და ლოცვის ახდენაა. მაგრამ მანამდეც რომ ბევრი „მზე სიმართლისა" არსებობდა? ჯ. რობერტსონიც ამბობს: „არ არსებობს ქრისტესთან ასოციერული კონცეფცია, რომელიც არ არის საერთო მხსნელის ანტიკური კულტებისთვის" (Robertson, 1966: 128-9). ე. კარპენტერიც აღნიშნავს, რომ მხსნელის დროქტრინა მსოფლიოსთვის ერთია და უძველესი, და ქრისტიანობამ უბრალოდ სხვა კულტების ადაპტაცია მოახდინა და მას თავისებური შარმი შესძინა (Carpenter, 1975; 130). ის ასევე აღნიშნავს: „მთავარი ქრისტიანული დოქტრინები და დღესასწაულები, ლეგენდებისა და ცერემონიალების გარდა, პირდაპირ გადმოღებულია ბუნების თაყვანისმცემლებისგან (წარმართებისგან[19]) და ყველაფერი ეს ეხება ძალიან დიდ ფალსიფიკაციას."

ჯორდან მაქსველი კი ამბობს: „რასაც ჩვენ იუდაიზმსა და ქრისტიანობაში ვპოულობთ - ეს ნამდვილად არ არის ერთი კონცეპტი, რწმენა და ერთი იდეა, რომელიც გამოხატულია ქრისტიანობით ან იუდაიზმით - ეს ყველაფერი შეიძლება დაუკავშირო ძალიან ბევრ რელიგიას. ეს ძალიან ძველი, უძველესი ამბავია, ყველაზე დიდებული ამბავი, რაც ოდესმე მოყოლილა". [20]

თუმცა, ჩვენ თვითონ, ანალიზის დროს, დავინახეთ, რამდენად ახლოს დგას ერთმანეთთან და რამდენად ერთნაირები არიან პირველი შეხედვით ძალიან

[19] ავტორის შენიშვნა
[20] Jordan Maxwell, "The Naked Truth"

განსხვავებული რელიგიები. ოსირისი და იესო, ისეო და დიონისე, მითრა და იესო, ერთი მზის ღმერთის უამრავი სახელი.

მაგრამ, ზუსტად ეს მრავალფეროვნება და დღევანდელი ქრისტიანობის ყოვლისშემცველობა შეიძლება იყოს ბარიერი ისტორიული პიროვნების იესოს გამოყოფა იესოსგან, როგორც მითოლოგიური პერსონაჟისგან.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ქრისტიანულმა კულტურამ გააკეთა უდიდესი რამ: მან მოახდინა უძველესი მითოლოგიის მუმიფიკაცია, შეინარჩუნა ის თითქმის უცვლელად და პირველსახედ; თუ ჩვენ ვიცით სად და რა ვეძებოთ, თუ მოვაშორებთ ყველა ბუტაფორიულ ატრიბუტიკას, მივიღებთ პირველყოფილ, უძველეს ასტროთეოლოგიურ ცოდნას, რომელიც ჩვენს წინაპრებს გააჩნდა და რომელიც თაობიდან თაობაში, ადამიანიდან ადამიანში, ხალხიდან ხალხში ახლა უკვე არაცნობიერ დონეზე გადადის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია (ძველი აღთქმა - მცხეთური ხელნაწერის მიხედვით, ახალი აღთქმა - გიორგი მთაწმინდელისეული რედაქცია) http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/sarchevi.php
2. ბარდაველიძე ვ. „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები“,გამომცემლობა „მეცნიერება“ თბილისი, 1974
3. ბარდაველიძე ვ. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემა, ტფილისი, 1939
4. ბარდაველიძე ვ. „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1941
5. ბარდაველიძე ვ. „ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები“, საქართველოს სსრ მეცმიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი 1953
6. გიორგაძე, მ. „ქართული ხალხური კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია“, „მეცნიერება“, თბილისი 1993
7. ინწკირველი ე. „ბიბლიური ამბები ხალხურ ტრადიციაში“, მერიდიანი, თბილისი, 2017
8. კიკნაძე ზ. „ძველი აღთქმის წუთისოფელი“, კავკასიური სახლი, თბილისი 2018
9. კიკნაძე ზ. „შობიდან შობამდე“, კავკასიური სახლი, თბილისი 2018

10. მაცხოვრის გარეგნობა გადმოცემათა მიხედვით, ჯვარი ვაზისა, თბილისი,1990
11. პატარიძე რ. „ქართული ასომთავრული“, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი 2018
12. შიოშვილი, თ. „იესო ქრისტე ქართულ ფოლკლორში“, „ლამპარი - 99“, თბილისი 2012
13. ჩიტაია გ. „ეთნოგრაფიული ექსპედიცია იმერეთში“,ენიმკის მოამბე, ტ II, ნაკ. 3, თბილისი 1937
14. ჩოლოყაშვილი რ. “ ზღაპარი და სინამდვილე. ზებუნებრივი ქომაგი არსებანი ჯადოსნურ ზღაპარში“
15. ჩოლოყაშვილი რ. „უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში“, ნეკერი, თბილისი 2004
16. „ქართლის ცხოვრება“ http://www.amsi.ge/istoria/qc/
17. ქართული ხალხური პოეზია, ტ.1, ნაკვეთი 1, თბილისი, 1972.
18. ქართული ხალხური პოეზია, ტ.1, ნაკვეთი 2, თბილისი, 1973.
19. Bonwick, James, Egyptian Belief and Modern Thought, Falcon's Wing, CO, 1956), 18,20
20. Budge, E. A. Wallis, Egyptian Tales and Legends: Pagan, Christian, Muslim, Dover, 2002
21. Campbell, Joseph, Occidental Mythology, Arkana/Penguin, NY, 1991
22. Cox, George W. The Mythology of the Aryan Nations, Longmans, Green & Co, London, 1870
23. Drews , Arthur, Witnesses to the Historycity f Jesus, Watts, London, 1912
24. Dupuis, Charles, The origins of All Religion Worship, Garland, NY, 1984
25. Frazer, James George, The Golden Bough, Collier, NY, 1963
26. Freke and Gandy, The Jesus Mysteries, NY, 1999
27. Higgins Godfrey, Anacalypsis (1836) A&B Books, NY, 1992
28. Hoffman, R. Joseph, Porphyry's against the Christians: The Literary Remains, Prometheus, NY, 1994
29. Iamblichos, Theurgia of The Egyptian Mysteries, tr. Alexander Wilder, The Metaphysical Publishing Co. NY, 1911, p.257)
30. Kerenyi, Carl, Dionysos:Archetypal Omage of Indestructible Life, Princeton, NJ, 1976

31. Legge, Francis, Forerunners and Rivals of Christianity: From 300 B.C. to 330 A.D., Unoverity Books, NY, 1964
32. Lundy, John, Monumental Christianity: The Art and Symbolism of Primitive Church, London, 1889
33. Macrobius, The Saturnalia, tr. Precival Vaughan Davies, Columbia University Press, NY 1969
34. Moor, Edward, The Hindu Pantheon, (1810), Asian Educational Services, New Delhi/Madras, India, 1999)
35. Muir, J. Original Sanskrit Texts V, London, 1870
36. Muller, F. Max, Lectures on the Origin and Growth of Religion, New York, Charles Scribner's Sons, NY, 1879
37. Olcott, William Tyler, Sun Lore of All Ages, (1914), The Book Tree, Escondido, CA 1999
38. Pike, Albert, The Morals and Dogma of Scottish Rite Fremasonry, LH Jenkins, 1928, p. 612)
39. Reade, W. Winwood, The Veil of Isis, Or Mysteries of the Druids (1861))
40. Robertson
41. Roy, S.B., Prehistoric Lunar Astronomy, Institute of Chronology, New Delhi, 1976, p1.
42. Rylans, L. Gordon. The Beginning of Gnostic Christianity, Watts & Co., London, 1940
43. Siculus Diodorus, THe Antiques of Egypt, tr. Edwin Murphy, Transaction Publishers, 1990)
44. Spence, Lewis, Ancient Egyptian Myths and Legends, Dover, NY, 1990
45. Srivastava, V.C., Sun-Worship in Ancient India, Indological Publications, Allahabad, 1972, p113
46. Weigall, Arthur, The Paganism in our Christianity, Hutchinson & Co. London, 1928
47. www.bib-arch.com
48. Churchward, Albert, The Origin and Evolution of Religion

49. Walker, Barbara, The Woman's Encyclopedia of Myths and Secrets, Harper, 1983,
50. Blavatsky, Helena, The Secret Doctrine, Theosophical University Press, 1988
51. Prasad, Ganga, The Fountainhead of Religion, The Book Three, Ca, 2000,
52. www.ccel.org/fatehrs/NPNF2-06/treatise/jovinan2.htm
53. www.ccel.org/fathers2/ANF-08/anf08-50.htm
54. Мамардашвили, М. К. Необходимость себя. М., 1996
55. Лосев А. Ф. Диалкетика мифа//Лосев А. Ф. Философия. Мифология. Культура. М., 1991
56. Аверинцев С. С. «Аналитическая психология» К.-Г. Юнга и закономерности творческой фантазии // Вопр. лит–ры. 1970. №3
57. Юнг К.Г. Инстинкт и бессознательное. URL: http://www.psyinst.ru/library.php?part=article&id=1381
58. Юнг К.Г. Душа и миф: шесть архетипов. М.,1997.
59. Сендерович С. Ревизия Юнговой теории архетипа. URL: http://anthropology.rchgi.spb.ru /yung/yung_i1.htm
60. Doane, T.W. Bible Myths and their Parallerls in Other Religions, Health research, 1985)
61. www.christianism.com
62. Заратуштра. Учение огня. Гаты и молитвы., М., Эксмо, 2010
63. www.newadvent.org/fathers/0410.html
64. http://www.amsi.ge/academia/0102/acad_2_8.pdf - კლდიაშვილი ანა, „ბორჯომის ხეობის ბრინჯაოს დისკოების ფუნქციისათვის“
65. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=1323 - ქართული მატერიალური ეთნოგრაფიული ლექსიკონი
66. www.newadvent.org/fathers/02105.html
67. www.ccel.org/fatehrs/NPNF2-06/treatise/jovinan2.htm – Christian Classics Eternal Library

68. www.ccel.org/fathers2/ANF-08/anf08-50.htm – Philiph Schaff, The Twelve Patriarchs, Excerpts and Epistles, The Clementia, Apocrypha, Decretals, Memoirs of Edessa and Syriac Documents, Remains of the First
69. http://classics.mit.edu/Porphyry/images.html – Porphyry, On Images
70. http://www.newadvent.org/fathers/1201.htm?fbclid=IwAR2gURbWweeBdC4RHZYkLcj0Srgebnu5g5GOTahFKlpBnsARwWURvtXCFbw - The City of God (St. Augustine)